N 04/1031
29.12.2023

ბრძანება

1031-01-4-202312291231

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N04/173 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-7 მუხლის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“, „$ზ^2$“ და „თ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „შპს „ელ.ბილეთების“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ” საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N04/173 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით;
2. არ დადასტურდეს შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ (ს/ნ: 402037611) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა;
3. დადასტურდეს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის „სადისტრიბუციო კომპანიის“ (შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „კავეა საბურთალო“ (ს/ნ: 404566082), შპს „კავეა გალერეა“ (ს/ნ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/ნ: 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემა“ (ს/ნ: 404466001), შპს „ამირანი“ (ს/ნ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/ნ: 404391564)), შპს „თინეთის“ (ს/ნ: 402116474) და შპს „ელ.ბილეთების“ (ს/ნ: 205268869) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა;

4. არ დადასტურდეს სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა;
5. არ დადასტურდეს „TBC Bank Group PLC“ -ის (ს/ნ: 10029943) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა;
6. ამ ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებული დარღვევისთვის:
   6.1. ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს „სადისტრიბუციო კომპანიას“ დაეკისროს ჯარიმა 1 120 562 (ერთი მილიონ ასოცი ათას ხუთას სამოცდაორი) ლარის ოდენობით;
   6.2. შპს „თინეთს“ (ს/ნ: 402116474) დაეკისროს ჯარიმა 544 328 (ხუთას ორმოცდაოთხი ათას სამას ოცდარვა) ლარის ოდენობით;
   6.3. შპს „ელ.ბილეთებს“ (ს/ნ: 205268869) დაეკისროს ჯარიმა 5 368 (ხუთი ათას სამას სამოცდარვა) ლარის ოდენობით;
7. ამ ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებული კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოპასუხეებს შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და შპს „თინეთს“ (ს/ნ: 402116474) დაევალოთ უზრუნველყონ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის 2022 წლის 31 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-6 მუხლისა („ექსკლუზივი“) და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების ამოღება და ხელშეკრულების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მოცემული გადაწყვეტილების შესაბამისად და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
8. კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების /პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორებს/ორგანიზატორებს და ამ ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით;
9. ამ ბრძანების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეთხოვოს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება მისთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმით (წერილობით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით ან სხვაგვარი შეტყობინების გზით);
10. დამტკიცებული გადაწყვეტილება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე ცნობის სახით, მიეწოდოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს;
11. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;

12. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64);
13. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2023 წლის 28 დეკემბრის N03/1161 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„შპს „ელ.ბილეთების“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N 04/173 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

თბილისი
2023

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 4

ნაწილი 1. საჩივრის შინაარსი 4

ნაწილი 2. მოპასუხეების პოზიცია 7

2.1. შპს „სადიტრიბუციო კომპანიის“ პოზიცია 8

2.2. შპს „თინეთის“ პოზიცია 9

2.3. სს „თიბისი ბანკის“ პოზიცია 12

2.4. TBC Bank Group PLC-ის პოზიცია 13

ნაწილი 3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია 13

3.1. მომჩივანისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია 13

3.2. შპს „სადისტრიბუციო კომპანიისგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია 14

3.3. შპს „თინეთისგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია 15

3.4. კინოთეატრებისგან მიღებული ინფორმაცია 16

3.5. ბაზრის სხვა სუბიექტებისგან მიღებული ინფორმაცია 17

ნაწილი 4. სასამართლოს ბრძანება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ შორის დადებული ხელშეკრულების „ექსკლუზივის პირობის“ შემცველი მუხლისა და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მოქმედების შეჩერების შესახებ 17

ნაწილი 5. ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები და ახსნა-განმატების სხდომა 20

ნაწილი 6. საკონსულტაციო შეხვედრები 24

ნაწილი 7. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მხარეების პოზიცია 24

ნაწილი 8. შემაჯამებელი სხდომა 26

თავი II. ნორმატიული ნაწილი 28

ნაწილი 1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით 28

1.1. ზოგადი მატერიალური რეგულირება 28

1.2. პროცედურული რეგულირება 35

ნაწილი 2. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა 37

ნაწილი 3. ერთიანი ეკონომიკური აგენტის დოქტრინა კონკურენციის სამართალში 38

3.1. ურთიერთდამოკიდებული პირების ცნება ქართულ კანონმდებლობაში 38

3.2 ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და სააგენტოს პრაქტიკაში 40
თავი III. შესაბამისი ბაზარი 41
ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა 41
ნაწილი 2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები 47
ნაწილი 3. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 49
ნაწილი 4. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები 50
ნაწილი 5. შუალედური დასკვნა 50
თავი IV. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე 50
ნაწილი 1. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტი 50
ნაწილი 2. დომინანტური მდგომარეობა 52
2.1. ზოგადი მიმოხილვა 52
2.2. საბაზრო წილი 54
2.3. შუალედური დასკვნა 57
თავი V. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე 58
ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა 58
ნაწილი 2. ერთიანი ეკონომიკური აგენტი 62
2.1. კინოთეატრები, როგორც ერთიანი ეკონომიკური აგენტი 62
2.2. შპს „სადისტრიბუციო კომპანია და „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები, როგორც ერთიანი ეკონომიკური აგენტი 68
2.3. შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC-ის ურთიერთდამოკიდებულება 69
2.4. შუალედური დასკვნა 72
ნაწილი 3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები 72
3.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია 73
3.2. ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება 76
3.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა 77
3.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა 78
ნაწილი 4. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება 78

4.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი 78
4.2. „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები82
4.3. „ექსკლუზიური მიწოდების“ შესახებ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მოლაპარაკებები შპს „ელ.ბილეთებთან“ და შპს „თინეთთან“ 85
4.4. შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს “ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული ხელშეკრულების „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი 118
4.5. სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC 151
4.6. შუალედური დასკვნა 154
ნაწილი 5. კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმება 155
5.1. ზოგადი მიმოხილვა 155
5.2. მხარეთა საბაზრო წილი 156
5.3. შუალედური დასკვნა 158
ნაწილი 6. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისი 158
ნაწილი 7. დასკვნა 163
თავი VI. სანქცია 164
თავი VII. სარეზოლუციო ნაწილი 176
რეკომენდაცია 177

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) 2023 წლის 1 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „ელ.ბილეთების“ (ს/ნ: 205268869) (შემდგომში „ელ.ბილეთები“/“საჩივრის ავტორი“/„მომჩივანი“) საჩივარი (სააგენტოში რეგისტრაციის №01/733), რომელიც ეხებოდა მოპასუხე - შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ (ს/ნ: 402037611) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-6 მუხლის და მოპასუხეების - შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ (ს/ნ: 402037611), შპს „ონლაინ თიქეთსის“ (ს/ნ: 405097915), შპს „თინეთის“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) და TBC Bank Group PLC-ს (ს/ნ: 10029943, რეგისტრირებული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტებს.

საჩივარში კანონის მე-6 და მე-7 მუხლების გარდა, საუბარია შპს „ონლაინ თიქეთსის“ (ს/ნ: 405097915), შპს „თინეთის“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) და TBC Bank Group PLC-ს (ს/ნ: 10029943) წილობრივი ფლობის ურთიერთმიმართებასა და კონცენტრაციაზე (კანონის მე-11 მუხლი). გარდა ამისა, მითითებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1[1] პუნქტის სავარაუდო დარღვევის შესახებ, რა ნაწილშიც საჩივარი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რამდენადაც სწორედ იგი წარმოადგენს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს საქართველოში.

ზემოთ აღნიშნული საჩივრის საფუძველზე სააგენტომ დაიწყო საქმის მოკვლევა სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის №04/173 ბრძანების შესაბამისად.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, 2023 წლის 5 აპრილს განხორციელდა შპს „ონლაინ თიქეთსის“ (ს/ნ 405097915) და შპს „თინეთის“ რეორგანიზაცია შერწყმა/მიერთების გზით და რეორგანიზაციის შედეგად შპს „თინეთი“ გახდა შპს „ონლაინ თიქეთსის“ სამართალმემკვიდრე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 26 აპრილის №04/213 ბრძანებით ცვლილება შევიდა №04/173 ბრძანებაში და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებად განისაზღვრა: შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ: 204854595) და „TBC Bank Group PLC“ (ს/ნ: 10029943).

ნაწილი 1. საჩივრის შინაარსი

მომჩივანი შპს „ელ.ბილეთები“ საჩივარში მიუთითებს კანონის როგორც მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), ისე მე-7 მუხლის (შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში, საჩივრის ავტორი მოპასუხედ ასახელებს შპს სადისტრიბუციო კომპანიას (შემდგომში - შპს „სადისტრიბუციო კომპანია“/“სადისტრიბუციო კომპანია“/მოპასუხე) და მიუთითებს, რომ მას ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე გააჩნია დომინანტური მდგომარეობა, რომელსაც იყენებს ბოროტად, კერძოდ, ზღუდავს ბაზარს (კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე აწესებს განსხვავებულ პირობებს (კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) და ადგენს დამატებით პირობას მხარისთვის, რაც არ არის დაკავშირებული გარიგების დადებასთან (კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ასევე, კონკურენციის შემზღუდველი ქმედების ნაწილში საჩივრის ავტორი აპელირებს მოპასუხეების - შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“, შპს „ონლაინ თიქეთსის“, შპს „თინეთის“, სს „თიბისი ბანკისა“ და tbc Bank Group PLC-ს მიერ ბაზრის შეზღუდვაზე (კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესებაზე (კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) და გარიგების დასადებად მხარისთვი დაუკავშირებელი დამატებითი პირობის დადგენაზე (კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

მომჩივანის განცხადებით, სადისტრიბუციო კომპანია წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ძირითადი კინოთეატრების (კავეა სითი მოლი საბუთალო, კავეა თბილისი მოლი, კავეა ისთ ფოინთი, კავეა გალერია, ამირანი, აპოლო) კინოსეანსებზე დასწრების ბილეთების რეალიზაციისა და დისტრიბუციის განმახორციელებელ ერთადერთ კომპანიას. სადისტრიბუციო კომპანიასა და მომჩივან ეკონომიკურ აგენტს შორის [redacted] გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მომჩივანი წლების განმავლობაში ახორციელებდა კინოსეანსების ბილეთების ონლაინ რეალიზაციას საკუთარ ონლაინ პლატფორმაზე (www.biletebi.ge).

აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო [redacted] - თუ ამ ვადის დადგომისას, არ იქნებოდა ამოწურული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსი, შპს „ელ.ბილეთებს“ მიეცემოდა დამატებითი ვადა ავანსის თანხის ამოსაწურად, ხოლო ამოწურვის შემდგომ ხელშეკრულება წყდებოდა. [redacted] შემდგომ მხარეთა კონკლუდენტური შეთანხმებით ხელშეკრულება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით, განმთავსებელი ანუ შპს „ელ.ბილეთები“ პერიოდულად განათავსებდა საავანსო თანხას და, შესაბამისად, ხელშეკრულება განაგრძობდა მოქმედებას.

მომჩივანის განმარტებით, 2023 წლის 13 იანვრის წერილის საფუძველზე 2023 წლის 16 იანვრიდან შპს „სადიტრიბუციო კომპანიამ“ შპს „ელ.ბილეთებს“ შეუწყვიტა კინოთეატრის ბილეთების მიწოდება და შესაბამისად, მათ შორის არსებული ხელშეკრულება ბილეთების მიწოდების თაობაზე შეწყდა. აღნიშნულს წინ უძღოდა „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეცვლილი პირობებით გაგრძელების შეთავაზება. კერძოდ, მოპასუხე თანახმა იყო გაგრძელებულიყო თანამშრომლობა „ელ.ბილეთების“ მიერ

ავანსის გაზრდილი ოდენობით გადახდის სანაცვლოდ. თავდაპირველად ასეთ გაზრდილ ოდენობად მოპასუხის მიერ დასახელებული იყო [redacted] ლარი, ხოლო შემდგომ - [redacted] ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი მზაობას გამოხატავდა ორივე ჯერზე შეთავაზებული თანხის გადახდაზე, სადისტრიბუციო კომპანიამ სახელშეკრულებო ურთიერთობა აღარ გააგრძელა მომჩივანთან და 2023 წლის 16 იანვარს ცალმხრივად შეწყვიტა მასსა და მომჩივანს შორის არსებული ხელშეკრულება.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ სადისტრიბუციო კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის და ავანსის გაზრდილი ოდენობის მიღებაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა სადისტრიბუციო კომპანიასა და შპს „ონლაინ თიქეთს“ შორის ექსკლუზიური მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება. ამ უკანასკნელის საფუძველზე შპს „ონლაინ თიქეთსს“ მიენიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება მოეხდინა კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაცია საკუთარი ელექტრონული პლატფორმის (www.tkt.ge) მეშვეობით. შპს „ონლაინ თიქეთსთან“ ექსკლუზიური მომსახურების ხელშეკრულების დადებით სადისტრიბუციო კომპანიამ, რომელიც ბაზარზე კინოთეატრის ბილეთების ერთადერთ მიმწოდებელს წარმოადგენს, შეზღუდა ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარი.

მომჩივანის მოსაზრებით, თავის მხრივ, სადისტრიბუციო კომპანიასა და შპს „ონლაინ თიქეთს“ შორის ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო შპს „ონლაინ თიქეთსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის არსებული კავშირით, ხოლო ვინაიდან სადისტრიბუციო კომპანიას ბანკთან გააჩნია რიგი სახელშეკრულებო ურთიერთობები/ვალდებულებები, იგი იძულებული იყო ექსკლუზივის პირობით ხელშეკრულება გაეფორმებინა ბანკთან დაკავშირებულ კომპანიასთან - შპს „ონლაინ თიქეთსთან“. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მომჩივანი მიუთითებს იმას, რომ შპს „ონლაინ თიქეთსის“ მფლობელი შპს „თინეთის“ 100%-იანი წილის მფლობელია TBC Bank Group PLC, რომელიც, ასევე, ფლობს სს „თიბისი ბანკის“ აქციათა 99.9%-ს. ვინაიდან საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის პერიოდში შპს „თინეთი“ გახდა შპს „ონლაინ თიქეთსის“ სამართალმემკვიდრე, აღნიშნული მოცემულობა შეიცვალა, კერძოდ, სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „თინეთს“ ჰყავთ ერთი და იგივე მშობელი კომპანია - TBC Bank Group PLC.

მომჩივანი საჩივარში, ასევე, საუბრობს ე.წ. „ერთიანი ეკონომიკური აგენტის“ ცნებაზე და მიუთითებს, რომ აღნიშნულს აქვს ადგილი შპს „ონლაინ თიქეთსის“, შპს „თინეთის“, სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-ის შემთხვევაში, ვინაიდან ისინი მოქმედებენ ერთი კომპანიის - TBC Bank Group PLC-ის მიერ არჩეული კურსის მიხედვით და მიუხედავად იმისა, რომ ცალკე სუბიექტები არიან არ გააჩნიათ ავტონომიურობა.

მომჩივანი ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ სს „თიბისი ბანკის“ მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მონათესავე საწარმოსთვის ან მასთან დაკავშირებული პირისთვის საბანკო პროდუქტის მიცემას ან საბანკო მომსახურების გაწევას შეღავათიანი პირობებით, მაგალითად, შპს „ონლაინ თიქეთსისთვის“ და მისი პარტნიორი შპს „სადისტრიბუციო კომპანიისთვის“ შეღავათიანი საბანკო კრედიტის მიცემას.

საჩივარში მომჩივანი მიუთითებს კანონის მე-11 (კონცენტრაცია) მუხლზეც და აღნიშნავს, რომ TBC Bank Group PLC, როგორც სს „თიბისი ბანკის“ მაკონტროლებელი პირის მიერ შპს „თინეთისა“ და შპს „ონლაინ თიქეთსის“ აქციათა/წილის პირდაპირი და არაპირდაპირი ფლობა იწვევს იმგვარ კონცენტრაციას, რომელიც არსებითად ზღუდავს კონკურენციას ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, მათ შორის, დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნის გზით. მომჩივანი მიიჩნევს, რომ ამგვარი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეკონომიკური აგენტები არ საქმიანობენ ერთსა და იმავე ბაზარზე, ქმნის ბაზრების ჯვარედინი სუბსიდირებისა და კონკურენტების განდევნის შესაძლებლობას.

საჩივრის ავტორი წარმოდგენილ საჩივარში სააგენტოსგან ითხოვს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის გამოკვლევასა და დადგენას. გარდა ამისა, შპს „ელ.ბილეთებმა“ მოითხოვა შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთს“ (სამართალმემკვიდრე - შპს „თინეთი“) შორის არსებულ ხელშეკრულებაში შპს „ონლაინ თიქეთსისთვის“ ექსკლუზიური უფლებამოსილების მიმნიჭებელი დებულების ბათილად ცნობას და სადისტრიბუციო კომპანიის დავალდებულებას, შპს „ელ.ბილეთებთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობის იმ პირობებით გაგრძელებაზე, როგორც იგი არსებობდა მხარეებს შორის 2023 წლამდე მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად.

ნაწილი 2. მოპასუხეების პოზიცია

ვინაიდან სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარი შეეხებოდა კანონის მე-6 მუხლისა და მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების შემდგომ, კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“, ხოლო კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში მოპასუხეებს: შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405097915), შპს „თინეთს“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ: 204854595) და TBC Bank Group PLC-ს (ს/ნ: 10029943) საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია გაეგზავნათ „შპს „ელ.ბილეთების“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის N04/173 ბრძანებასთან ერთად.

2.1.შპს „სადიტრიბუციო კომპანიის“ პოზიცია

შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ სააგენტოსთვის წერილობით წარმოდგენილ პოზიციაში (სააგენტოში რეგ. N01/1005, 27.03.2023) აღნიშნავს, რომ მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი საჩივარი უსაფუძვლოა და ემსახურება მხოლოდ კონკრეტული კომპანიების დისკრედიტაციის მიზანს.

მოპასუხის განცხადებით, იგი წარმოადგენს კინოთეატრების: კავეა საბურთალოს, კავეა თბილისი მოლის, კავეა ისთ ფოინთის, კავეა გალერიას, ამირანისა და აპოლოს კინოთეატრების ბილეთების გადამყიდველ კომპანიას. კინოთეატრების ბილეთები იყიდება როგორც „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ, ასევე, უშუალოდ კინოთეატრის სალაროებში და სხვა კომპანიების მიერ (მათ შორის, უნიკალური კოდების მეშვეობით რეალიზაცია (აღნიშნული ეხება ფასდაკლების ონლაინ პლატფორმებს)). შესაბამისად, სადისტრიბუციო კომპანია არ წარმოადგენს ბილეთების რეალიზაციის განმახორციელებელ ერთადერთ სუბიექტს და დაუსაბუთებელია მომჩივანის მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი დომინანტურ მდგომარეობას ფლობს ბაზარზე.

მოპასუხე მიუთითებს, რომ სანამ მომჩივანის კონკურენტთან, შპს „ონლაინ თიქეთსთან“ გააფორმებდა ხელშეკრულებას, იგი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა კომპანიასთან, მათ შორის მომჩივან ეკონომიკურ აგენტთან. მოლაპარაკების შედეგად, მხარეების შეთავაზების, კომერციული პირობებისა და სხვა ფაქტორების (მათ შორის კინოთეატრის ბილეთების გაყიდვების მაჩვენებელი) გათვალისწინებით აირჩია კონტრაჰენტი. შესაბამისად, ადგილი რომც ჰქონოდა მის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობას, საკუთარი პოზიცია ბოროტად არ გამოუყენებია და ხელშეკრულება გააფორმა შეჯიბრებითობის საფუძველზე განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მოლაპარაკების პროცესს არადისკრიმინაციულად, თანაბარ პირობებში ახორციელებდა, შპს „ელ.ბილეთებმა“, შპს „ონლაინ თიქეთსისგან“ განსხვავებით, ვერ დააკმაყოფილა სადისტრიბუციო კომპანიის მიერ განსაზღვრული პირობები და მოპასუხემ ხელშეკრულება გააფორმა იმ სუბიექტთან, რომელთან თანამშრომლობაც უფრო მისაღები იყო მისთვის. სადისტრიბუციო კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანისთვის წინასწარვე იყო ცნობილი იმ პირობებზე, რომლის შესახებაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და შპს „ელ.ბილეთებიც“ მზაობას გამოხატავდა, რომ მასთან დადებულიყო ექსკლუზიური ხელშეკრულება.

სადისტრიბუციო კომპანია მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული ეკონომიკური და სამეწარმეო თავისუფლების ფარგლებში ეკონომიკური აგენტის მიერ მისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმება არ წარმოადგენს კანონის დარღვევას.

2.2.შპს „თინეთის“ პოზიცია

შპს „თინეთი“ (შემდგომში - „თინეთი“/„მოპასუხე“) წარმოადგენს შპს „ონლაინ თიქეთსის“ (TKT.GE) სამართალმემკვიდრეს.[1] იგი სააგენტოსთვის წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში[2] აღნიშნავს, რომ ელექტრონული პლატფორმა tkt.ge ბაზარზე ფუნქციონირებს 2015 წლიდან და ამ დროიდან ახორციელებს კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციას. წლების განმავლობაში არაერთი ცვლილება/გაუმჯობესება არის განხორციელებული tkt.ge-ს პლატფორმაზე, რაც განაპირობებს მომხმარებლის მხრიდან მის არჩევას - იგი არის კომფორტული, მოსახერხებელი, ტექნიკურად და ვიზუალურად გამართული პლატფორმა.

შპს „თინეთი“ მიუთითებს იმასაც, რომ მისთვის საჯარო წყაროებიდან და შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ცნობილია, რომ სადისტრიბუციო კომპანია საერთაშორისო კინოსტუდიებთან და მათ ოფიციალურ დისტრიბუტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე ექსკლუზიურად ფლობს საავტორო უფლებებს კინო-გაქირავების მიმართულებით. აღნიშნული სახის (ექსკლუზიური) თანამშრომლობის პირობები მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა და მათ შორის გვხვდება საქართველოშიც, კერძოდ, საავტორო სამართლის სფეროში, სადაც საავტორო უფლების ობიექტის გამოყენების უფლების მინიჭება დასაშვებია ექსკლუზიური სახით მხოლოდ ერთი პირისთვის.

შპს „თინეთი“ წერილობით პოზიციაში ყურადღებას ამახვილებს ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებით არსებულ მსოფლიო პრაქტიკაზე. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ეს არის მიღებული პრაქტიკა და მწარმოებელი საკუთარი მიზნებიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე წყვეტს, გამოიყენოს თუ არა ექსკლუზიური პირობები. მისი მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა, რასაც ასევე,

---

[1] შპს „თინეთი“ არის შპს „ონლაინ თიქეთსის“ სამართალმემკვიდრე 2023 წლის 5 აპრილს განხორციელებული რეორგანიზაციის/შერწყმის შემდგომ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, შერწყმის შემთხვევაში მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, ხოლო მისი აქტივები და ვალდებულებები სრულად გადაეცემა შემძენ სამეწარმეო საზოგადოებას.

აღსანიშნავია, რომ შპს „ონლაინ თიქეთსის“ აქტიური რეგისტრაციის ბოლო მონაცემებით, შპს „თინეთი“ ფლობდა შპს „ონლაინ თიქეთსის“ 100%-იან წილს და ამასთან, ამ ორ კომპანიას მართავდა ერთი და იგივე დირექტორი. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ მოკვლევის მიმდინარეობის პერიოდში, შპს „ონლაინ თიქეთსს“ ექნებოდა აქტიური სტატუსი, ის მაინც განხილულ იქნებოდა შპს „თინეთთან“ ერთად, როგორც ერთიანი ეკონომიკური აგენტი და ერთი სუბიექტი.

შესაბამისად, მართალია სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობდა და შესაბამისი ხელშეკრულებაც გაფორმებულია შპს „ონლაინ თიქეთსთან“, სააგენტო, გადაწყვეტილების სხვადასხვა თავში, სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისა და თავად „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ ფარგლებში შესაბამისი მსჯელობის დროს მოიხსენიებს, როგორც შპს „ონლაინ თიქეთსს“ ასევე, დღევანდენდელი მდგომარეობით აქტიური სამართლებრივი სტატუსის მქონე სუბიექტსა და შპს „ონლაინ თიქეთსის“ სამართალმემკვიდრეს - შპს „თინეთს“, თუმცაღა, აქ იგულისხმება ერთი და იგივე სუბიექტი.

[2] შპს „თინეთის“ 2023 წლის 5 მაისის N01/1518 წერილი

იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. ექსკლუზივს იყენებენ სახელმწიფო ორგანოებიც, მაგალითად, წყალმომარაგების მომსახურების მისაწოდებლად.

მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ წლების განმავლობაში კინოთეატრების ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე საქმიანობდა რამდენიმე სუბიექტი. კერძოდ, ბილეთების რეალიზაციას ახორციელებდა როგორც მომჩივანი (biletebi.ge), ასევე, შპს „ონლაინ თიქეთსი“ (tkt.ge) და სადისტრიბუციო კომპანია საკუთარი ონლაინ პლატფორმების (www.cavea.ge; www.kinoafisha.ge) მეშვეობით.

შპს „თინეთი“ მიუთითებს, რომ მასთან ექსკლუზიური ხასიათის ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ თანაბარ, სამართლიან და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა შპს „ელ.ბილეთებთან“ და შპს „ონლაინ თიქეთსთან“. აღნიშნული პროცესი მოიცავდა მოლაპარაკების ორ ეტაპს.

[redacted]

[redacted]

გარდა ამისა, შპს „თინეთი“ მიუთითებს, რომ შპს „ონლაინ თიქეთსი“ სს „თიბისი ბანკისგან“ დამოუკიდებელ სუბიექტს წარმოადგენდა, მათ შორის ფინანსურად და მისგან არ ჰქონია მიღებული რაიმე სახის დაფინანსება. ბანკის მხრიდან არც სადისტრიბუციო კომპანიასთან მოლაპარაკების პროცესში ჰქონია ადგილი რაიმე სახის ჩარევას და ზოგადად, „თიბისი გრუპის“ შიდა პოლიტიკის თანახმად, რომლის წევრებიც არიან, როგორც სს „თიბისი ბანკი“, ასევე, შპს „თინეთი“ და შპს „ონლაინ თიქეთსი“ (არსებობის მანძილზე), აღნიშნული ეკონომიკური აგენტები დამოუკიდებლები არიან ერთმანეთისგან და გამიჯნულია მათი მმართველობითი ორგანოები და ავტორიზაციის დონეები. ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია მოქმედებს „გაშლილი მკლავის პრინციპის“ შესაბამისად და გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად. მშობელი კომპანიის გარდა ბანკსა და შპს „თინეთს“ საერთო გადაკვეთის წერტილი არ გააჩნიათ, რაც თავისთავად არ მიუთითებს რაიმე სახის ფინანსური თუ სხვა სახის დამოკიდებულებაზე.

გარდა ამისა, შპს „თინეთი“ მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანმა დაკარგა მომხმარებლები, ეს გამოწვეულია არა რომელიმე სუბიექტის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან სხვა სახის არაკეთილსინდისიერი, კანონის საწინააღმდეგო ქმედებით, არამედ თავად მომჩივანის პლატფორმის მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან იგი რიგ შემთხვევებში ხარვეზით მუშაობდა, რაც თავისთავად გამოიწვევდა მომხმარებლის დაკარგვას.

შპს „თინეთი“ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ბაზრად უნდა განისაზღვროს საქართველოში ბილეთების როგორც ელექტრონული, ასევე, მატერიალური სახით რეალიზაცია.

2.3.სს „თიბისი ბანკის“ პოზიცია

სს „თიბისი ბანკმა“ სააგენტოს საკუთარი პოზიცია[3] წარმოუდგინა საჩივარში მითითებულ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა მის მიერ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევას.

ბანკი მიუთითებს, რომ მის მიერ ადგილი არ ჰქონია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები ეხება მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და არცერთ შემთხვევაში ბანკი არ ავალდებულებს სადისტრიბუციო კომპანიას შპს „ონლაინ თიქეთსთან“ თანამშრომლობას.

სს „თიბისი ბანკი“, ასევე, აღნიშნავს, რომ მის მიერ არც რაიმე სახის ზეწოლა ხდება შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიმართ და ბანკს არ გააჩნია ისეთი უნიკალური მომსახურება ან ექსკლუზიური პირობები ბაზარზე, რაც შეიძლება სადისტრიბუციო კომპანიის მიმართ ბერკეტის სახის გამოიყენოს. ბანკი, ასევე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი არ ოპერირებს ბილეთების ონლაინ თუ ფიზიკური რეალიზაციის ბაზარზე.

სს „თიბისი ბანკი“ მასსა და შპს „თინეთთან“/შპს „ონლაინ თიქეთსთან“ კავშირის შესახებ აღნიშნავს, რომ ამ ორი სუბიექტის საერთო გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს მხოლოდ TBC Bank Group PLC, ამგვარი კავშირი კი არ არის საკმარისი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასადასტურებლად და ვერც ერთიანი ეკონომიკური აგენტის არსებობის მტკიცებულებას წარმოადგენს. შპს „თინეთი“, ისევე, როგორც სს „თიბისი ბანკი“ საქმიანობენ დამოუკიდებლად და გააჩნიათ რეალური ავტონომია.

მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ შესაბამის ბაზრად უნდა განისაზღვროს ბილეთების რეალიზაციის ბაზარი და არა ვიწროდ, ბილეთების მხოლოდ ონლაინ რეალიზაციის ბაზარი.

მოპასუხე აღნიშნავს იმასაც, რომ ადგილი არ აქვს მასსა და შპს „თინეთს“ შორის კონცენტრაციას და არ ეთანხმება ჯვარედინი სუბსიდირების არსებობის შესახებ მოსაზრებასაც, რადგან ჯვარედინ სუბსიდირებას ადგილი აქვს მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების ხარჯების დასაფარად საკმარისი არაა ამ მომსახურების მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი და სუბსიდირების შედეგად დაწესებული ფასები შეესაბამება მტაცებლურ ფასებს. ბანკის მხრიდან ამგვარ ქმედება არ განხორციელებულა და მომჩივანის მიერ აღნიშნულზე აპელირება საფუძველს მოკლებულია.

[3] სს „თიბისი ბანკის“ 2023 წლის 8 მაისის N01/1526 წერილი

2.4.TBC Bank Group PLC-ის პოზიცია

TBC Bank Group PLC-მ სააგენტოს წერილობითი პოზიცია წარმოუდგინა 2023 წლის 8 მაისის (რეგ.N01/1527) წერილით. მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს ერთიანი ეკონომიკური აგენტის ცნებაზე, და აღნიშნავს, რომ მისი განხილვა ამ ცნების ქვეშ არ არის მართებული. იგი წარმოადგენს შპს „თინეთის“ მშობელ კომპანიას, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კავშირი არ ქმნის ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის არსებობის დამადასტურებელ გარემოებას და ამასთან, TBC Bank Group PLC და შპს „თინეთი“ არ მოქმედებენ შესაბამის ბაზარზე კანონის მე-7 მუხლის მიზნებისთვის.

მოპასუხე მიუთითებს იმასაც, რომ შპს „თინეთი“ წარმოადგენს ეკოსისტემების ჩარჩოს ფარგლებში მოქმედ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც მმართველობითი სისტემის ჭრილში დამოუკიდებელია ჯგუფის დანარჩენი წევრებისგან. აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში შემავალ ეკონომიკური აგენტებს გააჩნიათ ავტონომიური მართვის მოდელი, რომლის საფუძველზე მოქმედებს როგორც შპს „თინეთი“, ასევე, თავად TBC Bank Group PLC.

ეკოსისტემების მართვის პოლიტიკა, რომელიც TBC Bank Group PLC-ს აქვს შემუშავებული, სავალდებულოდ მოქმედებს ჯგუფში შემავალი (ეკოსისტემის წევრი) ეკონომიკური აგენტების მიმართ. აღნიშნული სისტემა ეფუძნება „გაშლილი მკლავის“ და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პრინციპებს. ჯგუფის წევრი კომპანიების ფუნქციონირებისთვის საჭიროა მათ გააჩნდეთ დამოუკიდებელი ფინანსური, ტექნოლოგიური, ადამიანური და სხვა ტიპის რესურსები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით TBC Bank Group PLC მიიჩნევს, რომ იგი შპს „თინეთთან“ ერთად ვერ იქნება განხილული ერთიან ეკონომიკურ აგენტად.

რაც შეეხება მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებულ სხვა გარემოებებს, მოპასუხე აღნიშნავს, რომ არ დასტურდება მის მიერ კანონის დარღვევა, ასევე, მხოლოდ შპს „თინეთის“ წილის ფლობა ვერ გამოიწვევს იმგვარ კონცენტრაციას, რომელიც არსებითად შეზღუდავს ბაზარზე ეფექტიან კონკურენციას და კონცენტრაცია რეალურად არც არსებობს - საპირისპიროს მიჩნევის შემთხვევაში გამოვა, რომ ნებისმიერი იურიდიული პირის მიერ შვილობილი კომპანიის წილის ფლობა უნდა შეფასდეს კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის სამართლის დარღვევად, რაც არ არის მართებული.

ნაწილი 3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია

3.1.მომჩივანისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია

სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობის განხილვის ეტაპზე და მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ დამატებითი

ინფორმაციის მოთხოვნის[4] პასუხად, ასევე, საკუთარი ინიციატივით, მომჩივანისგან წარმოდგენილ იქნა განმარტებები და სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტაცია.

მომჩივანმა მხარემ სააგენტოს დამატებით წარმოუდგინა საკუთარი განმარტება ექსკლუზივის პირობის შეთავაზების თაობაზე და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს შეთავაზება მოლაპარაკების დროს გააკეთა შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“[5].

მოპასუხე მხარეების განცხადებაზე, რომ მომჩივანიც თანახმა იყო ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებაზე, „ელ.ბილეთები“ აღნიშნავს, რომ მათი სურვილი ექსკლუზივის პირობა არ ყოფილა, აღნიშნულზე თანახმა მხოლოდ იმის გამო იყვნენ, რომ ბაზრიდან არ მომხდარიყო მათი განდევნა და არ დაეკარგათ ბილეთების ონლაინ რეალიზაციის შესაძლებლობა.

მომჩივანის თქმით, მათ ინფორმაცია ჰქონდათ მხოლოდ იმაზე, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა [redacted] ლარზე და თუ ამ თანხას არ გადაიხდიდნენ, ხელშეკრულება გაფორმდებოდა შპს „ონლაინ თიქეთსთან“. შესაბამისად, თანახმა იყვნენ ავანსის ამ ოდენობის გადახდაზე[6].

მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ 2019 წლიდან 2023 წლის 13 იანვრამდე პერიოდში ელექტრონულ პლატფორმაზე biletebi.ge მომხმარებლის მიერ კინოთეატრის ბილეთის შეძენისას [redacted] მომჩივანი სადისტრიბუციო კომპანიას უხდიდა ყოველთვიურად [redacted], ხოლო თვითონ იღებდა [redacted] და ეს მაჩვენებელი [redacted][7].

3.2.შპს „სადისტრიბუციო კომპანიისგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია

სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობის განხილვის ეტაპზე და მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად შპს „სადისტრიბუციო კომპანიისგან“ წარმოდგენილ იქნა განმარტებები და სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტაცია[8].

[redacted]

[4] კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილები: N02/1679 (26.06.2023); N02/2280 (25.08.2023); N02/2502 (20.09.2023)
[5] შპს „ელ.ბილეთების“ წერილი N01/3188 (22.09.2023)
[6] შპს „ელ.ბილეთების“ წერილი N01/3188 (22.09.2023
[7] შპს „ელ.ბილეთების“ წერილი N01/2894 (30.08.2023)
[8] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ წერილები: N02/1070 (19.04.2023); N02/1197 (03.05.2023); N02/1677 (26.06.2023); N02/2434 (13.09.2023); N01/1694 (22.05.2023); N01/1695 (22.05.2023); N01/3189 (22.09.2023); N01/1696 (22.05.2023); N01/2267 (07.07.2023).

[redacted]

გარდა ამისა, სადისტრიბუციო კომპანია აცხადებს, [redacted]

[redacted]

3.3.შპს „თინეთისგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია

სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობის განხილვის ეტაპზე და მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად შპს „თინეთისგან“ წარმოდგენილ იქნა განმარტებები და სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტაცია[9].

[redacted]

[9] შპს „თინეთის“ წერილები: N02/1680 (26.06.2023); N02/2279 (25.08.2023); N02/2374 (06.09.2023); N02/2461 (15.09.2023);

[redacted]

შპს „თინეთი“ აღნიშნავს, რომ თანამშრომლობის ახალ პირობებზე, კერძოდ ექსკლუზივზე დათანხმების მიზეზი იყო ის, რომ მომხმარებელს ისევ შესძლებოდა კინოთეატრის ბილეთების tkt.ge-ზე შეძენა.

[redacted]

3.4.კინოთეატრებისგან მიღებული ინფორმაცია

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ ინფორმაციის მიღებით მოთხოვნით მიმართა[10] საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კინოთეატრებს (შპს „კავეა საბურთალო“ (ს/ნ 404566082)), შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/ნ 404391564)); შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/ნ: 404405489)); შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (ს/ნ: 404466001); შპს „კავეა გალერია“ (ს/ნ: 404511925), შპს „ამირანი (ს/ნ 204424587)), რომელთაგან შესაბამის კითხვებზე პასუხად მიიღო იდენტური ინფორმაცია. კერძოდ, [redacted][11].

კინოთეატრების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ცალკე რეგისტრირებულ სუბიექტებს, მათი, ისევე როგორც მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“, ფაქტობრივი მართვა და მენეჯმენტი ხორციელდება ერთი და იმავე პირების მიერ და წარმოადგენენ ერთ ჰოლდინგს[12].

[10] წერილები: N02/2480 (18.09.2023); N02/1081 (20.04.2023); N02/1082 (20.04.2023); N02/1083 (20.04.2023); N02/1084 (20.04.2023);
[11] წერილები: N01/1682 (19.05.2023); N01/1684 (22.05.2023); N01/1685 (22.05.2023) და N01/1686 (22.05.2023).
[12] 2023 წლის 2 ოქტომბრის N01/3190 წერილი

3.5.ბაზრის სხვა სუბიექტებისგან მიღებული ინფორმაცია

მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდა იმ ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლოა ყოფილიყვნენ კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაცია/დისტრიბუციის განმახორციელებლები.

სააგენტომ მიმართა[13] იდენტიფიცირებულ ეკონომიკურ აგენტებს ინფორმაციის მიღების მიზნით, კერძოდ, იმის გასარკვევად, ახორციელებდნენ თუ არა კინოთეატრების ბილეთების რეალიზაციას, რაზეც მათგან უარყოფითი პასუხი იქნა მიღებული[14].

გარდა ამისა, საქმის მოკვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით[15], სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე .[redacted] ბილეთების ონლაინ რეალიზაციას ახორციელებდა ასევე შპს „ივენთერიც“ (ს/ნ: 405328738). აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტთანაც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ 2023 წლის იანვრის თვეში. ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი გახლდათ შპს „ონლაინ თიქეთსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება. შპს „ივენთერ.ჯი“ ბილეთების ონლაინ რეალიზაციის სფეროში კონკურენციას უწევდა შპს „ელ.ბილეთებსა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“.

ნაწილი 4. სასამართლოს ბრძანება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ შორის დადებული ხელშეკრულების „ექსკლუზივის პირობის“ შემცველი მუხლისა და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მოქმედების შეჩერების შესახებ

სააგენტომ მოკვლევის დაწყების შემდგომ, მოკვლევის ფარგლებში მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტითა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[20] თავის შესაბამისად, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2023 წლის 12 ივნისს შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის [redacted] ხელშეკრულების „ექსკლუზივის პირობის“ შემცველი მუხლის და ამ ექსკლუზივთან

[13] წერილები: N02/1079 (20.04.2023); N02/1165 (01.05.2023); N02/1166 (01.05.2023); N02/1167 (01.05.2023); N02/1168 (01.05.2023); N02/1169 (01.05.2023); N02/1170 (02.05.2023); N02/1675 (26.06.2023);
[14] წერილები: N01/1448 (02.05.2023); N01/148 (03.05.2023); N01/1510 (05.05.2023); N01/1824 (01.06.2023)
[15] წერილი N01/1694 (22.05.2023)

დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მოქმედების შეჩერება სააგენტოს მიერ „შპს ელ.ბილეთების საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N04/173 ბრძანების საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევის დასრულებამდე.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ მოკვლევის საწყის ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის უფლების გადაცემის მომსახურების უალტერნატივო ხასიათისა და შესაბამისად, კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზრის ჩაკეტვის რეალურ შესაძლებლობათა არსებობის პირობებში მნიშვნელოვნად იზღუდება კონკურენცია.

ვინაიდან შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული ექსკლუზიურ ხელშეკრულება სრულად მოქმედებს 2023 წლის იანვრიდან, კონკურენციის შეზღუდვა ბაზარზე დაწყებულია სწორედ ამ პერიოდიდან. შესაბამისად, სახეზეა მომჩივანი ეკონომიკური აგენტისათვის მნიშნელოვანი ზიანი, რომელსაც ის განიცდის 2023 წლის იანვრის თვიდან და რომელიც ვერ იქნება თავიდან აცილებული იმ საკანონმდებლო ბერკეტის გამოყენების გარეშე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის ქმედების შეჩერებას სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებამდე (საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე).

საგენტომ მიუთითა, რომ სახეზე იყო გადაუდებელი აუცილებლობა და მიუთითა ევროკომისიის პრაქტიკაზე, როცა კომისიის დაუყოვნებლივი ჩაურევლობა ბაზარზე არსებულ კონკურენციას სერიოზულად და გამოუსწორებლად დააზიანებს.

სააგენტომ მიუთითა საქმეზე Camera Care, სადაც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა 4 წინაპირობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ევროკომისიას შეუძლია შუალედური ზომების გამოყენება, იგივე პირობები განმეორდა საქმეზე La Cinq. კერძოდ:

- შუალედური ზომა აუცილებელი უნდა იყოს იმ საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტურად აღსრულებისთვის, რომლითაც კონკურენციის შემლახავი ქმედება უნდა დასრულდეს;[16]
- შუალედური ზომის მიღება გადაუდებლად აუცილებელი უნდა იყოს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე (ანუ, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნებისთვის);[17]

[16] Case 792/79 R., Camera Care, პარ.18
[17] Case 792/79 R., Camera Care, პარ.19

- შუალედური ზომა დროებითი და კონსერვატორული ხასიათის უნდა იყოს, მისი სიდიდის ზღვარი უნდა გადიოდეს კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ საჭიროებაზე[18].

სააგენტომ განმარტა, რომ შუალედური მექანიზმის გამოყენების აუცილებლობა გადაუდებელი ხასიათისაა, რადგან, როგორც აღინიშნა, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული ექსკლუზიურ ხელშეკრულება სრულად მოქმედებს 2023 წლის იანვრიდან. ამასთან, ზიანი, რომელიც ადგება მომჩივან ეკონომიკურ აგენტს გამოუსწორებელი ხასიათის იქნება სააგენტოს მიერ კანონის დარღვევის დადასტურების მიუხედავად, ვინაიდან ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ბაზარი შეიზღუდა და განხორციელდა ბაზრიდან შპს „თინეთის“ კონკურენტი კომპანიების განდევნა (არამხოლოდ მომჩივნის სახით, არამედ სხვა ელექტრონული პლატფორმების სახით, რომელთაც შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ აკავშირებდათ ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა და ექსკლუზივის პირობის შედეგად შეუწყდათ ბილეთების მიწოდება (მათ შორის, შპს „ივენთერი“), რამაც გამოიწვია ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე ფასის, მომსახურების ხარისხისა და სხვა ალტერნატიულ შეთავაზებების შეკვეცა (შეზღუდვა).

გარდა ამისა, მომჩივანმა ეკონომიკურმა აგენტმა დაკარგა წვდომა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, რის გამოც მას ადგება ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. ამ შემოსავალში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის განუხორციელებლობით მიუღებელი შემოსავალი, არამედ ვებგვერდზე მომხმარებელთა ტრაფიკის შემცირების გამო დაკარგული მოგება.

ექსკლუზივის მოქმედების გამო მომხმარებელი კარგავს ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას - არჩევანის პლურალიზმს, ბილეთები შეიძინოს მისთვის სასურველ, ხელსაყრელ თუ მოსახერხებელ ვებგვერდზე/პლატფორმაზე, რაც აზიანებს ბაზარს და ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

სააპელაციო სასამართლოს საბოლოო ბრძანებით, გაზიარებულ იქნა სააგენტოს არგუმენტაცია და მიიჩნია რა რომ „ექსკლუზივის პირობის“ მოქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავდა კონკურენციას, დაკმაყოფილდა სააგენტოს შუამდგომლობა და შეჩერდა მოპასუხე მხარეებს - შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის [redacted] დადებული ხელშეკრულების ექსკლუზივის პირობის შემცველი მუხლი და ამ ექსკლუზივთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.

ვინაიდან ხელშეკრულებაში „ექსკლუზივის პირობა“ შეჩერებულ იქნა შუალედური მექანიზმის გამოყენებით, მომჩივანს საშუალება მიეცა გაეფორმებინა შესაბამისი ხელშეკრულება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“

[18] იქვე

[redacted][19].

ნაწილი 5. ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები და ახსნა-განმატების სხდომა

ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები

მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში საქმისთვის არსებითი გარემოებების დაზუსტებისა და დადგენის მიზნით სააგენტოში გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები და ახსნა-განმარტების სხდომები მხარეებთან.

2023 წლის 4 სექტემბერს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა მოპასუხე შპს „თინეთთან"[20]. აღნიშნულ შეხვედრას მოპასუხის მხრიდან ესწრებოდნენ შპს „თინეთის" წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა შპს „ელ.ბილეთების" საჩივარში კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტება და დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეხვედრაზე მხარეს დაესვა კითხვები და განხილულ იქნა საქმესთან დაკავშირებული რიგი გარემოებები, ძირითადად კი ყურადღება გამახვილდა შპს „თინეთსა" და შპს „სადისტრიბუციო" კომპანიას შორის 2022 წლის ბოლოს მიმდინარე მოლაპარაკების პროცესზე. კერძოდ, როდის შედგა პირველი კომუნიკაცია მოლაპარაკების მხარეებს შორის, რა ფორმით ხდებოდა კომუნიკაცია, იყო თუ არა ცნობილი თინეთისთვის მოლაპარაკებაში ჩართული სხვა სუბიექტების შესახებ, კონკრეტულად რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა სადისტრიბუციო კომპანია მოლაპარაკების პროცესში და მიწოდებული იყო თუ არა ამ კრიტერიუმთა ჩამონათვალი თინეთისთვის, ხელშეკრულების რა პირობებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება მხარეებს შორის, ავანსის რა ოდენობა იყო შეთავაზებული თინეთის მხრიდან, ვის მიერ ხდებოდა პირობების (მათ შორის, ექსკლუზივის) შეთავაზება ზოგადად, როდის დასრულდა მოლაპარაკების პროცესი.

2023 წლის 5 სექტემბერს ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა გაიმართა შპს სადისტრიბუციო კომპანიასთან[21]. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ მოპასუხე მხარის წარმომადგენლები. შეხვედრის ფარგლებში სააგენტოს მიერ დასმული კითხვები მიმართული იყო შპს „ელ.ბილეთების" საჩივარში კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტებასა და დადგენაზე. კერძოდ, შეხვედრაზე მხარის წარმომადგენლების მიერ განიმარტა შპს სადისტრიბუციო კომპანიის

[19] შპს „ელ.ბილეთების" 2023 წლის 22 სექტემბრის N01/3188 წერილი
[20] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1 (04.09.2023)
[21] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2 (05.09.2023)

საქმიანობის შინაარსი - კონკრეტულად ის, თუ რა როლი აქვს სადისტრიბუციო კომპანიას ბილეთების რეალიზაციის პროცესში, რის საფუძველზე იღებს შესაბამის უფლებებს კინოფილმების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენებასთან დაკავშირებით, რა სამართლებრივი ურთიერთობა აქვს საქართველოში მოქმედ კინოთეატრებთან. ასევე, შეხვედრაზე განხილულ იქნა 2022 წლის ბოლოს, ბილეთების რეალიზატორებთან განხორციელებული მოლაპარაკების დეტალებიც: [redacted]

რაც შეეხება მომჩივან შპს „ელ.ბილეთებს“, მასთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა გაიმართა 2023 წლის 12 სექტემბერს[22], რომელსაც ესწრებოდნენ მომჩივანი მხარის წარმომადგენლები. შეხვედრაზე ძირითადად განხილულ იქნა [redacted]

სააგენტომ 2023 წლის 29 სექტემბერს ინვიდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრები გამართა, ასევე, საჩივარში მოპასუხეებად მითითებულ სს „თიბისისთან“[23] და

[22] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N3 (12.09.2023)
[23] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N4 (29.09.2023)

„TBC PLC Group“-თან[24]. აღნიშნული შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევასთან მიმართებით. სს „თიბისი ბანკთან“ შეხვედრაზე სააგენტოს მხრიდან ყურადღება იქნა გამახვილებული ბანკის ურთიერთობაზე როგორც შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“, ასევე შპს „თინეთთან“ და სარგებლობდა თუ არა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ბანკის რომელიმე პროდუქტით. რაც შეეხება „TBC PLC Group“-თან შეხვედრას, სააგენტოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა „TBC PLC Group“-ისა და შპს თინეთის ურთიერთდამოკიდებულება - გააჩნდა თუ არა შპს თინეთს ავტონომია და რამდენად იყო ინფორმირებული და ჩართული „TBC PLC Group თინეთისა და სადისტრიბუციო კომპანიის მოლაპარაკების პროცესში.

ახსნა-განმარტების სხდომა

საქმის მოკვლევის ფარგლებში მხარეებისგან (შპს „ელ.ბილეთები“, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთი“) მიღებული წერილობითი ინფორმაციისა და მათთან ჩატარებული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრების შეჯამების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც მხარეების პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის იყო. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გარემოებების სიღრმისეულად გამოკვლევისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ჩაეტარებინა ასხნა-განმარტების სხდომა ზემოთ აღნიშნული სამივე მხარის მონაწილეობით.

[redacted][25]

[24] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N5 (29.09.2023)
[25] ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 (29.09.2023)

[redacted]

[redacted][26].

[redacted][27]

[redacted][28]

[redacted]

[26] 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი 2:30:30-2:31:13 და 2:37:50-2:38:18 წუთებზე

[27] იქვე 2:323:4530-2:33:41; 2:37:08-2:37:18; 2:39:10- 2:39:25

[28] იქვე 2:39:43-2:39:59

[redacted].[29]

ნაწილი 6. საკონსულტაციო შეხვედრები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 15 სექტემბერს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შპს „აპოლო ბათუმის“ (ს/ნ: 404391564), შპს „კავეა გალერიას“ (ს/ნ: 404511925) შპს „კავეა საბურთალოს“ (ს/ნ: 404566082), შპს „კავეა თბილისი მოლის“ (ს/ნ: 404405489), შპს „ამირანის“(ს/ნ: 204424587), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (ს/ნ: 404466001) წარმომადგენლებთან.[30]

საკონსულტაციო შეხვედის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი კინოთეატრებისა და შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ შორის კავშირის დადგენა, ასევე, ინფორმაციის მიღება იმაზე, ჰქონდათ თუ არა კინოთეატრებს სახელშეკრულებო ურთიერთობა კინოფილმების სხვა რომელიმე მიმწოდებელთან (გარდა „სადისტრიბუციო კომპანიისა“).

ნაწილი 7. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მხარეების პოზიცია

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 27-ე მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების შემდგომ, მხარეებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები (კონფიდენციალურობის დაცვით) გადაეგზავნათ კანონით დადგენილ ვადაში და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა არაუგვიანეს 2023 წლის 15 დეკემბრისა.[31] გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარმოადგინა მხოლოდ მოპასუხე შპს „თინეთმა“.[32]

აღნიშნავია, რომ მოპასუხე შპს „თინეთი“ გამოგზავნილ წერილში აქცენტს აკეთებს არა იმ გარემოებაზე, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ არ დადებულა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება არამედ იმაზე, რომ მომხმარებელს ამით ზიანი არ მისდგომია და კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაზე უნდა გავრცელდეს კანონით დადგენილი საგამონაკლისო წესები.

კერძოდ, მოპასუხე შესაბამის ბაზართან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სააგენტომ არ გამოიყენა ჰიპოთეტური მონოპოლისტი ტესტი, ე.წ. SSNIP ტესტი, რის შედეგადაც არ იქნა

[29] იქვე, 2:41:50-2:42:25
[30] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1 (15.09.2023)
[31] სააგენტოს 2023 წლის 8 ნოემბრის N 02/3266, N02/3256, N02/3253, N02/3252, N02/3255 წერილები
[32] შპს „თინეთის“ 2023 წლის 15 დეკემბრის წერილი N01/4307

შესწავლილი მომხმარებლის პრეფერენციები, ამასთან მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა კინოს ბილეთების რეალიზაცია მოეხდინა ოფლაინ არხების მეშვეობით - სალაროებში და შედეგად,შესაბამის ბაზრად უნდა განსაზღვრულიყო კინოთეატრის ბილეთების ონლაინ და ოფლაინ ბაზარი.

სააგენტო მიუთითებს, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას ე.წ. SSNIP ტესტის გამოყენება კანონმდებლობით სავალდებულო არ არის და დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, მოკვლევის პროცესში საზღვრების იდენტიფიცირებისა და სხვა სირთულეების გათვალისწინებით, რაც დასტურდება, როგორც ევროპული[33], აგრეთვე, კონკურენციის ეროვნული სააგენტოსა[34] და სასამართლო პრაქტიკით[35]. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, რომ მომჩივანს გადაულახავი ბარიერი შეექმნა სწორედ ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ონლაინ პლატფორმას წარმოადგენს და წლების განმავლობაში „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ბილეთები სწორედ ონლაინ რეალიზაციის მიზნით გადაეცემოდა, ხოლო კინოთეატრების სალაროების მართვა, მათ შორის, მათი მეშვეობით ბილეთების რეალიზაცია შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ აქვს გადაცემული კინოთეატრებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად და მომჩივანი, ისევე როგორც სხვა ბილეთების რეალიზატორი ელექტრონული პლატფორმა მოკლებულია შესაძლებლობას სალაროების მეშვეობით გაყიდოს კინოთეატრის ბილეთები.

ამასთან, მოკვლევის მიზნებისათვის, კერძოდ, ქმედების შეფასების კუთხით, როგორც კანონის მე-6 მუხლთან, ასევე მე-7 მუხლთან მიმართებით, ასევე კანონით დადგენილ საგამონაკლისო წესების შეფარდების პროცესში არანაირი რელევანტურობა არ გააჩნია, კინოთეატრის ბილეთების ოფლაინ რეალიზაციის ბაზარი ცალკე მდგომ ბაზრად განიხილებოდა თუ არა, ვინაიდან შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, როგორც კინოთეატრის ბილეთების (როგორც ონლაინ, აგრეთვე ოფლაინ) ერთადერთი რეალიზატორი კომპანია, მაინც წარმოადგენს დომინანტს, მეტიც, მონოპოლისტ ეკონომიკურ აგენტს და ფლობს ბაზრის 100%-იან წილს.

ამასთან, შპს „თინეთის“ მითითება, რომ მომხმარებელს არჩევანი პლურალიზმი შენარჩუნებული აქვს, რადგან ბილეთების შეძენა შეუძლია 3 სხვადასხვა ელექტრონულ პლატფრომაზე ონლაინ და ასევე, ადგილზე კინოთეატრის სალაროებში, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მითითებული სამი ელექტრონული პლატფორმა ეკუთვნით სწორედ მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ერთ-ერთო კარტელური შეთანხმების ორ მხარეს - შპს „თინეთსა“ (Tkt.ge) და შპს “სადისტრიბუციო კომპანიას“ (kinoafisha.ge და cavea.ge), ხოლო

[33] მაგ., Case C-226/11, Expedia Inc. v Autorité de la concurrence and Others [2012] ECLI:EU:C:2012:795

[34] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის 21 აპრილის ბრძანება N04/91 (“ფოთის პორტის საქმე“) , გვ. 94-110

[35] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/3865-17, 07.12.2020, გვ. 68, აღნიშნული გადაწყვეტილება დადასტურებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერაც (საქმე N3ბ/1071-21)

სალაროები, როგორც აღინიშნა, არის შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მართვას დაქვემდებარებული.

რაც შეეხება, მოპასუხის პოზიციას, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის გამოვლენილი შეთანხმებაზე უნდა გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები, ამ პოზიციას სააგენტო არ იზიარებს, რომლის შესაბამისი არგუმენტირებული მსჯელობა ვრცლად არის მოცემული გადაწყვეტილების V თავის მე-5 და მე-6 ნაწილებში.

ნაწილი 8. შემაჯამებელი სხდომა

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 28-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის 22 დეკემბერს სააგენტოში გაიმართა შემაჯამებელი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ მომჩივანი მხარის - შპს „ელ.ბილეთების“ წარმომადგენლები, მოპასუხე მხარის - შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ წარმომადგენლები, ხოლო დისტანციურად ესწრებოდნენ მოპასუხე მხარის - შპს „თინეთის“, სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank PLC-ის წარმომადგენლები.

შპს „ელ.ბილეთებმა“ მოითხოვა შემაჯამებელი სხდომის გადადება საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობის მიზნით მოცულობითი მასალებისა და დროის სიმცირის გამო, იმდენად, რამდენადაც შპს „ელ.ბილეთების“ მიერ შემაჯამებელი სხდომის თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე დანიშნულ იქნა ახალი წარმომადგენელი. აღნიშნული შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული სააგენტოს მიერ იმდენად, რამდენადაც გადავადებას მოთხოვნილ იქნა არაგონივრული ვადით ადრე (შემაჯამებელი სხდომის წინა დღეს სატელეფონო ზარით), ამასთან, არ არსებობს სხდომის გადადების საკმარისად რელევანტური საფუძველი; ასევე, მომჩივანს, მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, (2023 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით), სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია შეპასუხება და არ დაუყენებია შესაბამისი შუამდგომლობა, ხოლო მოკვლევა მიმდინარეობდა მრავალი თვის განმავლობაში.

შპს „ელ.ბილეთებმა“ გაიზიარა სააგენტოს მსჯელობა მოპასუხეთა მხრიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტზე, ბაზრის შეზღუდვის, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის, როგორც კონკურენციის შემზღუდავი მიზნის მქონე შეთანხმებისა და ზიანის არსებობის შესახებ, თუმცა არ გაიზიარა სააგენტოს შეფასება მომჩივანის მხრიდან ექსკლუზივზე შეთანხმებასთან დაკავშირებით ურთიერთმფარავი ნების გამოხატვის ნაწილში, მიუთითა, რომ მათგან თანხმობა არ ყოფილა თანხის ნაწილზე, რამეთუ მისთვის არ ყოფილა შეთავაზებული საბოლოო გაზრდილი ფასი და დამატებით აღნიშნა, რომ მომჩივანის მხრიდან თანხის მოძიების პროცესი არ უნდა შეფასებულიყო, როგორც მოლაპარაკების ეტაპზე გამოვლენილი ურთიერთთანმხვედრი ნება. რაც შეეხება სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვაზე - ადასტურებდა, თუ არა, რომ ორ ეპიზოდში შპს „ელ.ბილეთებმა“ თანხმობა განაცხადა „ექსკლუზივის“ მიღების სანაცვლოდ შესაბამისი თანხების გადახდაზე, მომჩივანის

წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ამ საკითხზე პასუხისაგან თავს შეიკავებდა. მომჩივანს სააგენტოს მიერ განემარტა, რომ მოკვლევის ფარგლებში დადასტურდა, მინიმუმ ორ ეპიზოდში მის მიერ გამოხატული ურთიერთმფარავი ნება ექსკლუზიური უფლების მიღებაზე, რომლის დასაბუთებაც მოცემულია წინამდებარე გადაწყვეტილებაში.

მომჩივანი, ასევე, გამოეხმაურა შპს „თინეთს“ კომპანიის რემარკს მომჩივანისა და Bank of Georgia Group PLC-სთან ურთიერთმიმართების შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა შესაბამისი რეესტრის ჩანაწერებში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

შემაჯამებელ სხდომაზე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიციები, რომლებიც იმეორებდა სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ პოზიციებს ზიანისა და კაუზალური კავშირისა და დომინანტური მდგომარეობის გამოყენების არარსებობის შესახებ, თუმცა მხარემ დაადასტურა (მიუთითა, რომ ფაქტია და უარყოფას აზრი არ აქვს), რომ იგი წარმოადგენდა ერთადერთ კომპანიას, რომელიც ახორციელებდა კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციას და ადგენდა კინოს ბილეთების რეალიზაციის ფასს. სააგენტოს მიერ განიმარტა, რომ ქმედების კვალიფიკაცია განხორციელდა კანონი მე-7 მუხლის ქვეშ, ხოლო არ შეფასებულა „სადისტრიბუციო კომპანიის“ ცალმხრივი ქმედება კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით, ასევე, ხაზი გაესვა ზიანის არსებობის ფაქტს. სხდომის ბოლოს შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“ სანქციის ნაწილში განმარტა, რომ ბრუნვის შესახებ მონაცემები, რომელიც გამოყენებულ იქნა სააგენტოს მიერ სანქციის დადგენის ეტაპზე საჭიროებდა კორექტირებას „კავეა ჯგუფში“ შემავალი კომპანიებს შორის ურთიერთჩათვლებიდან გამომდინარე, რასთან დაკავშირებითაც იგი არაუგვიანეს 2023 წლის 25 დეკემბრისა წარმოადგენდა შესაბამის დოკუმენტს.

აღნიშნული დოკუმენტი და თანდართული მასალა მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 25 დეკემბერს. ამასთან, 26 დეკემებერს, მოპასუხე მხარის მოთხოვნით, სააგენტოს ოფისში მოპასუხე ერთიანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელთან გაიმართა შეხვედრა მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფარგლებში, თუმცა, მოკვლევის ჯგუფისთვის ამომწურავი/დამაჯერებელი ინფორმაციის მოწოდება ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, მხარის წარმომადგენელს ეთხოვა უფრო სრულყოფილი, ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის/წერილი მოწოდება შესაბამისი მტკიცებულებებით, რაზეც მის მიერ გამოითქვა შესაბამისი მზადყოფნა.

შემაჯამებელ სხდომაზე შპს „თინეთის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიციები, რომლებიც იმეორებდა მის მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ პოზიციებს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ნაწილში, სადაც დამატებით აღინიშნა, რომ დასაბუთება საჭიროებდა მეტ მტკიცებულებას ზიანის მიყენების ფაქტის დადგენის ნაწილში, ასევე, მხარემ წარმოადგინა პოზიცია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებიდან გამონაკლისების შესახებ. შემაჯამებელ სხდომაზე მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დამატებით ყურადღება გაამახვილა მომჩივანის Bank of Georgia Group PLC-სთან კავშირის შესახებ.

სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისა და ზიანის არსებობასთან დაკავშირებით, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში, ასევე შემაჯამებელ სხდომაზეც სააგენტოს მიერ არაერთხელ იქნა განმარტება გაკეთებული. რაც შეეხება მომჩივანის Bank of Georgia Group PLC-სთან კავშირს, სააგენტომ აღნიშნა, რომ მოცემული ფაქტი ამ კონკრეტული საქმისთვის არარელევანტურია და ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია სააგენტოსთვის მიმართვა კონკურენციის კანონის შესაძლო დარღვევაზე.

TBC Bank Group PLC-ის მხრიდან შემაჯამებელ სხდომაზე დაფიქსირებული კომენტარი ეხებოდა შესაბამისი ბაზრის, ზიანის საკითხსა და მომჩივანის Bank of Georgia Group PLC-სთან კავშირს.

სს „თიბისი ბანკის“ მხრიდან შემაჯამებელ სხდომაზე დაფიქსირებულ იქნა, რომ იგი ეთანხმება სს „თიბისი ბანკის“ ნაწილში სააგენტოს შეფასებას და გადაწყვეტილების პროექტის სხვა ნაწილებთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებია.

თავი II. ნორმატიული ნაწილი

ნაწილი 1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით

1.1. ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-2 მუხლით დაკონკრეტებულია კანონის მიზანი - საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს: ა) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას;
ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფას;
გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების,

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვას და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობას, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას;
დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობას;
ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ან/და შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობას, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას;
ვ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

1.1.1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);
ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

თავად „დომინანტურ მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

1.1.2. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);
ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;
გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;
დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალებათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“ განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს

დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ; ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. კანონის 33[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;

დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;

ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;

ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 33 ბრძანება.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ნორმატიული შემადგენლობით გათვალისწინებული

ყველა ელემენტი აუცილებლად უნდა იქნეს თანაბრად დადგენილი ცალკეული შეთანხმების არსებობის მტკიცების პროცესში.

აღნიშნული ნორმატიული ელემენტები შესაძლებელია დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: **სუბიექტები, ქმედება, კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი, შესაბამისი ბაზარი**, **სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით კონკურენცია იზღუდება.** განსახილველი ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია ყველა დასახელებული პირობის კუმულატიურად არსებობა.

სუბიექტები - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“[36] ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას.“[37] შინაარსობრივად ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობაც, რომელიც, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ „ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.“

კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შეთანხმებულ ქმედებებს, რომელთაც გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი. ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც, სადაც შესაბამისი დარღვევის განმახორციელებელ პირებად ასევე მოაზრებიან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მათ შორის, ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული/დარგობრივი ასოციაციები.

ქმედება - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას, თუმცა ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც „ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ.“[38]

---

[36] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. Case C-41/90, Höfner and Elser, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, აბზ. 21.

[37] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. - Case 118/85, Commission v Italy [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, აბზ. 7.

[38] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

გადამწყვეტია რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულებით დგინდებოდეს ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, რაც შეიძლება დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.[39]

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც „კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას."[40] ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.[41]

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ, რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალურ ან სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.[42]

კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და ასევე შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.[43] კონკრეტული შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხვდება შესაბამისი ნორმის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.[44]

საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018. ასევე იხ. Case T-41/96, Bayer AG v Commission, [2000] ECR II-3383.

[39] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022 Case T-41/96, Bayer AG v Commission, Case T-41/96, [2000] ECR II-3383.

[40] Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021; შპს „სიტროენ ჯორჯიას" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/166, თარიღი: 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

[41] ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710.

[42] Case C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98; Case C-136/12, Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489;. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

[43] გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

[44] ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 201

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[45] გადამწყვეტია გაუფრთხილებლობითი ბრალის - „არ შეეძლოთ, რომ არ სცოდნოდათ“ - სტანდარტის დაკმაყოფილება.[46] მაგალითად, „საავტომობილო საწვავის” (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით“ დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.[47]

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას, შესაძლებელია განისაზღვროს ის ბაზარი, სადაც შესაბამისი შეთანხმების შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.[48] თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეზღუდვის ეფექტი ცალკე მტკიცებას არ საჭიროებს.[49]

1.2. პროცედურული რეგულირება.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული

---

[45] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19

[46] Case 246/86, BELASCO v Commission [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301

[47] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51

[48] შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხ., სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

[49] 5 Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society amd Barry Brothers (Carrigmore) Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, paras 29 ff. and others; აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021.

ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;
ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;
გ) მოიწვიოს ექსპერტი;
დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით. „პროცედურის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით სააგენტო მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ

თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ნაწილი 2. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში სახელმწიფოს მიერ საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხების მარეგულირებელ აქტს. შესაბამისად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი არეგულირებს აუდიოვიზუალური ნაწარმოების, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენება-გავრცელების უფლების საკითხს.

შესაბამისად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აუდიოვიზუალური ნაწარმოები” წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე, ვიდეო, დიაფილმები და სხვა)“. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი „გაქირავებას“ წარმოადგენს „ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისათვის მოგების მიღების მიზნით“.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ეს უკანასკნელი, მათ შორის, ნიშნავს უფლებას,

განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება) („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), ასევე, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან/და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი).

ჩვენს შემთხვევაში, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, დავის საგანი შეხება კინოთეატრის ბილეთებს, ხოლო უშუალო ობიექტი არის კინოპროდუქცია, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების დაცვის საგანს, როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი უფლების დაცულობის კუთხით. მისი საჯარო გადაცემის, საჯარო ჩვენების, გავრცელებისა და სხვა ქონებრივი უფლებებით სარგებლობისათვის კინომომწოდებლებსა და გამავრცელებლებს ეკისრებათ ვალდებულება წარმოადგინონ საავტორო უფლების მქონე პირებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მათ ანიჭებთ უფლებას გააშუქონ ანდა გაავრცელონ კონკრეტული ფილმი.

შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, შესაბამისი უფლებების შეძენის საფუძველზე ფლობს საქართველოს ბაზრისთვის განკუთვნილი კინოფილმების, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების/გავრცელების უფლებას აგრეთვე, ექსკლუზიურ უფლებას კინოგაქირავების მიმართულებით.

ნაწილი 3. ერთიანი ეკონომიკური აგენტის დოქტრინა კონკურენციის სამართალში

3.1. ურთიერთდამოკიდებული პირების ცნება ქართულ კანონმდებლობაში

„კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ” ქვეპუნქტის შესაბამისად, პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან:

ა) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და იმავდროულად სხვა

ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი; (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტი);

ბ) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და იმავდროულად ფლობს სხვა ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი; (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.ბ“ ქვეპუნქტი);

გ) პირი, რომელიც ფლობს ერთი ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას და იმავდროულად – სხვა ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი; (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.გ“ ქვეპუნქტი);

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებული პირები; (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.დ“ ქვეპუნქტი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შესაძლო ურთიერთდამოკიდებულების ჩამონათვალს. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ჩამოთვლის, თუ რა კავშირის მქონე პირები შესაძლოა ჩაითვალონ ურთიერთდამოკიდებულებად. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

3.2 ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და სააგენტოს პრაქტიკაში

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-6 და მე-7 მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება იმის დასადგენად, მოპასუხე კომპანიები მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნების საკანონმდებლო განმარტებას ქართული კანონმდებლობა მართალია არ იცნობს, თუმცა, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობა, ასევე, ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკა გვაძლევს მისი დეფინიციისა და გამოყენების სათანადო მაგალითებს. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებასთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა „სიტროენ ჯორჯიას“ საქმეში და მიიჩნია, რომ განცალკავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს **მჭიდრო ეკონომიკური კავშირი** და **ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი,** რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა[50].

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - TFEU) 101-ე მუხლის მიზნებისათვის, „ერთი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა გამოიყენება, ძირითადად, ორ შემთხვევაში: TFEU 101-ის მოქმედების გამორიცხვისთვის, ან შვილობილი კომპანიის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში (ე.წ. კარტელში) მონაწილეობის გამო, პასუხისმგებლობის დედა კომპანიისთვის შერაცხვის მიზნით.

საქმეში T-11/89, Shell International Chemical Company v Commission ევროკავშირის გენერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „ეკონომიკური აგენტი“ (ინგლ. “Undertaking”) მოიცავს „ისეთ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებსაც ახასიათებთ პერსონალის, მატერიალური და არამატერიალური ელემენტების ისეთი ერთობლივი ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური, გრძელვადიანი ეკონომიკური მიზანი და შეუძლიათ ხელი შეუწყონ აღნიშნულ მუხლში (TFEU 101) მოცემული დარღვევის ჩადენას.“[51]

ერთი პირის მიერ დაფუძნებულ ან ერთი პირის მიერ მართულ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინსტრუქციას შეიცავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საქმე 170/83, Hydrotherm v. Compact, საიდანაც იკვეთება, რომ სასამართლო ერთი ფიზიკური პირის მიერ სრულად კონტროლირებულ ეკონომიკურ აგენტებს განიხილავს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად.

---

[50] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 16; ასევე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 ივნისის N04/66 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 35

[51] T-11/89, Shell International Chemical Company v Commission of the European Communities [1992] ECLI:EU:T:1992:33, პარა. 311

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, ორი ან მეტი პირის ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას, შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული **კომპანიის რეალური ავტონომიისა** და **კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.** ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით და ისინი ავტომატურად, ყველა შემთხვევაში ვერ იქნებიან მიჩნეული ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.[52]

თავი III. შესაბამისი ბაზარი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.[53] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

---

[52] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის N04/65 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (სადაზღვევო ჯგუფის საქმე), გვ. 58-59

[53] „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტი

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[54]

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ მართებულად დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები, აუცილებელია განისაზღვროს ისეთი ბაზარი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა გააჩნია მოცემული დავის გადასაწყვეტად.

მომჩივანის მიერ საჩივარში განსაზღვრული დავის საგანი შეეხება კინოთეატრის ბილეთების „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის შემცველ ხელშეკრულებას, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მანამდე არსებული კონტრაქტორი ეკონომიკური აგენტებისათვის/ელექტრონული პლატფორმებისათვის (biletebi.ge, eventer.ge …) ბილეთების მიწოდების შეწყვეტა და ბაზრიდან განდევნა, რაც მომჩივანის აპელირებით მას აყენებს განსაკუთრებულ ზიანს. ამასთან, მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან” თანამშრომლობა არის ერთადერთი გზა კინოთეატრების ბილეთების ონლაინ გაყიდვის უფლებეის მოპოვებისათვის.

უშუალოდ პროდუქციული ბაზრის საზღვრებზე მსჯელობამდე, ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე რელევანტურ გარემოებაზე. კერძოდ, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ საერთაშორისო კინოსტუდიებთან თუ ოფიციალურ სადისტრიბუციო კომპანიებთან სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე საქართველოს ბაზარზე წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს, რომელიც შესაბამისი უფლებების შეძენის საფუძველზე ფლობს უცხოური კინოფილმების, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების/გავრცელების უფლებას ასევე, ექსკლუზიურ უფლებას კინოგაქირავების მიმართულებით.

[redacted]

[54] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.2.

[redacted].[55]

[redacted]

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის დავა წარმოიშვა ელექტრონული ბილეთების მიწოდების შეწყვეტის და ბაზრიდან განდევნის ნაწილში, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი - შპს „სადსტრიბუციო კომპანია“ ოპერირებს, როგორც ბილეთების, რეალიზაციის, ასევე დისტრიბუციის მიმართულებით, სააგენტო ქმედების შეფასებას ახორციელებს, როგორც კანონის მე-6 ასევე მე-7 მუხლის მიმართულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ იკვეთება ორ სხვადასხვა ვერტიკალურ დონეზე არსებული განსხვავებული სახის მომსახურებები. შესაბამისად, სადავო ქმედებების კანონის მე-6 ან/და მე-7 მუხლების კონტექსტში შესაფასებლად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მომსახურებათა შემდეგი სახეები:

სქემა N1

<u>მომსახურებათა საფეხურებრივი კლასიფიკაცია</u>

I დონე - კინოთეატრების სასეანსო მომსახურების ბაზარი

↓

II დონე - კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარი

↓

III დონე - კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარი

[55] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი 01/1694 და შესაბამისი დანართები

კინოთეატრების სასეანსო მომსახურების ბაზარი

კინოთეატრების სასეანსო მომსახურების ბაზარი წარმოადგენს ბაზარს, რომელზეც ეკონომიკური აგენტები გააჩნიათ რა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფენ მომხმარებლებისათვის კინოს დარბაზში ჩვენებას. სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარ მომსახურებას ფაქტობრივად ახორციელებს ექვსი ეკონომიკური აგენტი: შპს „კავეა გალერია“ (ს/ნ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/ნ: 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (ს/ნ: 404466001) - იგივე „კავეა ისთ ფოინთი“, შპს კავეა საბურთალო (ს/ნ: 404566082), შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/ნ: 404391564), შპს „ამირანი“ (ს/ნ: 204424587).

[redacted]

[redacted]

[redacted]“.[56] [redacted]

შესაბამისად, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ კინოთეატრებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოადგენს კინოთეატრის სასეანსო მომსახურების სუბიექტს.

კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარი

[56] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი 01/1696, აგენტი: შპს „კავეა გალერიას“, შპს „კავეა თბილისი მოლის“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ („კავეა ისთ ფოინთი“), შპს კავეა საბურთალოს“, შპს „აპოლო ბათუმის“, შპს „ამირანისა“ და შპს „სადისიტრბუციო კომპანიის“ 2023 წლის 2 ოქტომბრის წერილები რეგ.N01/3290

კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარი წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც გულისხმობს კინოთეატრების სეანსის ბილეთების მიწოდებას კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზატორებისათვის.

კინოპროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისა და კინოთეატრებში კინოსეანსების დაგეგმვისა და ორგანიზების უფლების საფუძველზე „სადისტრიბუციო კომპანიას“ ექმნება კინოთეატრებში კინოფილმების სეანსების მოწყობისა და ორგანიზების საშუალება, რაც წვდომას აძლევს საბოლოო მომსახურების სახით განახორციელოს კინოსეანსების ბილეთების დისტრიბუცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს შპს „სადისტრიბუციო კომპანია“.

კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარი

კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარი წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც გულისხმობს საბოლოო მომხმარებლამდე კინოსეანსის ბილეთების მიწოდებას როგორც ფიზიკური ასევე, ელექტრონული სახით. კინოთეატრების ბილეთების რეალიზება ხორციელდება, როგორც ფიზიკური მხოლოდ კინოთეატრების სალაროებიდან, ასევე ელექტრონული ფორმით. პირველ შემთხვევაში, რეალიზაცია ხორციელდება თავად კინოთეატრების მიერ (სალაროების მეშვეობით), ხოლო მეორე შემთხვევაში შესაბამისი უფლების მქონე კომპანიების ვებ-გვერდების მეშვეობით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს, სადავო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე) მდგომარეობით წარმოადგენენ: შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (როგორც ონლაინ მის მიერ მართვადი ვებგვერდების: cavea.ge და kinoafisha.ge და აპლიკაცია Cavea Cinemas-ზე განთავსების გზით, აგრეთვე კინოთეატრის სალაროების მეშვეობით) აგრეთვე, შპს “თინეთი“ (ვებგვერდ tkt.ge-ის მეშვეობით).

სააგენტო განმარტავს, რომ ზედა დონისაა ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა (Upstream Market).[57] კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, **ზედა დონის ბაზრის განსაზღვრა და მასზე საბაზრო ძალაუფლების არსებობის ფაქტის დადგენა ვერტიკალური შეთანხმებების, ვერტიკალური კონცენტრაციების და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ანალიზის არსებითი ნაწილია.[58]**

[57] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 67.
[58] Whish & Bailey, Competition Law (9th ed.), 697-784.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ქვედა დონისაა ბაზარი, რომელზეც მოქმედი ეკონომიკური აგენტები იძენენ ,,ზედა დონეზე" არსებული ეკონომიკური აგენტების ნაწარმს, რაც აუცილებელია იმ საქონლის დასამზადებლად ან მომსახურების მისაწოდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარ კლიენტებზე ყიდიან (Downstream Market).[59]

ზედა დონის ბაზრის განსაზღვრის ანალოგიურად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ქვედა დონის ბაზრის განსაზღვრა, მასზე საბაზრო ძალაუფლების ფაქტის არსებობა-არარსებობის დადგენა შესაბამისი ქმედების ანალიზის რელევანტური ნაწილია. თითოეულ შემთხვევაში შეფასების საგანია - ხომ არ ხდება ან ხომ არ მოხდება ზედა დონის ბაზარზე არსებული საბაზრო ძალაუფლების გამოყენება ქვედა დონის ბაზარზე წვდომის შესაზღუდად ან პირიქით.[60]

ასევე გასათვალისწინებელია, რომ დავის საგანი შეეხება ექსკლუზიური გარიგების დადებას. ასეთ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, რომ ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იგი იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელს (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და შემძენს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის.[61]

იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი ქვედა დონის ბაზრის ჩაკეტვას უკავშირებს ზედა დონის ბაზრის „ძირითად რესურსს"/„არსებით საშუალებას", უმნიშვნელოვანესია შეფასდეს კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუტორის, როგორც კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზრის „ძირითადი რესურსის"/„არსებითი საშუალების" მოცემულობა, ანუ უნდა გაანალიზდეს რამდენად ხელმისაწვდომია ბაზარზე კინოთეატრის ბილეთები, კინოთეატრის ბილეთების რეალიზატორი კომპანიებისთვის, რამეთუ ზედა დონის ბაზრის ძირითადი რესურსი წარმოადგენს ქვედა დონის ბაზარზე შესვლის ერთგვარ გასაღებს. კონკრეტულად კი დასადგენია განსაზღვრავს თუ არა კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუტორთან ხელშეკრულების დადება კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე ოპერირების საკითხს.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები; ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები; გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

---

[59] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 158.

[60] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 ივნისის N04/91 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის N04/65 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე, გვ. 33-34.

[61] ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 432.

ნაწილი 2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისათვის სააგენტო ყურადღებას აქცევს მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომელიც, მისივე პოზიციით, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების შემცველია. კერძოდ, მომჩივანის განმარტებით, მოპასუხე კომპანიებს შორის დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში ე.წ. „ექსკლუზიური დათქმა“ (რაც შპს „თინეთს“ ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებს ელექტრონული ბილეთების რეალიზაციის კუთხით), იმ პირობებში, როდესაც ბაზარზე არ არსებობს კინოთეატრის ბილეთების სხვა დისტრიბუტორი და ბილეთების მოპოვების ალტერნატიული შესაძლებლობა, მას საშუალებას ართმევს, მონაწილეობა მიიღოს კინოთეატრების ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე რაც, საბოლოო ჯამში, ზღუდავს ბაზარზე დაშვებასა და შესაბამისად, კონკურენციას.

საჩივარში მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ექსკლუზიური შეთანხმების შედეგად, მას არ ეძლევა შესაძლებლობა საკუთარ ონლაინ პლატფორმაზე მოახდინოს კინოთეატრების ელექტრონული ბილეთების რეალიზაცია.

[redacted]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც გააჩნია კინოთეატრების ბილეთების დისტრიბუციის უფლება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კინოთეატრების ვებგვერდების გარდა, ნებისმიერ სხვა შემთხვევებში ის წარმოადგენს აუცილებელ კონტრაჰენტს ნებისმიერი ეკონომიკურ აგენტისათვის, ვისაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შევიდეს ან განაგრძოს ოპერირება კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე, ვინაიდან სწორედ „სადისტრიბუციო კომპანიამ“ უნდა გადასცეს შესაბამისი უფლება დაინტერესებულ სუბიექტს.

სააგენტო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პრაქტიკაში კინოთეატრების ბილეთების რეალიზება ხორციელდება, როგორც ფიზიკური მხოლოდ კინოთეატრების სალაროებიდან ასევე, ელექტრონული ფორმით. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბილეთების რეალიზაციის უფლების მიღება (რაზეც თავად მომჩივანიც აპელირებს) და მისი საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების ორგანიზების ფორმა, გულისხმობს მხოლოდ ბილეთების ელექტრონული სახით რეალიზაციას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თავად შპს „სადისტრიბუციო კომპანიაც" ქვედა დონის ბაზარზე - კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე, ირიბად მონაწილეობს იმგვარად, რომ ის მართავს კინოთეატრების ვებ გვერდებსა და მათზე განთავსებული ელექტრონული ბილეთების რეალიზების პროცესს.

ელექტრონულ კომერციაში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, როდესაც საცალო გაყიდვების არხი სახეზეა როგორც ელექტრონულად, ასევე, ფიზიკური ფორმით, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩანაცვლებადობის საკითხი, რაც მოითხოვს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზს და გულისხმობს მომხმარებელთა პრეფერენციების, ტექნოლოგიური და ბიზნეს ინოვაციისა და პროდუქტის მახასიათებლების შეფასებას,[62]

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით, კინოთეატრის ბილეთების რეალიზაცია საცალო ბაზარზე, ხორციელდება ორი გზით, პირველ შემთხვევაში თავად სადისიტრიბუციო კომპანიის/კინოთეატრების მიერ (სალაროების მეშვეობით), ხოლო, მეორე შემთხვევაში მხოლოდ ელექტრონული ბილეთების მოპოვებისა და მისი ონლაინ რეალიზების გზით.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრანებით დატკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

ხოლო, ამავე მითითებების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორის წარმოებაზე გადასვლის სიმარტივის ხარისხი.

იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე მოქმედი ანდა პონტეციური ეკონომიკური აგენტებისათვის (როგორც მომჩივანის „შპს ელ.ბილეთების" ასევე მოპასუხის, შპს „თინეთის", შპს „ივენთერის და ა.შ.) კინოთეატრების ბილეთების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ

[62] იხ. OECD გზამკვლევი კონკურენციის პოლიტიკაზე ელ.კომერციის ზეგავლენის შესახებ, https://www.oecd.org/daf/competition/implications-of-e-commerce-for-competition-policy-2018.pdf გვ. 36

ელექტრონული ფორმით, იყენებენ რა ამ მიზნით მათ მართვაში/მფლობელობაში არსებულ ვებგვერდებსა თუ აპლიკაციებს, მათი მხრიდან ვერ მოხერხდება აღნიშნული ფორმის ბილეთების ფიზიკური ფორმით ჩანაცვლება, სალაროში რეალიზაცია და ოფლაინ გაყიდვებზე გადართვა, მათ შორის მომსახურების მახასიათებლებიდან გამომდინარე და იმ გარემოებიდან გამომდიანრე, რომ მიწოდების ძირითად პირობებს ადგენს სწორედ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“. გარდა ამისა, სააგენტოში წარდგენილი საჩივარი ეხება სწორედ აღნიშნული უფლების (კინოთეატრის ბილეთების ელექტონული რეალიზაციის) მიღების შესაძლებლობის შეზღუდვასა და შეზღუდვის შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან, ვინაიდან მომჩივანის მითითებით უფლება შეეზღუდა სწორედ კინოთეატრის ბილეთების ელექტრონული რეალიზაციის ბაზარზე.

მომსახურების მახასიათებლების და გამოყენების მიზნების შესაბამისად, სააგენტოს მიერ, საჩივრით განსაზღვრული ქმედებების შეფასებისას, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით, **შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა კინოთეატრების ბილეთების ელექტრონული/ონლაინ საცალო რეალიზაცია, ხოლო ზედა დონის ბაზრის პროდუქციულ საზღვრად განსაზღვრულ იქნა კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუცია.**

ნაწილი 3. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

კინოთეატრების ბილეთების რეალიზაცია ფიზიკური გზით შესაძლებელია მხოლოდ კინოთეატრების სალაროებიდან, რომლებიც განთავსებულია უშუალოდ კინოთეატრებში, ხოლო ელექტრონული ბილეთების რეალიზება და შეძენა კი შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობებიდან საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან ინტერნეტის მეშვეობით და უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტეროტორიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, - კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის **ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს წარმოადგენს საქართველოს მთელი ტერიტორია.**

ნაწილი 4. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში

კინოთეატრების ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ ბაზარს **არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.**

ნაწილი 5. შუალედური დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტო ადგენს შესაბამისი ბაზრის შემდეგ საზღვრებს:

ა) შესაბამისი ბაზრის **პროდუქციული** საზღვრები - **კინოთეატრების ბილეთების საცალო ელექტრონული/ონლაინ რეალიზაცია;**

ბ) შესაბამისი ბაზრის **გეოგრაფიული** საზღვრები - **საქართველოს მთელი ტერიტორია**

გ) დროითი ჩარჩოები - შესაბამის ბაზარს **დროითი ჩარჩოები არ გააჩნია.**

აღნიშნული საზღვრების გათვალისწინებით, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს - საქართველოს ტერიტორიაზე კინოთეატრის ბილეთების საცალო ელექტრონული/ონლაინ რეალიზაციის ბაზარი.

თავი IV. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე

ნაწილი 1. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტი

განსახილველი საჩივარი ეხება კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე მხარედ განსაზღვრულია შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ რაც მომჩივანის განმარტებით გამოიხატება მოპასუხე მხარის მიერ ბაზრის შეზღუდვაში, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ელ.ბილეთებმა“ დააკმაყოფილა მოპასუხის მიერ

დაყენებული ყველა მოთხოვნა, „სადისტრიბუციო კომპანიამ“ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე, რითიც შეიქმნა ბაზარზე შესვლის ხელოვნური ბარიერი და ფაქტობრივად, მომჩივანი განიდევნა ბაზრიდან, რამეთუ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ფლობს დომინანტურ პოზიციას კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე და წარმოადგენს ერთადერთ და აუცილებელ კონტრაჰენტს, კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესასვლელად.

როგორც უკვე აღინიშნა, საჩივარში დასმული დავის საგანი შეეხება 2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ წარმოებულ მოლაპარაკებებს კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზატორ კომპანიებთან, მომჩივანთან და ერთ-ერთ მოპასუხე შპს „ონლაინ თიქეთსთან“, რომლის შედეგადაც, ამ უკანასკნელთან გაფორმდა „ექსკლუზიური მიწოდების“ შემცველი ხელშეკრულება და რომლის საფუძველზეც, მომჩივანი კომპანიის პოზიციით განიდევნა ბაზრიდან და შეიზღუდა ბაზარი.

კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში განსახილველ ზემოაღნიშნულ სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სააგენტო აღნიშნავს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში შეფასებულ უნდა იყოს მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის ფაქტი, ხოლო, რაც შეეხება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (დღევანდელი შპს „თინეთი“) შორის დადებულ „ექსკლუზივის პირობის“ შემცველ სადავო მიწოდების ხელშეკრულების შეფასებას კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლების, მოკვლევის პროცესში მომჩივანისა და მოპასუხეებისაგან მიღებული ინფორმაციის/მტკიცებულებებისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო აღნიშნულ სადავო გარემოებას შეაფასებს კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა, ხოლო, ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად - წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეფასდეს ეკონომიკური აგენტის ქმედებათა შესაბამისობა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან მიმართებით, აუცილებელია, საჩივარში მითითებული ქმედება ექცეოდეს აღნიშნული ნორმის დისპოზიციაში. აგრეთვე, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ქმედება, აუცილებელია შემდეგი ორი ძირითადი წინაპირობის კუმულატიურად არსებობა: 1) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და 2)

აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, დასახელებული ნორმის დარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში, მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს პირველადი შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე დასახელებული ორი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის ფაქტი.

ნაწილი 2. დომინანტური მდგომარეობა

2.1. ზოგადი მიმოხილვა

დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო ადრესატს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობას. კონკურენციის სამართალი აწესებს აკრძალვებს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, რათა დაცულ იქნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი, დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი კუთვნილი საბაზრო წილია.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინანტური მდგომარეობა არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დომინანტური მდგომარეობის საკანონმდებლო დეფინიცია შინაარსობრივად იმეორებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა

გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს მისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია.[63] ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან, რომელთაგან ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა არ იყოს საკმარისი მსგავსი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.[64] თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე არსებული საბაზრო წილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დომინანტური მდგომარეობის დასადგენად.[65]

მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, როდის და რა შემთხვევებში აქვს ეკონომიკურ აგენტს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის/მომსახურების მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებაზე, სადაც კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. ამდენად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნდეს 40 პროცენტიანი საბაზრო წილი, თუმცა სხვა მტკიცებულებებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, იგი მაინც ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის მქონედ. სხვაგვარად რომ ითქვას, საბაზრო წილის 40 პროცენტიანი ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს,“ რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები.

დამატებით გარემოებებსა და მტკიცებულებებთან მიმართებით სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, „ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის

[63] ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 65; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 38; ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, “Michelin”, § 30; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90
[64] ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 66; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90
[65] ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 39/3; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90

წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.“ დასახელებული ნორმით კანონმდებელი აკონკრეტებს იმ გარემოებებისა თუ მტკიცებულებების სახეებსა და ფორმებს, რომელზეც ასეთ დროს შეიძლება აქცენტი გაკეთდეს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას.

საბაზრო წილთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალიან მაღალი საბაზრო წილი, გარდა განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევებისა, თავისთავად წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებას.[66] აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება, სხვა სახის მტკიცებულებებისა თუ გარემოებების არსებობის აუცილებლობაზე ქართველი კანონმდებელი არანაირ სპეციალურ დათქმას არ აკეთებს. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 40 პროცენტზე მეტი საბაზრო წილის ფლობა, როგორც წესი, მიუთითებს ეკონომიკური აგენტის ისეთ საბაზრო ძალაუფლებაზე, რომელიც მას აძლევს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, კონკრეტული საბაზრო მოცემულობის, ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებითა და კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მხედველობაში მიღებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სხვა ფაქტორებისა თუ პარამეტრების გაანალიზებაც.

სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული მოკვლევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია კონკრეტული საბაზრო ქცევის მომენტში იმის იდენტიფიცირება, არსებობდა თუ არა (და რა ხარისხით), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული წნეხი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რამდენად და რა ხარისხით გააჩნდათ კონკურენტული წნეხის შექმნის შესაძლებლობა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს ხელშეკრულების დადებაზე მომჩივანისათვის უარის თქმისა და „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ დადების დროს. რაც შეეხება წნეხის არსებობას, ის განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა მდგომარეობით (ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევის უნარით) და წილობრივი წარმომადგენლობით შესაბამის ბაზარზე.

2.2. საბაზრო წილი

ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის განსაზღვრის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ სუბიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე.

[66] ECLI:EU:C:1986:192, “AKZO Chemie BV” , § 60; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 4

როგორც აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში მოპასუხე მხარეა - შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, ხოლო მისი საბაზრო ძალაუფლება უნდა შეფასდეს ზედა დონის ბაზარზე, ანუ კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა, რამეთუ სწორედ სადისტრიბუციო/მიწოდების მომსახურებაზე უარის თქმითა და ექსკლუზიური კონტრაქტორის შერჩევის გზით ბილეთების რეალიზაციის ბაზრიდან განდევნაზე და ბაზრის შეზღუდვაზე აპელირებს მომჩივანი, რადგანაც მომჩივანისა და სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ზედა დონის ბაზარზე „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ მომსახურების გაწევა აუცილებელი მომსახურებაა ქვედა დონის ბაზარზე ოპერირებისათვის.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ ან საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით ან სხვა საშუალებებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის - შპს „სადისიტრიბუციო კომპანიის“ მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ ის არის საქართველოს ტერიტორიაზე აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (ფილმების) ჩვენების უფლების მქონე ერთადერთი კომპანია და შესაბამისად, ერთადერთი დისტრიბუტორიც,[67] სააგენტო ბაზარზე მოქმედი სუბიექტების იდენტიფიცირების და შესაბამისი საბაზრო წილების დადგენის პროცესში ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მხარის განმარტებას.

მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ დაფუძნდა 2016 წელს და როგორც თავად უთითებს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე კინოპროდუქციის შემოტანა და მისი რეალიზაცია ონლაინ პლატფორმებისა და კინოთეატრებში ჩვენების გზით.[68]

[redacted]

როგორც უკვე ითქვა, მოპასუხე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სადისტრიბუციო კომპანია“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოტანილი ფილმების ერთადერთი შემომტანი კომპანიაა.[69]

[redacted]

[67] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი
[68] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისი წერილი N01/1694
[69] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი

[redacted]

[redacted].[70]

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით,“ ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მიმწოდებლის) წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით.

სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში განხორციელდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზის საფუძველზე მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ საქმიანობის კოდის მიხედვით (NACE2 – 59.13.0 – „კინოფილმების, ვიდეო და სატელევიზიო პროგრამების გავრცელებასთან დაკავშირებული საქმიანობები“) 2023 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, ოპერირებადი აქტიური ექვსი ეკონომიკური აგენტის[71] იდენტიფიცირება, რომელთაც სააგენტოს მიერ გაეგზავნათ წერილები,[72] იმის გასარკვევად, თუ რამდენად ახორციელებდნენ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ეკონომიკურ საქმიანობას. მიღებულის საპასუხო წერილებით გაირკვაა, რომ ისინი არ ოპერირებენ აღნიშნულ ბაზარზე და არ ახორციელებენ კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუცია/მიწოდების საქმიანობა, არამედ საქმიანობენ სხვა ეკონომიკური მიმართულებით.[73]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ საერთაშორისო კინოსტუდიებთან თუ ოფიციალურ სადისტრიბუციო კომპანიებთან სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე[74] საქართველოს ბაზარზე წარმოადგენს ე.წ.

---

[70] შპს „თინეთის“ 2023 წლის 5 მაისის წერილი N01/1518

[71] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 21 აპრილის მოხსენებითი ბარათი N03/266 და შესაბამისი დანართები, 2023 წლის 5 ივნისის N03/375 მოხსენებითი ბარათი შესაბამისი დანართები, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების სამმართველოს უფროსის, მოკვლევის ჯგუფის წევრის 2023 წლის პირველი მაისის N 03/295 მოხსენებით ბარათი და შესაბამისი დანართი

[72] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის პირველი მაისის წერილები N01/1165, N01/1166, N01/1167, N01/1168 და 2023 წლის 2 მაისის წერილები N01/1169, N01/1170

[73] 2023 წლის 2 მაისის წერილი N01/1448, 2023 წლის 5 მაისის წერილი N01/1510, 2023 წლის 3 მაისის წერილი N01/148, 2023 წლის პირველი ივნისის წერილი N01/1824

[74] „დღეს დადგენილი კომერციის სტანდარტები კინოინდუსტრიაში შეუძლებელს ხდის საქართველოს ზომის ქვეყანაში ერთზე მეტი კინოდისიტრიბუციის კომპანიის არსებობას. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კინოს გადამღები კომპანიები, როგორც წესი, არ ახორციელებენ მის გაყიდვას ცალკეულ კინოთეატრებზე, არამედ დებენ ხელშეკრულებებს მთელ ბაზარზე დისტრიბუციის შესახებ -“ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი

მონოპოლისტ, ერთადერთ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც შესაბამისი უფლებების შეძენის საფუძველზე ფლობს უცხოური კინოფილმების, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების/გავრცელების უფლებას და ასევე, ფლობს ექსკლუზიურ უფლებას კინოგაქირავების მიმართულებით.

შესაბამისად, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის რა კინოთეატრის ბილეთების სადისტრიბუციო ბაზარზე ოპერირებადი ერთადერთი სუბიექტი, იგი ფლობს 100 პროცენტიან წილს და წარმოადგენს ამ ბაზრის დომინანტ ეკონომიკურ აგენტს. ამასთანავე, „სადისტრიბუციო კომპანია“ არ განიცდის წნეხს სხვა კონკურენტი აგენტებისაგან და მთელი რიგი სუბიექტებისათვის (ქვედა დონის ბაზარზე - კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე შესვლის/დარჩენის მსურველი ეკონომიკური აგენტებისათვის) წარმოადგენს ერთადერთ პოტენციურ კონტრაჰენტს და აუცილებელ სავაჭრო პარტნიორს.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ **მოპასუხე ეკონომიკური აგენტის სახით საქმე გვაქვს ბაზრის დომინანტ სუბიექტთან** და იგი უდავოდ წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო ადრესატს.

2.3. შუალედური დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდავოდ იქნა დადგენილი შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ დომინანტური მდგომარეობა საქართველოს ტერიტორიაზე კინოთეატრის ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე, შესაბამისად, იგი წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლით შეფასების სუბიექტს, ხოლო შეფასების საკითხია 2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ წარმოებული მოლაპრაკებების პროცესში შპს „ელ.ბილეთებისათვის“ კინოთეატრის ბილეთების მიწოდებაზე უარი, როგორც დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტი.

მოკვლევა მიმდინარეობდა, აგრეთვე, კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, რა ნაწილშიც შეფასების საგანია შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ წარმოებული მოლაპარაკებები და შედეგად შპს „ონლაინ თიქეთსთან“ (დღევანდელი შპს „თინეთი“) დადებული „ექსკლუზიური მიწოდების“ დათქმის შემცველი ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, კანონის მე-6 და მე-7 მუხლების ფარგლებში განსახილველი ქმედებები არის ერთი მთლიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი და გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-6 და მე-7 მუხლის ქმედებათა შემადგენლობები პრაქტიკულად იდენტურია და მათ ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს, როგორც ქმედების ჩამდენი სუბიექტი, ასევე სუბიექტთა ნებათა თანხვედრის არსებობა/არ არსებობა. კანონის მე-6 მუხლის პირობებში ამგვარ სუბიექტს წარმოადგენს დომინანტი ეკონომიკური აგენტი (აგენტთა ჯგუფი) და ქმედება განხორციელებულია ცალმხრივი ნებით,

ხოლო მე-7 მუხლის პირობებში სახეზე გვაქვს მინიმუმ ორი დამოუკიდებელი სუბიექტი და ქმედება განხორციელებულია მხარეთა ნების თანხვედრით.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოკვლევის პროცესში გამოკვეთილი გარემოებების, მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაციის, მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებებისა და შესწავლილი მტკიცებულებების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოცემულ საქმეში სადავო ქმედებასთან მიმართებით წარმოიშვა გონივრული ეჭვი არაცალმხრივი კოორდინაციისა და კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ერთი და იგივე ქმედება ვერ შეფასდება განცალკევებულად, როგორც კანონის მე-6, ასევე კანონის მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევა, სააგენტომ მიიჩნია, რომ მოკვლევის ფარგლებში სადავო ქმედება არ უნდა არ შეფასდეს მხოლოდ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ განხორციელებული ცალმხრივი ქმედების გადმოსახედიდან, არამედ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა დამოუკიდებელ სუბიექტთა სავარაუდო ნებათა თანხვედრა, კონკრეტული საბაზრო პოლიტიკის არჩევისა და ბაზარზე ოპერირების სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით. შესაბამისად სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ***მოკვლევა და შესაბამისი ქმედებების შეფასება განეხორციელებინა კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით.***

თავი V. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიმდინარე მოკვლევა სააგენტოში დაწყებულია საჩივრის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მხოლოდ არბიტრის როლშია, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ხოლო მხარეებს მომჩივანი და მოპასუხე სუბიექტები წარმოადგენენ. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის შემომტანი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს,

უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.[75]

ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს მომჩივანის სამართლებრივ სტატუსს. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომჩივანი არის პირი, რომელსაც კანონის დარღვევის შედეგად უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. შესაბამისად, საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში სააგენტო, ძირითადად, ფოკუსირდება მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებულ ისეთ სადავო ქმედებაზე/ქმედებებზე, რომლის შედეგადაც, სავარაუდოა, რომ მომჩივანს ადგება ზიანი.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ამკრძალავ საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, „აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა“.

იმისათვის რომ დადგინდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულ გადაწყვეტილებას ან განხორცილებულ შეთანხმებულ ქმედებას, მიზნის ანდა შედეგის სახით აქვს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამასთანავე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ქმედება შესაძლოა ჩადენილ იქნეს მინიმუმ ორი აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით.

როგორც ითქვა, საჩივარში მითითებული მოპასუხე სუბიექტებია: შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „ონლაინ თიქეთსი“ (2023 წლის 12 აპრილის შერწყმის შემდგომ სტატუსი აქტიური აღარ არის და მისი სამართალმემკვიდრეა შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)), შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ:204854595) და TBC Bank Group PLC (ს/ნ: 10029943).

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების (კანონის მე-7 მუხლი) შეფასების ნაწილში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარ სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაზე, კერძოდ, მომჩივანის პრეტენზია შეეხება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (2023 წლის 12 აპრილის შერწმის

[75] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.55

შემდგომ სამართალმემკვიდრეა შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის[redacted] დადებული კინოთეატრის ბილეთების ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულების „ექსკლუზიურობის“ დათქმაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მხარე ოთხი მოპასუხე ეკონომიკური აგენტიდან არის მხოლოდ ორი, მომჩივანი მიუთითებს, რომ შპს „თინეთი“ მოქმედებდა რა სს „თიბისი ბანკსა“ და TBC Bank Group PLC-თან კოორდინაციაში, რადგან შპს „თინეთის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე არის TBC Bank Group PLC, ხოლო სს „თიბისი ბანკსა“ და TBC Bank Group PLC-ს ჰყავთ ერთი და იგივე გენერალური დირექტორი და წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს, შესაბამისად, შპს „თინეთმა“ ისარგებლა მისი მოკავშირე მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბანკო ზეგავლენით და მოიპოვა ექსკლუზიური ხელშეკრულება შპს „სადისტრიბუციო კომპანიისაგან“, რამეთუ ამ უკანასკნელს გააჩნია გარკვეული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების სს „თიბისი ბანკთან“.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სადავო ქმედების შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ უნდა განისაზღვროს **შესაბამისი ბაზარი, (აღნიშნული უკვე იქნა განსაზღვრული III თავში), ამის შემდეგ უნდა გაანალიზდეს სადავო შეთანხმება. სააგენტო მიუთითებს, რომ სანამ უშუალოდ სადავო ხელშეკრულების შინაარსი და მისი კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათი შეფასდება, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია და თავად სადავო ხელშეკრულებასთან არსებითად დაკავშირებულია სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო სამივე მხარე, როგორც სადავო ხელშეკრულების ხელმომწერი მოპასუხე ეკონომიკური აგენტები, აგრეთვე მომჩივანიც. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა მის შედეგზე - ხელშეკრულების დადებაზე ორ მოპასუხე მხარეს შორის. გარდა ამისა, მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში მხარეთა ძირითადი აპელირება, როგორც წერილობით თუ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე, ისევე, როგორც ახსნა-განარტებით შეხვედრაზე, მიემართებოდა სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესს, ამ პროცესში განხორციელებულ ქმედებებს, შეთავაზებებსა და გამოვლენილ ნებას, ამიტომაც სააგენტო რელევატურად მიიჩნევს, მომჩივანის მიერ კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული შეთანხმების ფარგლებში, განიხილოს და შეაფასოს სახელშეკრულებო მოლაპარაკებები, აგრეთვე შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის დადებული [redacted] ხელშეკრულება და ის, თუ რამდენად გააჩნდა კონკურენციის შეზღუდვის ეფექტი აღნიშნულ სადავო ხელშეკრულებას.**

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოთ მოცემული წინაპირობების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ევროკავშირის კონკურენციის სამართალი, ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც პასუხობს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებსა და ამოცანებს.

როგორც ცნობილია, 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალაში ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის[76] (შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება“). შეთანხმების 204-ე მუხლი ადგენს, რომ მხარეებს მათ ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებულ კონკურენციის საწინააღმდეგო ცალმხრივ ქმედებებზე. გარდა ამისა, მხარეებს უნდა გააჩნდეთ კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების - „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის“ შექმნისა და აღსრულების პროცესში, არსებითი როლის მატარებელია მსოფლიოს წამყვანი იურისდიქციების, პირველ რიგში, კი, თავად ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.

საქართველოს კონკურენციის სამართლის ნორმების გამოყენებისა თუ განმარტების მიზნებისათვის ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიდგომების მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილს უმეტესწილად აფუძნებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებში მოცემულ განმარტებებზე.[77]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის რელევანტური ნორმების განმარტებისას. <u>საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური გამოწვევების, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების, ქვეყნის შესაბამისი ბაზრების სპეციფიკის, ამ ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების/შენარჩუნების/განვითარებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით, სააგენტო მხედველობაში იღებს ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს.</u>

[76] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება - ბს-595-592 (კ-17), გვ.9

ნაწილი 2. ერთიანი ეკონომიკური აგენტი

2.1. კინოთეატრები, როგორც ერთიანი ეკონომიკური აგენტი

მომჩივანი საჩივარში აღნიშნავს, რომ სახეზეა ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC-ის სახით, ხოლო დამატებით ახსნა-განმარტებით სხდომაზე აფიქსირებს, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“და საქართველოს კინოთეატრები არის იგივე „კავეა.“[78]

სააგენტო აღნიშნავს, რომ კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიჩნევას „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად“. ხსენებული საჭიროებს დამატებით მსჯელობას და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას (იხ.თავი II, ნაწილი 3, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი).

მოცემულ საქმეში მოკვლევის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, მოპოვებული მტკიცებულებებისა თუ მხარეთა ახსნა-განმარტებების მიღების შემდგომ მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამდენად წარმოადგენენ შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა გალერია“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (კავეა ისთ ფოინთი), შპს „კავეა ლისი იპოდრომი“, შპს „ამირანი“, შპს „აპოლო ბათუმი“ და სს „კინოთეატრი რუსთაველი“ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, რაც გულისხმობს მათი სამართლებრივი მდგომარეობის, წილობრივი მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასებას.

სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა ინფორმაცია ზემოხსენებულ თითოეულ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, რაც შემდგომ გადამოწმდა ახსნა-განმარტებების ეტაპზეც. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით, მოცემულ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებული კორპორაციულ-სამართლებრივი მონაცემების, წილობრივი მონაწილეობის და ურთიერთმიმართების, ხელმძღვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირების კავშირების შესახებ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოცემული ეკონომიკური აგენტები წილობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან ხუთი ფიზიკური პირით: ოთარ ბუბაშვილი, ბაკურ ლაშქარავა, ბესიკ აბესაძე, გიორგი ბაზღაძე, კახაბერ ლელაშვილი. კერძოდ:

- **შპს „ამირანი“-ს** 85% წილის მესაკუთრე არის **სს „კინოთეატრი რუსთაველი“** (ს/ნ 204439170);
- **შპს „კავეა საბურთალო“-ს და შპს „კავეა გალერია“-ს** დირექტორი და 100% წილის მესაკუთრე არის **ოთარ ბუბაშვილი** (პ/ნ 01017006798), რომელიც, ამავდროულად, წარმოადგენს **სს „კინოთეატრი რუსთაველი“-ს** გენერალურ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.

[78] 2023 წლის 12 სექტემბრის ახსნა-განმარტებითი შეხვედრის სხდომის ოქმი N3 და შესაბამისი დანართი

- **შპს „კავეა თბილისი მოლი“-ს** 100% წილის მესაკუთრე და **შპს „აპოლო ბათუმი“-ს** 11.25% წილის მესაკუთრეა **ბაკურ ლაშქარავა** (პ/ნ 01024015525), რომელიც, ამავდროულად, არის **სს „კინოთეატრი რუსთაველი“-ს** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- **შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“** დირექტორი და 100% წილის მესაკუთრეა **ბესიკ აბესაძე** (პ/ნ 01024015435), რომელიც, ასევე, და **შპს „აპოლო ბათუმი“-ს** 11.25% წილის მესაკუთრეა;
- **შპს „კავეა ლისი იპოდრომი“-ს** დირექტორი და 100% წილის მესაკუთრე და **შპს „აპოლო ბათუმი“-ს** 5% წილის მესაკუთრეა **კახაბერ ლელაშვილი** (პ/ნ 01001054675);
- **შპს „აპოლო ბათუმი“-ს** 50% წილის მესაკუთრეა **გიორგი ბაზღაძე** (პ/ნ 01024002833), რომელიც, ასევე, წარმოადგენს **სს „კინოთეატრი რუსთაველი“-ს** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს (იხ. სქემა N2).

<u>სქემა N2:</u> *შპს „კავეა საბურთალო“-ს, შპს „კავეა გალერია“-ს, შპს „კავეა თბილისი მოლი“-ს, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“, შპს „კავეა ლისი იპოდრომი“-ს, შპს „ამირანი“-ს, შპს „აპოლო ბათუმი“-ს და სს „კინოთეატრი რუსთაველის“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ*



[redacted] შესაბამისად, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ნაწილში, შპს „კავეა ლისი იპოდრომი“ არ იქნება

გათვალისწინებული. ამასთან, მოკვლევის პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა სს „კინოთეატრი რუსთაველის“ არსებობისა და მისი საქართველოს სხვა ძირითად კინოთეატრებთან კავშირის ფაქტი (იხ. სქემა N2). საკონსულტაციო შეხვედრასა და ახსნა-განმარტებით სხდომაზე[79] [redacted], გარდა ამისა, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არც სს „კინოთეატრ რუსთაველთან“ არ იმყოფებოდა შესაბამის სახელშეკრულებო ურთიერთობაში განსხვავებით „კავეა ჯგუფში“ შემავალი სხვა კინოთეატრებისა, შესაბამისად, საჩივრის ფარგლებში დასმულ სადავო საკითხებთან, დაკავშირებით ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ნაწილში არც სს „კინოთეატრი რუსთაველი“ იქნება გათვალისწინებული.

ზემოთ მოცემული სქემა ცხადყოფს ურთიერთდამოკიდებულების ფაქტს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, თუმცა, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დასადგენად, ასევე, აუცილებელია შეფასდეს ავტონომიურობის ხარისხი.

[redacted][80] [redacted].[81] აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, დადასტურდა მოცემული ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების მიერ ახსნა-განმარტებით სხდომაზე.[82]

გარდა ამ წილობრივი სქემისა, სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (კავეა ისთ ფოინთი), შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „კავეა გალერია“, შპს

[79] იხ. 2023 წლის 5 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო დანართი; ასევე, 2023 წლის 15 სექტემბრის საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1 და შესაბამისი დანართი

[80] სააგენტოში შემოსული 2023 წლის 2 ოქტომბრის N01/3290 წერილი.

[81] სააგენტო აქვე აღნიშნავს, რომ მოცემული პირი არ ფიგურირებს „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრების სამეწარმეო ამონაწერებში. ამონაწერებში. იგი სს „კინოთეატრი რუსთაველის“ (ს/ნ204439170) სამეწარმეო ამონაწერში ფიქსირდება, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

[82] იხ. 2023 წლის 5 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი დანართი აუდიო ჩანაწერი, ასევე, 2023 წლის 15 სექტემბრის საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1 და შესაბამისი დანართი აუდიო ჩანაწერი

„კავეა საბურთალო“, შპს „აპოლო ბათუმი“ და შპს „კავეა ლისი იპოდრომი“[83] იზიარებენ საერთო იურიდიულ მისამართს, კერძოდ, ინგოროყვას ქ.N21, ქ.თბილისი. ასევე, მოცემულ კინოთეატრთა სახელწოდებების დიდ ნაწილს პრეფიქსულად წინ უძღვის საერთო დასახელება - „კავეა“, რომელიც შემდგომ ბოლოვდება იმ ლოკაციის შესაბამისი აღნიშვნით, სადაც კინოთეატრია განთავსებული. გარდა ამისა, ამ კინოთეატრებს აქვთ ერთი ლოგო. საგულისხმოა, რომ კინოთეატრების რებრენდინგის პროცესში ქრება ტერმინი „რუსთაველი“ და ანაცვლებს „კავეა“. მაგალითად, 2016 წლის 4 მაისს სახელი შეეცვალა შპს „Rustaveli Entertainment“-ს და შეიქმნა შპს „კავეა თბილისი მოლი“, ელექტრონული მისამართით, შედარებისთვის, შპს „ამირანის“ ელექტორნული მისამართია info@rustaveli.com.ge. 2017 წლის 21 ნოემბერს შპს „რუსთაველი გალერია“-ს სახელი ოთარ ბუბაშვილის მიერ შეიცვალა, როგორც “კავეა გალერია”. მსგავსი ბრენდინგი ქმნის გონივრულ ვარაუდს, რომ კინოთეატრები შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „კავეა გალერია“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ წარმოადგენენ ერთ ჯგუფს - როგორც თავად უწოდებენ - „კავეა ჯგუფს“. ამასთან, ამ კინოთეატრებს აქვთ ერთი ვებგვერდი - www.cavea.ge - რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია კინოთეატრების ფილიალების შესახებ სავაჭრო მოლებში, კერძოდ, სითი მოლში, თბილისი გალერიაში, თბილისი მოლსა და ისთ ფოინთში (იხ. ფოტოსურათი N1):

ფოტოსურათი N1: *ამონარიდი ვებ-გვერდიდან www.cavea.ge, სექცია „კინოთეატრები“*

[83] დამატებით, 2020 წლის 8 ოქტომბერს სს „კინოთეატრი რუსთაველის“ გენერალური დირექტორის, ოთარ ბუბაშვილის მიერ, გაიცა თანხმობა სს „კინოთეატრი რუსთაველის“ კუთვნილი მისამართის შპს „კავეა ლისი იპოდრომის“ მიერ დარეგისტრირების თაობაზე.



ხაზგასასმელია, რომ სააგენტოში მთელი მოკვლევის მანძილზე ზემოხსენებულ ეკონომიკურ აგენტებს (გარდა შპს „კავეა ლისი იპოდრომისა“, რომელიც არ ფუნქციონირებს) მოკვლევის პროცესში წარმოადგენდნენ ერთი და იგივე პირები, ლ.კ. და გ.ს., რომელთა სახელზეც გაცემულ იქნა მინდობილობები ზემოხსენებულ ეკონომიკურ აგენტთა დირექტორების მიერ.[84] ამასთან, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ („კავეა ისთ ფოინთი“) დირექტორის მინდობილ პირს მოკვლევის პროცესში, ასევე, წარმოადგენდა კ.ლ., რომელიც აწარმოებდა კორესპონდენციას სააგენტოსთან.[85]

[84] სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3069, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3071, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3072, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3073, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3074, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 12 სექტემბრის წერილი N01/3075, სააგენტოში შემოსული 14 სექტემბრის წერილი N01/3108, სააგენტოში შემოსული 2023 წლის 14 სექტემბრის წერილი N01/3109

[85] სააგენტოში შემოსული 2023 წლის 2 მაისის წერილი N01/1427, სააგენტოში შემოსული 19 მაისის წერილი N01/1682

ამდენად, აშკარაა, რომ მოცემულ ეკონომიკურ აგენტებს არ გააჩნიათ რეალური ავტონომია და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა, წარმოადგენენ ერთ ჯგუფში შემავალ კინოთეატრებს, რომლებსაც გააჩნიათ საერთო კომერციულ-მარკეტინგული და მენეჯმენტური სისტემა და შესაბამისად, შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა გალერია“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (კავეა ისთ ფოინთი), შპს „კავეა ლისი იპოდრომი“, შპს „ამირანი“, შპს „აპოლო ბათუმი“ და სს „კინოთეატრი რუსთაველი“ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს.

2.2. შპს „სადისტრიბუციო კომპანია და „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები, როგორც ერთიანი ეკონომიკური აგენტი

მას შემდეგ, რაც სააგენტოს მიერ დადგინდა, რომ შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა გალერია“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (კავეა ისთ ფოინთი), შპს „კავეა ლისი იპოდრომი“, შპს „ამირანი“, შპს „აპოლო ბათუმი“ და სს „კინოთეატრი რუსთაველი“ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს (შემდგომში - კინოთეატრები/“კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები), აუცილებელია, განისაზღვროს მათი ურთიერთმიმართება მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“.

შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ დაფუძნდა 2016 წლის 22 აგვისტოს მიტროფანე ჯალაღონიას (პ/ნ: 39001024885) მიერ. წესდების მიხედვით, მიტროფანე წარმოადგენდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ დირექტორსა და 100%-იანი წილის მფლობელს. 2016 წლის 26 აგვისტოს წესდებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც წილის 51% უსასყიდლოდ გადაეცა ოთარ ბუბაშვილს, ხოლო დირექტორად დაინიშნა ნინო სიხარულიძე, რომელიც წესდების 4.1 მუხლის თანახმად წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ასევე, შეიცვალა კომპანიის ელექტრონული მისამართი და გახდა ninos@rustaveli.com.ge.[86] წესდების 3.9 მუხლის თანახმად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისთვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს. წესდების 3.10 მუხლის მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციულ ხმათა რაოდენობა.

გარდა ამ ფაქტისა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 51%-იანი წილის მესაკუთრეა ოთარ ბუბაშვილი, რომელიც არის შპს „კავეა საბურთალო“-ს და შპს „კავეა გალერია“-ს დირექტორი და 100%-იანი წილის მესაკუთრე. შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ დირექტორი,

[86] საგულისხმოა, რომ უკანასკნელ ამონაწერში შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ ელ.ფოსტა არ არის მითითებული.

ნინო სიხარულიძე, სააგენტოში წერილით[87]
[redacted].

გარდა ამისა, შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ საქმის მოკვლევის პროცესში წარმოადგენდნენ კინოთეატრების წარმომადგენლები, ლ.კ. და გ.ს., რომელთა მიერაც სააგენტოში ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომაზე[88] განიმარტა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის კინოთეატრებში ბილეთების ცენტრალიზებულად გაყიდვის მიზნის მქონე ერთგვარი მენეჯმენტური რგოლი, რომელიც განიხილება კინოთეატრების ჯგუფში შემავალ სუბიექტად, ანუ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები წარმოადგენენ ერთი ჰოლდინგის შემადგენელ სუბიექტებს. დამატებით, როგორც მომჩივანი[89], ასევე, შპს „თინეთი“ [90] შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ აღიქვამს და მოიხსენიებს, როგორც „კავეას“.

ამგვარად, ნათელია, რომ საქართველოში მოქმედი ძირითადი კინოთეატრები (ე.წ. „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები) დაკავშირებულია კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე მოქმედ ერთადერთ ეკონომიკურ აგენტთან - შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“, რომლებიც ერთად ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს.

2.3.შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC-ის ურთიერთდამოკიდებულება

მომჩინავი საჩივარში მიუთითებს, რომ სახეზეა ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი შპს „თინეთი“-ს, შპს „ონლაინ თიქეთსი“-ს[91], სს „თიბისი ბანკი“-სა და TBC Bank Group PLC-ის სახით. კერძოდ, მომჩივანის მტკიცებით, TBC Bank Group PLC[92] განსაზღვრავს სამივე

[87] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის 2023 წლის 2 ოქტომბრის N01/3290 წერილი
[88] იხ. 2023 წლის 5 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი დანართი
[89] იხ. 2023 წლის 12 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3 და შესაბამისი დანართი
[90] იხ. 2023 წლის 4 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი დანართი
[91] შპს „ონლაინ თიქეთსს“ აღარ გააჩნია აქტიური კომპანიის სტატუსი, რამეთუ რეორგანიზაციის შედეგად რეგიტრირებული სუბიექტი არის შპს „თინეთი“
[92] “საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ (შემდგომში „TBC PLC“) გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ და მის შვილობილ საწარმოებს. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ დაფუძნებულია ინგლისსა და უელსში და შესულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში”; „ბანკის მთავარი აქციონერია „თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი“ , რომელიც ბანკის სააქციო კაპიტალში 99.9%- ის მფლობელია.“ „თიბისი ბანკის“ მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგებები, 2022, https://nbg.gov.ge/fm/ ანგარიშგებები/ქართული/თიბისი/2022/თიბისი-ბანკი-2022-ფინანსური-ანგარიშგება-ქარ.pdf?v=y64ka , გვ 7; 144.

კომპანიის ქმედების კურსს და შეუძლია საქმიანობის პროცესზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა.

სააგენტომ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ბაზაზე, დიდი ბრიტანეთის სამეწარმეო ბაზასა და „თიბისი ჯგუფის“ მდგრადი განვითარების ანგარიშზე[93] დაყრდნობით შეისწავლა დასახელებული კომპანიების კორპორაციულ-სამართლებრივი მონაცემები, წილობრივი მონაწილეობის და ურთიერთმიმართები, ხელმძღვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირების კავშირი, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ TBC Bank Group PLC წარმოადგენს სს „თიბისი ბანკის“ მშობელ კომპანიასა და 99,9% აქციათა მფლობელს, ასევე, შპს „თინეთის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს (იხ.სქემა N3).

<u>სქემა N3:</u> *შპს „თინეთი“-ს, შპს „ონლაინთიქეთსი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC-ის ურთიერთდამოკიდებულება*

[93] იხ. თიბისი ჯგუფში შემავალი კომპანიების სია, TBC Group Sustainability Report, 2022, https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/707533/TBC+Bank+Group+PLC+Sustainability+Report+2022.pdf/47d3e8bf-e42b-4865-8a76-9c459735507b (28.10.2023), გვ. 21



როგორც აღინიშნა, ურთიერთდამოკიდებულება კომპანიებს შორის აპრიორი არ ნიშნავს მათ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად ყოფნას, არამედ, არსებითია ქმედების ავტონომიის ხარისხი. „თიბისი ჯგუფის ეკოსისტემის „პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით თიბისი ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის დაწესებულია ფინანსური, მმართველი მენეჯმენტის და რესურსული დამოუკიდებლობის პოლიტიკა.[94] აქვე, ხაზგასასმელია, რომ მომჩივანის მიერ კანონის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ მომართვის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საჩივარი კანონის 30-ე მუხლის საფუძვლით გადაცემულ იქნა სსიპ საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც საქართველოში საფინანსო სექტორის ზედამხედველობის განმახორციელებლ ორგანოში.[95]

შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC-ის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე სააგენტოსთვის შპს „თინეთი“-ს მიერ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებით სხდომაზე განიმარტა, რომ შპს „თინეთი“-ს სს „თიბისი ბანკთან“ და TBC Bank Group PLC-სთან მხოლოდ ირიბი კავშირი აქვს[96]. მოკვლევის პროცესში

[94] TBC Bank Group PLC, Ecosystem Companies' Governance And Intra-Group Support Policy, მუხლი 3
[95] სააგენტოს 2023 წლის 6 მარტის N02-603 წერილი
[96] იხ. 2023 წლის 4 სექტემბრის ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი დანართი, ასევე, გადაწყვეტილების V თავის მე-4 ნაწილის 4.5. თავი

არც მომჩივანის მიერ მოხდა სააგენტოსთვის აღნიშნულზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. ამდენად, სახეზე არაა ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-სა და TBC Bank Group PLC-ის სახით.[97]

2.4.შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, სააგენტო წინამდებარე გადაწყვეტილების მიზნებისათვის, სადავო ქმედების კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის შეფასების ფარგლებში ითვალისწინებს შემდეგ დადგენილ გარემოებებს:

- შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა გალერია“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (კავეა ისთ ფოინთი“), შპს „ამირანი“, შპს „აპოლო ბათუმი“, შპს „კავეა ლისი იპოდრომი“ და სს „კინოთეატრი რუსთაველი“ წარმოადგენენ რა „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრებს, **წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ აგენტს;**
- შპს „სადისტრიბუციო კომპანია და „კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები, **წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ აგენტს;**
- შპს „თინეთს“, სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC **არ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ აგენტს.**

ნაწილი 3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები

კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომში – „შეთანხმება“). დასახელებული მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა) მე-7 მუხლით აკრძალულ ერთ-ერთ ქმედებას მიეკუთვნება.

იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი, საჭიროა შემდეგი ელემენტების/პირობების/გარემოებების ერთობლივად არსებობა:

[97] შპს „თინეთის“, სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-ის ურთერთმიმართებაზე დამატებით იხილეთ წინამდებარე გადაწყვეტილების V თავის 4.5. ქვეთავში

ა) ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება, მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედება;

გ) დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

3.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სხვა ელემენტების განხილვამდე, აუცილებელია დადგინდეს, რამდენად არიან მოპასუხედ დასახელებული კომპანიები კანონის მე-7 მუხლის სუბიექტები ანუ რამდენად ექცევიან ისინი ეკონომიკური აგენტის კონკურენციის სამართლებრივ განმარტებაში.

კანონის მე-7 მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მუხლის სუბიექტები არიან ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სამართალში გამოყენებულ ეკონომიკური აგენტის ცნებას ანალოგი სამართლის სხვა დარგებში არ აქვს.[98]

ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“ ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას“. ამასთან, გენერალური ადვოკატი ჯეიკობსი ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს - „როდესაც მსგავსი საქმიანობა კერძო პირის მიერ, სულ მცირე, თეორიულად, მოგების მიღების მიზნით შეიძლება განხორციელდეს“.[99]

მოქმედი კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობაც ეკონომიკური აგენტის ცნებას ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განმარტავს. კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. კანონი არ განმარტავს „ეკონომიკური საქმიანობის“ ცნებას. თუმცა, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი

[98] ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 178

[99] იქვე, გვ. 179

ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე კომპანიებია: შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ:204854595) და TBC Bank Group PLC-ს (ს/ნ: 10029943). ამასთან, როგორც გადაწყვეტილების შესაბამის თავში აღინიშნა, საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემობებებისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ:204854595) და TBC Bank Group PLC (ს/ნ: 10029943) ერთიან ეკონომიკურ აგენტად არ იქნა მიჩნეული, შესაბამისად, ეს მოპასუხე კომპანიები ერთ სუბიექტად არ იქნება გათვალისწინებული და მათი ქმედება განიხილება და შეფასდება განცალკევებულად, თითოეულის დამოუკიდებლად.

რაც შეეხება მოპასუხე კომპანიებს - შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“, შპს „თინეთს“, სს „თიბისი ბანკს“ , საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრის ბაზის ჩანაწერების მიხედვით, წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და სააქციო საზოგადოებას და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, არიან მეწარმე სუბიექტები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.

შესაბამისად, საწარმო, რომლის სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობა ხორცილდება მოგების მიღების მიზნით მოიცავს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ცნებასაც.

რაც შეეხება TBC Bank Group PLC-ს, რომელიც დაფუძნებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში, მის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი[100] „ეკოსისტემაში შემავალი კომპანიების მმართველობისა და შიდა ჯგუფის მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტის 1.1. მუხლის მიხედვით, TBC Bank Group PLC არის დიდი ფინანსური ჯგუფი, რომელიც ოპერირებს საბანკო, დაზღვევის, ინვესიტიციისა და სხვა ბიზნეს სექტორებში. გარდა ამისა, მოპასუხის წარმომადგენელმა, სააგენტოსთან გამართულ შეხვედრაზე განმარტა, კომპანია წარმოადგენს ინგლისურ ჰოლდინგურ კომპანიას, რომელსაც გააჩნია, ძირითადად, ჰოლდინგური საოპერაციო ელემენტი, ვაჭრობს აქციებით ლონდონის ბირჟაზე.[101]

---

[100] TBC Bank Group PLC-ს 2023 წლის 8 მაისის წერილი N01/1527 და შესაბამის დანართი

[101] TBC Bank Group PLC-ის 2023 წლის 8 მაისის წერილი N01/1527; სს „თიბისი ბანკთან“ 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N5 (რეგ. N03/772) და დანართი აუდიო ჩანაწერი (06:06 – 06:30)

შესაბამისად, აღნიშნული მოპასუხეც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, ამასთან, ფლობს რა წილებს საქართველოს ბაზარზე სხვადასხვა ბიზნეს სფეროში მოღვაწე კომპანიებში, ექცევა კანონის მე-3 მუხლის „ა“ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ცნების ქვეშ - როგორც იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა თუ იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა;

ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი

კანონის მე-7 მუხლის ერთ-ერთი წინაპირობაა შეთანხმება ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის. ამასთან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებაში („სიტროენ ჯორჯია“ „სტრადა მოტორსისა“ და სხვათა წინააღმდეგ), სააგენტო განმარტავს, რომ „კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად არსებითია მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებს ადგილი ჰქონდეს რეალურ კონკურენტებს შორის“[102], ამასთან, „ამა თუ იმ სუბიექტზე კანონის მე-7 მუხლის გავრცელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს **შეთანხმების არსებობა ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს** შორის.”[103]

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ შეაფასა - შესაძლებელია თუ არა ჩამოთვლილი მოპასუხე ეკონომიკური აგენტები განხილულ იქნან, როგორც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი კანონის მე-7 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლის ნაწილში, მოპასუხე მხარეებად განსაზღვრულია შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, შპს „თინეთი“, სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC.

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება, იმის დასადგენად მოპასუხე კომპანიები, მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი.

- „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინასთან მიმართებით მიმდინარე თავის მიზნებისათვის რელევანტურია ის მსჯელობა, რომელიც სააგენტოს მიერ გამოყენებულია მიმდინარე გადაწყვეტილების V თავის, მეორე ნაწილში. კერძოდ, შპს

[102] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 6 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.15
[103] იქვე, გვ. 13.

„სადისტრიბუციო კომპანია“, შპს „კავეა საბურთალო“, შპს „კავეა გალერია“, შპს „კავეა თბილისი მოლი“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ („კავეა ისთ ფოინთი“), შპს „ამირანი“, შპს „აპოლო ბათუმი“, შპს „კავეა ლისი იპოდრომი“ და სს „კინოთეატრი რუსთაველი“ („კავეა ჯგუფის“ კინოთეატრები) **წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ აგენტს და განხილულნი იქნებიან, როგორც ერთიანი სუბიექტი.**

- შპს „თინეთი“-ს, სს „თიბისი ბანკი“-ს და TBC Bank Group PLC **არ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს და მათი ქმედება ბაზარზე განხილულ იქნება დამოუკიდებლად.**

3.2. ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის მეორე კომპონენტს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში **ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება**, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

ა) ხელშეკრულების დადება ან გადაწყვეტილების მიღება

ხელშეკრულების არსი კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის ფართოდ განიმარტება. იმისათვის, რომ არსებობდეს ხელშეკრულება (შეთანხმება) „საკმარისია, თუ ეკონომიკურმა აგენტებმა გამოხატეს რამენაირი ერთობლივი ინტერესი მოქცეულიყვნენ შესაბამისად“.[104] იმისათვის, რომ კონკრეტული ქმედება კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა არსებობდეს სულ მცირე ორი ნების გამოვლენა, ანუ ნება მინიმუმ ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის მიერ იქნას გაცხადებული. შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური აგენტის განცალკევებული ინდივიდუალური ქმედებები არ ექცევა კანონის მე-7 მუხლით დაცულ სფეროში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნების გამოვლენის ფორმას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, პრაქტიკაში იგი შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, ხელმოწერილი თუ ხელმოწერის გარეშე.[105] ნების გამოვლენად ჩაითვლება როგორც ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმება,[106] მარტივი მემორანდუმი, ასოციაციის გადაწყვეტილება, თუ მბოჭავი ხასიათის მქონე მარკეტინგული სახელმძღვანელო დოკუმენტები.

[104] Case T-7/89 SA Hercules Chemicals v Commission {1991} ECR II-1711, para 2.
[105] Case 28/77 Tepea v Commission {1978} ECR 1391.
[106] Case 41/69 ACF Chemiefarma v Commission {1970} ECR 661.

ვერტიკალური შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სხვდასხვა დონეზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას გულისხმობს, ექსკლუზიური შეთანხმებები, ზოგადად, მეტი ზიანის მომტანია კონკურენციისთვის, ვიდრე არაექსკლუზიური შეთანხმებები. ექსკლუზიური გარიგება ხელშეკრულების ძალით ან მისი პრაქტიკული ეფექტით, ერთ მხარეს აიძულებს, შეასრულოს მეორე მხარისგან ყველა ან პრაქტიკულად ყველა მოთხოვნა.[107]

ბ) შეთანხმებული ქმედება

შეთანხმებული ქმედება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.[108] ევროკავშირის მიერ შეთანხმებული ქმედების ფართოდ განმარტების მიზანი არის ის, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ერთმანეთს გამიზნულად არ უწევენ კონკურენციას, მაგრამ მათ ქცევას აკლია შეთანხმება, არ დარჩნენ რეგულირების გარეთ.[109] ეკონომიკური აგენტების ქმედების შეთანხმებულ ქმედებად კვალიფიცირებისათვის, საჭიროა დადგინდეს, ქმედება თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს.[110] თუ პარალელული ქმედება მიიღწევა ეკონომიკურ აგენტთა მიერ მათი სამომავლო სამეწარმეო სვლების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის გაზიარების პრაქტიკით, იქნება ეს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, სახეზეა კონკურენციის სამართლით დასჯადი პარალელიზმი.[111]

3.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სავალდებულო კომპონენტია, ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის, ან ასოციაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების **მიზანი ან შედეგი** იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[112]

---

[107]COMMISSION NOTICE Guidelines on Vertical Restraints, paragraphe 103, ხელისაწვდომია: https://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/guidelines_vertical_en.pdf

[108] Case 48/69 ICI v Commission {1972} ECR 619, para 64.

[109] Faull J., Nikpay A., The EU Law of Competition, third edition, Oxford University Press, 2014, p. 218.

[110] Jones A., Sufrin B., EU Competition Law: Text, Cases and Materials, 5th ed, Oxford University Press, 2014, გვ. 710.

[111] Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v CommissioN [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174, აბზ. 174.

[112] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მატარებელია შეთანხმება (Restrictions by object), რომელსაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს პოტენციალი, შეზღუდოს კონკურენცია. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი სახეზეა, აღარ არის საჭირო მხედველობაში იქნას მიღებული შეთანხმების კონკრეტული ეფექტი.[113]

3.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის საკვანძო პუნქტი არის მოცემულობა, რომ განხორციელებული ხელშეკრულება, გადაწყვეტილება თუ ქმედება უნდა იყოს იმგვარი მიზნის ან შედეგის მატარებელი, რომ **ზღუდავდეს, არ უშვებდეს ან/და კრძალავდეს** კონკურენციას.

კონკურენციის შეზღუდვა შეიძლება სხვადასხვა ქმედებაში გამოიხატოს, რაც მოცემულია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებში. „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენციის შემზღუდველ ქმედებად შესაძლოა დაკვალიფიცირდეს წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა. პრაქტიკაში წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინვესტიციების შეზღუდვა, როგორც წესი, გამიზნულია ანდა იწვევს არსებულ პროდუქტზე/მომსახურებაზე გეოგრაფიულ არეალში ფასების ზრდას ანდა სხვა კონკურენციის შემზღუდველ შედეგებს, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური აგენტებისთვის, თუმცა, აზარალებს მომხმარებელს. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ სახედაა მიჩნეული.[114]

ნაწილი 4. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება

4.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ფარგლებში სააგენტოს მიერ განიხილება შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ შორის [redacted] დადებული კინოთეატრის ბილეთების მიწოდების

[113] Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society amd Barry Brothers (Carrigmore) Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, para 29

[114] გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2018 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: https://admin.competition.ge/uploads/1c5b8828bc6948689535c33d6428d5e0.PDF

ხელშეკრულების „ექსკლუზიურობის პირობის“ კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათი და შესაბამისი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესი.

შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართებაზე კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების/შეთანხმებების შეფასების პროცესში.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.[115] კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.[116] ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს - უფლებას არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ, მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.[117] ამასთან, სახელშეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას[118] და იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში.[119] ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე.[120] შეზღუდვა შესაძლოა ვრცელდებოდეს, როგორც შინაარსის განსაზღვრის, ასევე კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებაზე და ა.შ.

თუმცაღა, სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს, აღნიშნულ საკითხს გააჩნია ერთი გამონაკლისი, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს[121], რაც

---

[115] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება Nას-664-635-2016

[116] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-1300-1320-2011

[117] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე

[118] სახელშეკრულებო სამართალი, რედ, ჯუღელი, *ცერცვაძე,* გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2014, გვ. 56

[119] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე

[120] იქვე

[121] Harry N., Schreiber the state and freedom of contract, 1998, 1; მითითებულია - შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(23)09, თბილისი, 2009, 45.

სახელშეკრულებო თავისუფლებას, როგორც ადამიანის შეზღუდულ უფლებას განაპირობებს.[122]

მხარეთა შეუზღუდავი თავისუფლება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანია საჯარო ინტერესის დაცვა, სუსტი მხარის მინიმალური დაცვა, თავისუფალი საქმიანობის სტაბილური და უსაფრთხო უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევა.[123]

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხეების სადავო ქმედებებს სააგენტო აფასებს სწორედ მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებებთან მიმართებაში. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა აღნიშნული სადავო ქმედებები კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით. ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ერთი მხრივ, მთლიანად კანონითა და მეორე მხრივ, კანონის მე-7 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში, სააგენტო, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“ თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის

[122] ს. ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ.168
[123] იქვე, გვ. 167-168

მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.[124] საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.[125]

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს.[126] კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან.[127] [128]

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი, ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

სწორედ ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლით დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ბაზარს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებით კონკურენციის საწინააღმდეგო შეზღუდვისაგან. მსგავსი ეფექტისა თუ შედეგის ქმედება კი შესაძლოა გამოიხატებოდეს კონკურენციის შემზღუდველი სახელშეკრულებო დათქმის/ხელშეკრულების დადებაში, რაც უდავოდ ზღუდავს

---

[124] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება გვ. 6, § 1 და შემდგომი

[125] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ.11-12, § 2-3

[126] სააგენტოს თავმჯდომარის 7 აგვისტოს N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე. გვ. 27-28

[127] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ. 12, § 5

[128] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 თებერვლის N04/44 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 19 აპრილის N04/111 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე“)

კონკრეტული სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შესაბამისად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ხდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის რაიმე ფორმით შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა იგი უდავოდ უნდა შეფასდეს კანონის მე-7 მუხლთან მიმართებაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო ნებისმიერი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმეული ქმედებისათვის აწესებს აკრძალვებს. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულების დადების გამამართლებელ საფუძველს, ვინაიდან **კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. შესაბამისად, სააგენტო განმარტავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთახმებების შეფასებისას არარელევანტურია ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპზე აპელირება.**

სააგენტო დამატებით განმარტავს, რომ თავისთავად ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების დადება აპრიორი არ წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას, თუმცა, ამგვარმა შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზრის კონკურენტიანობაზე. შესაბამისად, სააგენტო ყოველი „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი ხელშეკრულების შეფასებისას კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით, აფასებს თუ რამდენად ქმნის საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა ანდა ბაზარზე მოქმედი/პოტენციური ეკონომიკური აგენტების საბაზრო ინტერესების იმგვარი დაზარალების საფრთხეს, რასაც მიზნად აქვს ან გამოიწვევს ბაზრის შეზღუდვას ან ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირებას, ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას, მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასა და სხვა.

4.2. „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები

კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ

ხელშეკრულების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე მუხლში[129] მოცემულ ქმედებათა ნუსხასთან. ამდენად, კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ქმედებათა აკრძალული შემადგენლობების განმარტებისას, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტო ხელმძღვანელობს TFEU 101-ე მუხლთან მიმართებაში ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკითა და მიდგომებით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არც კანონის მე-7 და არც TFEU 101-ე მუხლი პირდაპირ მითითებას არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო ექსკლუზიური მიწოდების/მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, თუმცა, დასახელებული ნორმები შეიცავენ პირდაპირ მითითებას ბაზარზე შესვლის შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტის “ხ” ქვეპუნქტების მიხედვით, აკრძალულია „წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა“.

სააგენტო განმარტავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ბაზრის შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ქმედებებისა თუ მეთოდების საშუალებით. ბაზრის შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ისეთი ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება, რომელსაც კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი ან მიზანი გააჩნია - “Exclusive dealing”. ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული. კერძოდ, შესაძლებელია, მსგავს ექსკლუზიურ ურთიერთობას ადგილი ჰქონდეს ექსკლუზიური მიწოდების „Exclusive supply“ ექსკლუზიური დისტრიბუციის - „Exclusive distribution“, მომხმარებლის ექსკლუზიური განაწილების - „Exclusive customer allocation“ და სხვა შემთხვევებში.

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება („Exclusive supply“) გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებული ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი შეთანხმებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს.[130] ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში სხვადასხვა შინაარსითა თუ ფორმით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული, შესაბამისად განსხვავებულია მათი ეფექტი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე.

---

[129] TFEU 101 (ex Article 81 TEC): The following shall be prohibited as incompatible with the internal market: all agreements between undertakings, decisions by associations of undertakings and concerted practices which may affect trade between Member States and which have as their object or effect the prevention, restriction or distortion of competition within the internal market, and in particular those which: (a) directly or indirectly fix purchase or selling prices or any other trading conditions; (b) limit or control production, markets, technical development, or investment; (c) share markets or sources of supply; (d) apply dissimilar conditions to equivalent transactions with other trading parties, thereby placing them at a competitive disadvantage; (e) make the conclusion of contracts subject to acceptance by the other parties of supplementary obligations which, by their nature or according to commercial usage, have no connection with the subject of such contracts.

[130] Communication from the Commission Commission notice Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, §321

ამდენად, იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგინდეს ბაზრის შეზღუდვა და ამავდროულად კანონის მე-7 მუხლის დარღვევა, აუცილებელია შესაბამის ხელშეკრულებებში „ექსკლუზიური დათქმის“ პირობის ფორმით ადგილი ჰქონდეს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას.

როგორც წესი, ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების მოთხოვნა/მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების საშუალებით ყალიბდება. ასეთი ხელშეკრულების ის ნაწილი თუ პუნქტი, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან მომსახურების ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახელით არის ცნობილი.

კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა ცალკეულ სუბიექტებს შორის შესაძლებელია როგორც ხელშეკრულების, ასევე შეთანხმებული ქმედებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის (სხვა კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებთან ერთად) საკმარისია სახეზე იყოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კოორდინაციის ფორმათაგან (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება) ერთ-ერთი მაინც.

ხშირად, პრაქტიკაში, ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული დათქმები, ნორმები თუ შეთანხმებები არსებობს არა განყენებულად, არამედ ცალკეულ ხელშეკრულებასა თუ გადაწყვეტილებაში არის ინკორპორირებული. ასეთი ხელშეკრულება და გადაწყვეტილება, როგორც წესი, ცალკეულ კომერციულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს აწესრიგებს. **ასეთ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევა არა მთლიანი ხელშეკრულება ან გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მომწესრიგებელი დათქმები და ნორმები.**

შესაბამისად, ცალკეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა მთლიან ხელშეკრულებას არ აქცევს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, არამედ, ამ შემთხვევაში თვითონ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფაქტობრივ მოცემულობას.

აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს არა მთლიანი გადაწყვეტილების, ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების შინაარსის კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასებას, არამედ ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის

ფარგლებში ფასდება მხოლოდ ის ნორმები და დათქმები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებს ქმნიან, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, სხვა მუხლებისა თუ დათქმების (მათ შორის, იმ პირობების, რომლებიც „ექსკლუზივთან" დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს აწესრიგებენ) სრულ იგნორირებას, რადგან ***ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა რელევანტური გარემოებების კონტექსტუალური შეფასება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გარემობების გამოკვეთისათვის ხელშემწყობი აღმოჩნდეს.***

შესაბამისად, მოცემული საქმის შეფასების ფარგლებში, სადავო ხელშეკრულების განხილვისას, სააგენტო, ყურადღებას გაამახვილებს, რა საკვირველია, „ექსკლუზიური დათქმის" შემცველ მუხლზე/პუნქტზე, თუმცაღა, აღნიშნული დათქმის მოცულობის, ფარგლებისა და სხვა რელევანტური გარმემოებების დასადგენად (რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვად შეუწყობს ხელს დათქმის კონკურენციის საწინაღმდეგო ხასიათის შეფასებას) აგრეთვე, ყურადღებას გაამახვილებს სადავო ხელშეკრულების შესაბამის ნორმებზეც.

თუმცაღა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თავად ხელშეკრულებისა და უფრო ზუსტად „ექსკლუზიური დათქმის" პირობის განხილვასა და შეფასებამდე, სააგენტო განიხილავს და შეაფასებს **სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოების პროცესს, ვინაიდან სახელშეკრულებო მოლაპარაკებები და მის შედეგად ხელშეკრულების დადება წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს, რომლის სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყო სამივე მხარე, როგორც სადავო ხელშეკრულების ხელმომწერი მოპასუხე ეკონომიკური აგენტები, აგრეთვე მომჩივანი მხარეც. შესაბამისად, რელევანტურია წარმოჩენილ იქნას, ერთი მხრივ, გაჟღერებული შეთავაზებები და მეორე მხრივ, გამოხატული ნება და აღნიშნული განხილულ იქნას კონკურენციის კანონმდებლობასთან, კერძოდ, კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით.**

4.3. „ექსკლუზიური მიწოდების" შესახებ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის" მოლაპარაკებები შპს „ელ.ბილეთებთან" და შპს „თინეთთან"

როგორც მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, „ექსკლუზიური დათქმის" შემცველი ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებებს, რომელიც, როგორც მხარეები (როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხეები) მიუთითებენ, 2022 წლის ნოემბრის თვიდან დეკემბრის ბოლომდე მიმდინარეობდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა" და შპს „ონლაინ თიქეთსს" და შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა" და შპს „ელ.ბილეთებს" შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობის პროცესია დაინტერესებულ პირებს შორის სახელშეკრულებო პირობებზე ჩამოყალიბებისა და შეთანხმების, წინადადებების გაცვლა-გამოცვლისა თუ ამ პროცესში განვითარებული მოვლენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში გამოკვეთილი გარმეოებების კონკურენციის სამართლისადმი მისადაგების კუთხით.

ამასთან, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებები, რომლის სხვადასხვა ეტაპზე სამივე მხარე აქტიურად იყო ჩართული, წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს და უნდა შეფასდეს ერთობლიობაში, როგორც ერთი პროცესი, მასში განხორციელებული ქმედებების, გაკეთებული შეთავაზებების, გამოხატული ნებისა და სხვა რელევანტური ფაქტობრივი გარემობების მხედველობაში მიღებით.

სააგენტომ მოკვლევის პერიოდში სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია აღნიშნული მოლაპარაკებების პროცესი და მასში განვითარებული მოვლენები, რამეთუ, როგორც აღინიშნა, ამ პროცესს საკვანძო და არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივარში დასმული საკითხების გადასაწყვეტად და მოლაპარაკებების პროცესში გამოვლენილი ფაქტების კონკურენციისსამართლებრივ ჭრილში შესაფასებლად.

სააგენტომ მოკვლევის პროცესში მოლაპარაკებებში ჩართული სამივე მხარისგან გამოითხოვა და მიიღო ინფორმაცია დასაწყისიდან მის დასრულებამდე განვითარებული პროცესების შესახებ, როგორც წერილობით, ასევე, ინდივიდუალურ ახსნა-განმარტების შეხვედრებზე, აგრეთვე სამივე მხარის მონაწილეობით გამართული ახსნა-განმარტების შეხვედრაზე. სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თითოეული მხარის მიერ, ერთი მხრივ, წერილობით მოწოდებული ინფორმაცია, მეორე მხრივ, მხარეებთან გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე გაჟღერებული ინფორმაცია და მესამე მხრივ, სამივე მხარის ერთობილივი მონაწილეობით გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე წარმოდგენილი პოზიციები მოლაპარაკებების პროცესში განვითარებული მოვლენების შესახებ ზოგიერთ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებასთან დაკავშირებით არ ემთხვევა და მეტიც, ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნას, სამივე მხარის პოზიცია სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესისა და მასში განვითარებული ეტაპების შესახებ, როგორც წერილობით, აგრეთვე, ინდივიდუალური შეხვედრებისა და ახსნა-განმარტებითი სხდომის მიმდინარეობის ფარგლებში.

4.3.1. შპს „ელ.ბილეთები“

4.3.1.1 წერილობითი კორესპონდენციით გაჟღერებული პოზიცია

[redacted]

[redacted]

[redacted][131]

საბოლოოდ, ექვს წელზე მეტხნიანი საქმიანი ურთიერთობის დასრულება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმით განხორციელდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 13 იანვრის წერილით,[132] რასაც საფუძვლად დაედო შპს „ონლაინ თიქეთსთან“ „ექსკლუზიური მიწოდების“ დათქმის შემცველი ხელშეკრულების დადება.

4.3.1.2. ინდივიდუალურ ახსნა-განმარტების შეხვედრაზე გაჟღერებული პოზიცია

[redacted]

[redacted]

[131] შპს „ელ.ბილეთების“ 2022 წლის 1 მარტის N01/733 საჩივარი

[132] შპს „ელ.ბილეთების“ 2023 წლის პირველი მარტის №01/733 საჩივრის დანართი

[redacted].[133]

[redacted][134]

[redacted]

[redacted][135]

[redacted].[136] [redacted].[137]

[redacted][138]

[redacted]

[133] შპს „თინეთთან“ 2023 წლის 12 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N3 (რეგ. N03/693) და დანართი აუდიო ჩანაწერი (06:08 – 07:02)
[134] იქვე, აუდიო ჩანაწერი (07:08 – 07:45; 11:00 – 11:05)
[135] იქვე, აუდიო ჩანაწერი (08:15 – 08:29)
[136] იქვე, აუდიო ჩანაწერი (11:18 – 11:30)
[137] იქვე, აუდიო ჩანაწერი (11:47 – 12:15)
[138] იქვე, აუდიო ჩანაწერი (12:50 – 13:13)

[redacted][139]

[redacted][140]

[redacted].[141]

[redacted].[142]

[redacted][143]

[redacted]

[139] იქვე, აუდიო ჩანაწერი (13:23 – 14:36)
[140] იქვე, აუდიო ჩანაწერი (14:54 – 15:43)
[141] იქვე, აუდიო ჩანაწერი (18:00 – 18:51; 19:08 – 19:20)
[142] იქვე, აუდიო ჩანაწერი (25:30 – 25:56)
[143] იქვე, აუდიო ჩანაწერი (19:20 – 20:20; 20:30 – 20:37)

[redacted][144]

[redacted][145]

[redacted][146]

4.3.2. შპს „თინეთი“

4.3.2.1. წერილობითი კორესპონდენციით გაჟღერებული პოზიცია

[redacted][147]

[redacted]

[144] იქვე, აუდიო ჩანაწერი (21 :25 – 24:45)
[145] იქვე, აუდიო ჩანაწერი (21:25 – 22:25)
[146] იქვე, აუდიო ჩანაწერი (34:45 – 35:06)
[147] შპს „თინეთის“ 2023 წლის 5 მაისის წერილი N01/1518

[redacted][148]

4.3.2.2 ინდივიდუალურ ახსნა-განმარტების შეხვედრაზე გაჟღერებული პოზიცია

მოკვლევის ფარგლებში, 2023 წლის 4 სექტემბერს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა მოპასუხე **შპს „თინეთის“** წარმომადგენლებთან.

შპს „თინეთის“ წარმომადგენლებმა შეხვედრის დასაწყისში აღნიშნეს, რომ კომპანიის ქმედებაში რამე კანონის დარღვევას ვერ ხედავენ და კომპანია მოქმედებდა ბაზრის მოცემულობიდან გამომდინარე, შესაბამისად, არასწორი ან რომელიმე სხვა კომპანიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება არ განუხორციელებია. გარდა ამისა, ვერც ექსკლუზივს დაარქმევენ ამ სიტუაციას, ვინაიდან, ბიზნესის კუთხით ეს სულაც არ ნიშნავს ექსკლუზივს, რადგან ბაზარზე სხვებიც არიან, მაგალითად, kinoafisha და Cavea.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა „თინეთსა“ და „სადისტრიბუციო კომპანიას“ შორის ამჟამად არსებული ხელშეკრულების (რომელშიც ჩართული იყოს სასამართლოს მიერ უკვე შეჩერებული „ექსკლუზივის“ მუხლი) თაობაზე მოლაპარაკების პროცესზე.

[redacted][149]

[148] იქვე

[149] შპს „თინეთთან“ 2023 წლის 4 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1 (რეგ. N03/668) და დანართი აუდიო ჩანაწერი I (32:25 – 32:29)

[redacted][150] [redacted]

[redacted][151]. [redacted]

[redacted]

[redacted]

[150] იქვე, აუდიო ჩანაწერი II (6:18-6:25)
[151] იქვე, აუდიო ჩანაწერი II (25:56 - 26:03)

[redacted].[152]

[redacted]

[redacted][153] [redacted]

[redacted][154], [redacted]

[152] იქვე, აუდიო ჩანაწერი II (3:20-3:36; 6:50-7:10; 20:13-20:40)
[153] იქვე, აუდიო ჩანაწერი II (29:56 - 30:02)
[154] იქვე, აუდიო ჩანაწერი I (29:45-29:50; 34:45-34:49), აუდიო ჩანაწერი II (27:00 - 27:05)

[redacted]

4.3.3. შპს „სადისტრიბუციო კომპანია“

4.3.3.1. წერილობითი კორესპონდენციით გაჟღერებული პოზიცია

[redacted][155]

[redacted]

[redacted][156]

[redacted]

[155] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი N01/1694
[156] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის წერილი N01/1696

[redacted][157],
[redacted][158]
[redacted].[159]

4.3.3.2. ინდივიდუალურ ახსნა-განმარტების შეხვედრაზე დაფიქსირებული პოზიცია

მოკვლევის ფარგლებში, 2023 წლის 5 სექტემბერს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“.

[redacted][160].

[redacted][161].

[redacted][162]

[157] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის წერილი N01/1694
[158] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის წერილი N01/1696
[159] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის წერილი N01/1694
[160] შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ 2023 წლის 5 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2 (რეგ. N03/672) და დანართი აუდიო ჩანაწერი (1:07:08-1:07:25; 1:07:20-1:07:43)
[161] იქვე, აუდიო ჩანაწერი (56:03 - 56:59)
[162] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:30:31 – 01:30:54)

[redacted][163], [redacted][164]

[redacted][165].

[redacted][166]. [redacted][167]

[redacted].[168]

[redacted]

[163] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:12:24-01:1:12:35; 01:14:15- 01:15:57)
[164] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:09:20 - 01:09:30)
[165] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:12:24-01:1:12:35; 01:14:15- 01:15:57)
[165] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:18:51 -01:19:16)
[166] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:21:20-1:22:15)
[167] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:19-56 - 01:20:23)
[168] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:32:30 – 01:30:59)

[redacted][169] [redacted].[170]

[redacted][171]

[redacted].[172]

[redacted].[173]

[redacted][174].

4.3.4. ახსნა-განმარტების სხდომაზე შპს „ელ.ბილეთების“, შპს „თინეთისა“ და შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ დაფიქსირებული პოზიციები

2023 წლის 29 სექტემბერს გაიმართა ახსნა-განმარტებითი სხდომა სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში ჩართული სამივე მხარის - მომჩივანის, შპს „სადისტრიბუციო კომპანიისა“ და შპს „თინეთის“ მონაწილეობით. სხდომის მიზანი იყო მოკვლევის ფარგლებში არსებითი რელევანტურობის გარემოებების დადგენა-დაზუსტება და მოლაპარაკებების ეტაპების უფრო ნათელი სურათის დანახვა, რამეთუ სამივე მხარე წერილობით კორესპონდენციასა თუ ინდივიდუალურ ახსა-განმარტებით შეხვედრაზე რიგ არსებით საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს აფიქსირებდნენ.

---

[169] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:54:10 -01:54:30)
[170] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:54: 52 – 01:54:56)
[171] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:55:38 – 01:55:45)
[172] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:55:54 – 01:54:58)
[173] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:56:21 – 01:56:50)
[174] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:47:35-01:47:55; 01:51:25-01:51:45)

შეხვედრაზე თითოეულ მხარეს მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი პოზიცია და კიდევ ერთხელ სხვა მხარეების თანდასწრებით აღეწერათ მოლაპარაკებების პროცესი.

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted].[175]

[redacted][176]

[redacted][177]

[redacted][178]

[redacted]

[redacted][179]

---

[175] შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“, შპს „ელ.ბილეთებთან“ და შპს „თინეთთან“ 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომს ოქმი N1 (რეგ. N03/770) და დანართი აუდიო ჩანაწერი (07:35 – 11:10)

[176] იქვე, აუდიო ჩანაწერი (23:58 – 24:05)

[177] იქვე, აუდიო ჩანაწერი (29:23-29:30)

[178] იქვე, აუდიო ჩანაწერი (34:24 – 34:31)

[179] იქვე, აუდიო ჩანაწერი (38:00 - 39:00)

[redacted][180]

[redacted]

[redacted]

[redacted][181]

[redacted][182]

[redacted]

[180] იქვე, აუდიო ჩანაწერი (39:38 – 39:41)
[181] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:03:00 – 01:07:02)
[182] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:11:18 – 01:11:25)

[redacted]

[redacted][183]

[redacted][184]

[redacted].[185]

[redacted]

[redacted]

[redacted][186]

[183] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:26:15 – 01:26:25)
[184] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:21:00 – 01:24:00)
[185] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:20:00 – 01:20:15)
[186] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:31:35 – 01:32:26)

[redacted]. [187]

[redacted]

[redacted] [188]

[redacted]. [189]

[redacted]

[187] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:33:25 – 01:35:46)
[188] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:38:35 – 01:39:01)
[189] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:38:10 – 01:38:17)

[redacted]

[redacted].[190]

[redacted].[191] [redacted][192] [redacted].[193]

[redacted][194]

[redacted]

[190] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:39:44 – 01:40:20)
[191] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:40:37 - 01:42:47)
[192] შპს „ელ.ბილეთების“ 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი N01/3603
[193] შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“, შპს „ელ.ბილეთებთან“ და შპს „თინეთთან“ 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომს ოქმი N1 (რეგ. N03/770) და დანართი აუდიო ჩანაწერი (01:55:35 – 01:55:40)
[194] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:46:26 - 01:47:15)

[redacted].[195]

[redacted][196]

[redacted]

[redacted][197]

[redacted][198]

[195] იქვე, აუდიო ჩანაწერი (01:49:36 – 01:50:45)
[196] იქვე, აუდიო ჩანაწერი (02:01:01 – 02:02:02)
[197] იქვე, აუდიო ჩანაწერი (02:01:00 – 02:01:35)
[198] იქვე, აუდიო ჩანაწერი (02:03:00 – 02:04:09)

4.3.4.1. მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთწინააღმდეგობა

როგორც ზემოთ მოცემული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციებიდან (როგორც წერილობითი, აგრეთვე ზეპირი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრებისა და საერთო ახსნა-განმარტებითი სხდომაზე დაფიქსირებული) ირკვევა, თითოეული მხარის მიერ მათ მიერვე გაჟღერებული ინფორმაცია საქმის რამდენიმე არსებით გარემოებასთან დაკავშირებით შეიცავს გარკვეულ წინააღმდეგობებს:

- [redacted]
- [redacted]
- [redacted]
- [redacted]

[redacted]

- [redacted]

4.3.4.2. მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციებიდან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

მოკვლევის პროცესში მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციიდან, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, შესაძლებელია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა:

- ✓ [redacted];
- ✓ [redacted];
- ✓ [redacted];
- ✓ [redacted]
  - [redacted];
  - [redacted]

[redacted];

- [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted];

✓ [redacted]

[redacted];

- ✓ [redacted];
- ✓ [redacted];

4.3.5. სააგენტოს შეფასება

4.3.5.1. შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის განხორციელებული მოლაპარაკების შეფასება

[redacted]

[redacted];

[redacted]

[redacted]

[redacted],[199] [redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[199] შპს „თინეთთან“ 2023 წლის 4 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1 (რეგ. N03/668) და დანართი აუდიო ჩანაწერი I (29:45-29:50; 34:45-34:49), აუდიო ჩანაწერი II (27:00 - 27:05)

[redacted][200], [redacted][201] [redacted][202]. [redacted]

[redacted][203]

[redacted]

[200] კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 5 სექტემბრის წერილი N02/2360, 2023 წლის 6 სექტემბრის წერილი N02/2374, 2023 წლის 13 სექტემბრის წერილი N02/2434

[201] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/3189 და დანართი

[202] შპს „თინეთის“ 2023 წლის 28 სექტემბრის წერილი N01/3266

[203] ამასთან დაკავშირებით, იხ: ECLI:EU:C:1984:130, “Asturienne,” Case C-29/83, 28.03.1984, par.26

[204]

[205].

[204] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30; OJ L 230/1, 86/398/EEC, "polypropylene," 23.04.1986, § 81
[205] ECLI:EU:C:1984:65, "Hasselblad (GB) Limited," Case 86/82, 21.02.1984, § 46.

[206], [207]. [208]

[206] ECLI:EU:C:2004:2, "Bundesverband der Arzneimittel-Importeure eV," Joined cases C-2/01 P and C-3/01 P, 06.01.2004, § 114; see, Commission Decision 80/1283/EEC of 25 November 1980 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/29.702: Johnson & Johnson) (OJ 1980 L 377, p. 16, paragraph 28),

[207] ECLI:EU:T:2000:242, "Bayer AG," Case T-41/96, 26.10.2000, § 52.

[208] ECLI:EU:C:2008:643, "Beef Industry Development Society," Case C-209/07, 20.11.2008, § 21, General Motors v Commission, paragraph 64

[redacted][209]

[redacted].[210] [redacted].[211]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გამოვლენილი ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენა მინიმუმ ორ ეპიზოდში, შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მხრიდან კინოთეატრის ბილეთების სარეალიზაციოდ „ექსკლუზიურად“ გადაცემაზე და ამის სანაცვლოდ [redacted], ხოლო შპს „ელ.ბილეთების“ მხრიდან, თანმხვედრი ნება აღნიშნული „ექსკლუზიური“ უფლების მიღებაზე და [redacted] თავის თავში მოიაზრებდა კონკურენციის შეზღუდვის მიზანს.

---

[209] OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 230; OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 37; ECLI:EU:C:2014:2204, "Groupement des cartes bancaires," Case C-67/13 P, 11.09.2014, § 49; ECLI:EU:C:2013:160, "Allianz Hungária Biztosító," Case C-32/11, 14.03.2013, § 37; ECLI:EU:C:2008:643, "Beef Industry Development Society," Case C-209/07, 20.11.2008, § 16, ECLI:EU:C:1985:33, "Bureau national interprofessionnel du cognac," Case 123/83, 30.01.1985, § 22; ECLI:EU:T:2006:265, "GlaxoSmithKline Services," Case T-168/01 27.09.2006, §§ 111-112; Case T-168/01 27.09.2006, §§ 111

[210] ECLI:EU:T:2000:77, "Cimenteries CBR," Joined cases T-25/95, T-26/95, T-30/95, T-31/95, T-32/95, T-34/95, T35/95, T-36/95, T-37/95, T-38/95, T-39/95, T-42/95, T-43/95, T-44/95, T-45/95, T-46/95, T-48/95, T-50/95, T-51/95, T-52/95, T-53/95, T-54/95, T-55/95, T-56/95, T-57/95, T-58/95, T-59/95, T-60/95, T-61/95, T-62/95, T-63/95, T-64/95, T-65/95, T-68/95, T-69/95, T-70/95, T-71/95, T-87/95, T-88/95, T-103/95 and T-104/95, 15.03.2000, § 2557;

[211] Kling M., Thomas S., KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 55, იხ. გ. ადამია, „ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით“, დისერტაცია, თბილისი, 2022, გვ.87

კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკურ აგენტების განდევნისა და არდაშვების, ბაზრის ჩაკეტვის თაობაზე შპს „სადისტრიბუციო კომპანიისა“ და შპს „ელ.ბილეთების“ ნებათა თანხვედრა წარმოადგენს შეთანხმებას, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ჰქონდა ბაზრის შეზღუდვა, რაც წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას.

4.3.5.2. შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის განხორციელებული მოლაპარაკების შეფასება

რაც შეეხება, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის წარმოებულ მოლაპარაკებებს, მხარეებს შორის მოლაპრაკება დაიწყო ნოემბრის თვეში, წარმოებდა შპს „ელ.ბილეთებთან“ მოლაპარაკებების პარალელურად და დასრულდა [redacted] მხარეებს შორის „ექსკლუზიური მიწოდების“ ხელშეკრულების დადებით.

[redacted]

[redacted]

[redacted][212],ურთიერთთანმ ხვედრი ნების გამოვლენის ეტაპზე შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ გაცნობიერებული ჰქონდა რა, რომ იყო ერთადერთი სუბიექტი ბაზარზე, რომელიც ახორციელებდა კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციას და ფლობდა ერთგვარ გასაღებს, რომელიც ფაქტობრივად წყვეტდა ვინ შესულიყო და ვინ არა კინოთეატრის ბილეთების საცალო ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, ხოლო შპს „თინეთი“, როგორც კინოთეატრის ბილეთების საცალო

[212] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

რეალიზაციის ბაზარზე მრავალი წლის განმავლობაში მოქმედი სუბიექტი, მოქმედებდა გაცნობიერებული განზრახვით, რომ „ექსკლუზიურ მიწოდებაზე“ უფლების მიღება და შესაბამისი შეთანხმება მისი კონკურენტი ანდა პოტენციური კონკურენტი აგენტებისათვის ქმნიდა გადაულახავ ბარიერს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესვლისათვის და ფაქტობრივად, ბაზრიდან განდევნიდა უკვე მოქმედ კონკურენტებს, მათ შორის, მომჩივან შპს „ელ.ბილეთებსა“ და კონკურენტ შპს „ივენთერს“.

[redacted]

[redacted]

შპს „თინეთი“ და „სადისტრიბუციო კომპანია“ მიღწეული შეთანხმებისას გაცნობიერებული მიზნით მომართულნი იყვნენ დაედოთ შეთანხმება, რაც შედეგად მოიტანდა ბაზარზე წვდომის შეზღუდვას დაინტერესებული ეკონომიკური აგენტებისათვის, მათ შორის, იმ დროს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნას, რაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზრის შეზღუდვას.

სააგენტოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს, რა ტიპის შეზღუდვები ექცევა კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე კატეგორიაში, რომელიც თავისი ბუნებით უფრო მაღალი ალბათობით მიაყენებს ზიანს კონკურენტულ გარემოს, აუცილებელია განხორციელდეს მხარეთა ნების/მიზნის განსაზღვრა. ხსენებული მიზანი დგინდება იმ ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც შეთანხმება უნდა იყოს გამოყენებული.[213] ასეთ დროს აღარ არის საჭირო კონკურენციის **შემზღუდველი შედეგის**

[213] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 15; Case C-501/06 P, GlaxoSmithKline Unlimited v Commission [2009] ECR I-9291, ECLI:EU:C:2009:610, აბზ. 58; იხ. ასევე Communication from the Commission — Notice — Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty, para. 22

შეფასება და მტკიცება,[214] ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისთავად ნაგულისხმევია/პრეზუმირებულია.

[redacted]

ამასთან, სააგენტო უთითებს, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, საბოლოო ჯამში, მხარეებს შორის შეთანხმება გაფორმდებოდა თუ არა წერილობითი ფორმით ხელშეკრულების ანდა სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ფორმის დოკუმენტში ან და შეთანხმდნენ თუ არა მხარეები სხვა დეტალებზე, რაც, შესაძლოა, ხელშეკრულებაში გაწერილიყო, რამეთუ მოლაპარაკების ძირითად და არსებით საკითხზე - კონკურენციის შეზღუდვის პრინციპზე - კონკურენციის შემზღუდველ „ექსკლუზივის პირობაზე" მათ უკვე გამოვლენილი ჰქონდათ ურთიერთმფარავი ნება. შეთანხმება კანონის მე-7 მუხლის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს დადებულად, როდესაც არსებობს ნებათა თანხვედრა კონკურენციის შეზღუდვის პრინციპზე, მაშინაც კი, თუ გათვალისწინებული შეზღუდვის სპეციფიკური მახასიათებლები ჯერ კიდევ **მოლაპარაკების პროცესშია.** ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის რაიმე სახის სპეციალური სამართლებრივი ფორმის დაცვა თუ **წერილობითი** დოკუმენტის არსებობა არ არის აუცილებელი,[215] ამ კუთხით ასევე არარელევანტურია თუ რამდენად მოხდა ამ **ნების განსხეულება სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონე წერილობით ხელშეკრულებაში**.[216]

[redacted]

[214] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 15.

[215] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30.

[216] Kling M., Thomas S., KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 55; იხ. გ. ადამია, „ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით", დისერტაცია, თბილისი, 2022, გვ.100

შესაბამისად, ***კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების განდევნისა და არდაშვების, ბაზრის ჩაკეტვის თაობაზე შპს „სადისტრიბუციო კომპანიისა“ და შპს „ონლაინ თიქეთსის“ ნებათა თანხვედრა წარმოადგენს ბაზრის შემზღუდავ შეთანხმებას და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებას.***

4.4. შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს “ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული ხელშეკრულების „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის უკვე არსებობდა ბაზრის შეზღუდვის მიზნის მქონე კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება „ექსკლუზიურ მიწოდებასთან“ დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულების ფორმალურად დადებამდე. ასეთი ტიპის შეთანხმება წარმოადგენს per se („თავისთავად”) სამართალდარღვევის ქვეშ მოაზრებულ ქმედებას, რომელიც მომეტებული საფრთხეების გამო აპრიორი მიჩნეულია მართლსაწინააღმდეგოდ. სამართალდარღვევის დასადგენად აუცილებელი არ არის დამატებითი ეკონომიკური ეფექტებისა თუ შედეგების გაზომვა და იმის დადგენა თუ რა შედეგები გააჩნია მას თავისუფალ ვაჭრობასა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.

თუმცაღა, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ შორის არამხოლოდ შედგა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება, არამედ ეს შეთანხმება წერილობითი სახით ოფიციალურად (ხელშეკრულებით) გაფორმდა და ჰპოვა პრაქტიკაში აღსრულება 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდით და შესაბამისი ეფექტებიც გამოიწვია, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შესაბამის ბაზარის კონკურენტულ გარემოზე მოპასუხე ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის ზეგავლენის მასშტაბები და შედეგები.

სააგენტო „ექსკლუზიური მიწოდებით“ გამოწვეულ კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს სხვადასხვა კრიტერიუმით აფასებს, მათ შორის, რა გავლენა მოახდინა „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულებაზე დაფუძნებულმა ვერტიკალურმა კოორდინაციამ ბაზრის სტრუქტურაზე, ასევე, ითვალისწინებს ბაზრის შემზღუდავი, ბაზრიდან გამომრიცხავი თუ კონკურენციის შემზღუდველი სხვა სახის ეფექტების ინტენსივობასა და მასშტაბებს.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მოპასუხე მხარეებს შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ შორის დადებული სადავო „ექსკლუზიური ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობას კონკურენციის სამართლის

მიზნებისათვის გააჩნია ვერტიკალური სახის კოორდინაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნული სუბიექტები, კონკრეტული შემთხვევისა და სადავო მოცემულობის ფარგლებში, განსაკუთრებით კი, სწორედ სადავო ხელშეკრულების ფარგლებში და ხელშეკრულების საგანთან მიმართებით მოთხოვნისა და მიწოდების ვერტიკალური ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე ოპერირებად მხარეებად არიან წარმოდგენილნი - შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუტორი და უშუალო მიმწოდებელი, ფლობს რა ერთგვარ „აუცილებელს რესურსს“ მეორე/ქვედა დონეზე ოპერირებადი ეკონომიკური აგენტებისათვის განმთვასებლებისათვის/საცალო რეალიზატორებისათვის (მათ შორის, მომჩივანისათვის), ხოლო აღნიშნული რესურსის გამოყენებით კინოთეატრის ბილეთების უშუალო რეალიზატორი ეკონომიკური აგენტები მომსახურებას უწევენ მომხმარებელს საკუთარი პლატფორმების საშუალებით. შესაბამისად, განმთავსებელი შპს „თინეთი“ „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ საფუძველზე იღებს ზედა დონიდან (კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზრიდან) შესაბამის რესურსს და მის რეალიზაციას ახორციელებს ქვედა დონის ბაზარზე (კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე), რაც ვერტიკალური კოორდინაციის დამახასიათებელი ურთიერთობაა.

სააგენტო, ამავადროულად მიუთითებს, იმაზე, რომ ხელშეკრულების შინაარსიდან და საგნიდან გამომდინარე, შპს „სადისიტრბუციო კომპანია“ და შპს „თინეთი“ წარმოდგენილია, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე ოპერირებადი ეკონომკური აგენტი. მოკვლევის პროცესში დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ წარმოადგენს ერთიან ეკონომიკურ აგენტს „ექსკლუზივის ხელშეკრულებაში“ მოხსენიებულ საქართველოში მოქმედ ექვს ძირითად კინოთეატრთან ერთად, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე კინოპროდუქციის შემოტანა, აგრეთვე მისი ბილეთების რეალიზაცია ონლაინ პლატფორმებისა და უშუალოდ კინოთეატრის სალაროების მეშვეობით.[217] როგორც უკვე დადასტურდა, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ოპერირებს, როგორც ერთადერთი ეკონომიკური აგენტი საქართველოს ტერიტორიაზე კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე, ანუ ზედა დონის ბაზარზე, აგრეთვე ის არის ბაზრის ქვედა დონის ანუ კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი სუბიექტიც, ახორციელებს რა ბილეთების რეალიზაციას შპს „კავეა გალერიას“, შპს „კავეა თბილისი მოლის“, შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ - იგივე „კავეა ისთ ფოინთის“, შპს კავეა საბურთალოს“, შპს „აპოლო ბათუმის“, შპს „ამირანის“ სალაროების მეშვეობით ფიზიკურად, აგრეთვე ონლაინ პლატფორმების - kinoafisha.ge, cavea.ge, აპლიკაცია Cavea cinemas აპლიკაციის მეშვეობით. ქვემოთ მოცემულ სქემაზე წარმოდგენილია შესაბამისი სტრუქტურა გადაწყვეტილების შემუშავების მომენტისათვის არსებული მოცემულობით:

[217] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი N01/1694

სქემა N4

როგორც სქემიდანაც ნათლად იკვეთება, სადავო „ექსკლუზიური პირობის“ შემცველი ხელშეკრულების მხარეები შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთი“ ორივე ახორციელებენ ოპერირებას ბაზრის ქვედა დონეზე ანუ კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე და წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. ამასთან აღნიშნული სუბიექტები ერთმანეთის კონკურენტებს წარმოადგენდნენ „ექსკლუზიური პირობის“ შემცველი ხელშეკრულების გაფორმებამდეც.

იმ გარემოებას, რომ შპს „თინეთი“ წარმოადგენს შპს „სადისიტრბუციო კომპანიის“ კონკურენტს ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე, ადასტურებს თავად „სადისტრიბუციო კომპანიაც“[218], რომელიც ბილეთების ონლაინ რეალიზატორებს (მათ შორის, შპს „თინეთს) კონკურენტებად ასახელებს. იგივე პოზიცია გააჟღერა კომპანიის წარმომადგენელმა ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზეც[219], თავის მხრივ, შპს „თინეთი“ შპს სადისტრიბუციო კომპანიის“ მართვად სალაროებს მოიაზრებს tkt.ge-ს კონკურენტად, რაც არაერთხელ დააფიქსირა მოკვლევის პროცესში.[220]

კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაცია მიიჩნევა ჰორიზონტალურ კოორდინაციად, ხოლო კონკურენციის სამართალში ჰორიზონტალური შეთანხმებების ნეგატიური ზეგავლენის მასშტაბები ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე უფრო დიდია, ვიდრე

[218] „შპს სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი N01/1694 და 01/1695

[219] შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ 2023 წლის 5 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2 (რეგ. N03/672) და დანართი აუდიო ჩანაწერი (01:47:35-01:47:55; 01:51:25-01:51:45)

[220] შპს „თინეთთან“ 2023 წლის 4 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1 (რეგ. N03/668) და დანართი აუდიო ჩანაწერი II (01:55 – 02:23; 04:10 – 04:33)

ვერტიკალური შეთანხმების, ვინაიდან ასეთი შინაარსის მატარებელი შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს აძლევს შესაძლებლობას არამართლზომიერი საშუალებებით და ბაზრის ბუნებრივი განვითარების ფარგლებში ჩამოყალიბებული კონკურენტული წნეხის გვერდის ავლით შეინარჩუნონ ან გაზარდონ საბაზრო ძალაუფლება.[221]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთის“ შეთანხმება და შესაბამისად, [redacted] დადებული ხელშეკრულება მოიცავს, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური შეთანხმების მახასიათებლებს, წარმოადგენს ე.წ. „შერეული კოორდინაციის“ ფორმას, რის გამოც რთულია მისი კვალიფიკაცია. თუმცაღა, ვინაიდან უნდა შეფასდეს მხარეებს შორის დადებული აღნიშნული „ექსკლუზივის პირობის“ ეფექტი და ამ მიზნით გამოიყენებულ იქნეს შესაბამისად დადგენილი შეფასების კრიტერიუმები, სააგენტო მიიჩნევს, რომ აუცილებელია, კოორდინაცია დაკვალიფიცირდეს ან ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ შეთანხმებად.

განსახილველი შეთანხმება, ანუ შეთანხმება „ექსკლუზიურ მიწოდებაზე“, შესაბამისი მუხლითაა მოცემული სადავო ხელშეკრულებაში, აგრეთვე შესაბამისი მუხლებითაა გაწერილი „ექსკლუზივთან“ დაკავშირებული მხარეთა უფლებები და მოვალეობები. სააგენტო მიიჩნევს, რომ შესაბამისი კოორდინაციის განსასაზღვრად ყურადღება უნდა მიექცეს და შეფასდეს თავად მხარეთა შორის დადებული ფორმალურ-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ხელშეკრულების საგნის მიმართ მხარეთა დამოკიდებულების თვალსაზრისი, სადაც, როგორც უკვე ითქვა, ერთი მხარე ზედა დონის ბაზრის „ძირითადი რესურსის“ მფლობელია, ამ შემთხვევაში, „სადისტრიბუციო კომპანია“, აღნიშნულ რესურსს და ქვედა დონის ბაზრის გასაღებს აძლევს მეორე მხარეს შპს „თინეთს“, რომელსაც აღნიშნული რესრუსი ესაჭიროება ქვედა დონის ბაზარზე ოპერირებისათვის. უფრო კონკრეტულად, ზედა დონიდან კინოთეატრის ბილეთებზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს შპს „თინეთისათვის“ ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე მონაწილეობა-ვერმონაწილეობის საკითხს.

შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების/ მიწოდების შინაარსიდან აქ უფრო მეტად იკვეთება ერთგვარი ვერტიკალური დამოკიდებულება, რამეთუ შპს „თინეთს“ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ თანამშრომლობა გარდაუვლად ესაჭიროება, როგორც ბაზრის ზედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთან, რათა მისგან მოიპოვოს ქვედა დონის ბაზრის გასაღები და შეძლოს იქ ოპერირება, ამისთვის ესაჭიროებოდა სადავო ხელშეკრულების დადებაც. შესაბამისად, შეთანხმების მიხედვით, სწორედ ვერტიკალური კოორდინაციის წყალობით მიიღო შპს „თინეთმა“ „ექსკლუზივის პირობა“ და 2023 წლის 13 იანვრის შემდგომ მოახერხა სხვა კონკურენტი აგენტების ბაზრიდან განდევნა. აქედან გამომდინარე, სააგენტო შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის

[221] Communication from the Commission — Guidelines on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal cooperation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 4

დადებულ შეთანხმებას, მათ შორის „ექსკლუზივის პირობას“, მოცემული მოკვლევის ფარგლებში განიხილავს და შეაფასებს როგორც ვერტიკალურ კოორდინაციას, თუმცა, შესაბამის ეტაპებზე, საჭიროების მიხედვით, მხედველობაში მიიღებს, რომ აღნიშნული კოორდინაცია შეიცავს ჰორიზონტალური კოორდინაციის ნიშნებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი გამოვლინებაა, თავად ამ ურთიერთობის ფარგლებშიც არის შესაძლებელი სხვადასხვა ფორმისა თუ შინაარსის კოორდინაციაზე საუბარი. პრაქტიკაში, როგორც წესი, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ცალკეული პროდუქტის/მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება, რომელთა საბაზრო მოთხოვნილებები, მიზნები და ამოცანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კომერციული ურთიერთობების სწორედ ასეთი მრავალფეროვნება განაპირობებს ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის რამდენიმე სპეციალური ფორმის არსებობას.

ამ მრავალფეროვნების შედეგია ასევე ის, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის ფორმების სრულად იდენტიფიცირება და შესაბამისი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მიუხედავად, ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის, როგორც სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ანალიზისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, დაკონკრეტდეს ექსკლუზიური ურთიერთობის სახე.

ევროკავშირის სამართალი და პრაქტიკა ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმებების სახეებად გამოჰყოფს - ექსკლუზიური მიწოდების („Exclusive supply“), ექსკლუზიური დისტრიბუციის („Exclusive distribution“), შერჩევითი დისტრიბუციის („Selective distribution“), მომხმარებლის ექსკლუზიური განაწილებისა („Exclusive customer allocation“) და სხვა შემთხვევებს.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სწორედ მსგავს შემთხვევას ეხება საქმე. ამდენად, სააგენტო წინამდებარე ქვეთავში აფასებს, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის ექსკლუზიური მომსახურების/მიწოდების გზით კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ეფექტს.

კომისიის შეტყობინება ვერტიკალური შეზღუდვების სახელმძღვანელო მითითებების შესახებ[222] კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური სახის ერთ-ერთ შეთანხმებად სხვა ფორმებთან ერთად მოიაზრებს „ექსკლუზიური მიწოდების“ შეთანხმებას („Exclusive supply“).

[222] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29

ექსკლუზიური მიწოდების ცნებაში შედის ის შეთანხმებები, რომელთა ძირითადი ელემენტია ის, რომ მიმწოდებელი ვალდებულია ან იძულებულია მიყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქტები/მომსახურება მხოლოდ ან ძირითადად ერთ მყიდველს, ზოგადი ან კონკრეტული გამოყენებისთვის. ეს შეიძლება იყოს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ფორმა, რომელიც ზღუდავს მიმწოდებელს მიყიდოს მხოლოდ ერთ მყიდველს ხელახალი გაყიდვის ან კონკრეტული გამოყენების მიზნით.[223]

უფრო ზუსტად, „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულება გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებულ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს. ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში სხვადასხვა შინაარსითა თუ ფორმით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული.

ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის ვალდებულების არსებობა. კანონის მე-7 მუხლისთვის რელევანტური "ექსკლუზიური მიწოდების" ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის არსებობისათვის საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზებისას კონცენტრირებას პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემძენზე აკეთებს.[224]

აღსანიშნავია, რომ „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულებით დატვირთული ვერტიკალური შეთანხმების დამყარებით დაინტერესებულ ძირითად სუბიექტს წარმოადგენს შემძენი, რომელიც ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე ოპერირებს. ამასთან, მსგავსი შინაარსის კოორდინაციაში შემძენის მონაწილეობის ძირითადი მოტივი მისი კონკურენტებისათვის ნედლეულსა თუ ცალკეულ საქონელსა და მომსახურებაზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობის მნიშვნელოვნად შემცირებაში მდგომარეობს. მისი კონკურენტებისთვის ბაზრის შეზღუდვის გზით შემძენი შესაბამის ბაზარზე მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას და ხელოვნურად იუმჯობესებს საბაზრო პოზიციებს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეები ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების შეძენის ბაზარზე იქმნება.

შესაბამისად, ევროკავშირის სამართლისა და პრაქტიკული მიდგომების[225] გათვალისწინებით, სადავო „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის ბაზრის სტრუქტურასა და მოცემულობაზე გავლენის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, სააგენტომ განახორციელა

---

[223] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, პარა 192; იხ. ასევე: Communication from the Commission COMMISSION NOTICE Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, პარა 321, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52022XC0630%2801%29

[224] იქვე

[225] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 192

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის, როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების, კერძოდ, ექსკლუზიური მიწოდებით გამოწვეული ბაზრიდან გამომრიცხავი თუ კონკურენციის შემზღუდველი სხვა სახის ეფექტების ანალიზი.

შესაბამისად, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის დადგენის პროცესში, სააგენტომ გამოიყენა და იხელმძღვანელა შემდეგი კრიტერიუმებით: „ექსკლუზიური მიწოდების მასშტაბი და ხანგრძლივობა“ („the extent to and the duration for which he applies an exclusive supply obligation“), მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება („Countervailing power of suppliers“), ვაჭრობის დონე და პროდუქტის/მომსახურების ბუნება („the level of trade and the nature of the product“), მიწოდების/მიმწოდებლის დონეზე შესვლის ბარიერების არსებობა („Entry barriers at the supplier level“). გარდა ამისა, სააგენტო, რელევანტურად მიიჩნევს, განიხილოს სადავო ხელშეკრულების „ექსკლუზიური მიწოდების“ შინაარსი, საგანი და “ექსკლუზიური მიწოდების“ დათქმის მოქმედების ფაქტობრივი შედეგი.

4.4.1. „ექსკლუზიური მიწოდების“ შინაარსი და საგანი

სააგენტოს მიერ მოკვლევის ფარგლებში დეტალურად გაანალიზდა ზემოაღნიშნული სადავო ხელშეკრულება და იდენტიფიცირებულ იქნა ის პირობები, რომელიც, მომჩივანის პოზიციით, შეიცავს ე.წ. „ექსკლუზიურობის“ დათქმასა და მასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს, რასაც შედეგად მოჰყვა მომჩივანისა და სხვა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნა.

ხელშეკრულებების ანალიზისას, მოკვლევის ინტერესებისა და სადავო გარემოებების შეფასების მიზნებისათვის, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების საგანზე, ე.წ. „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის შინაარსსა და ამ პირობასთან/დათქმასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობების შემცველ მუხლებზე.

შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (დღევანდელი სახით შპს „თინეთი“) შორის

[redacted]

[redacted]

ამასთანავე, სააგენტო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანებით დადასტურებულ იქნა აღნიშნული პირობის „ექსკლუზიური“ ხასიათი.[226] როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა სააგენტოს შუამდგომლობა, რომელიც დაყენებულ იქნა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა სადავო „ექსკლუზივის პირობის“ შემცველი ხელშეკრულების მოქმედება, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ მოკვლევის საწყის ეტაპზევე არსებობდა აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბაზარზე კონკურენციას.

ხაზგასასმელია, რომ ხელშეკრულებაში ცალკე მუხლი - [redacted]

[226] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება, საქმე N3ბ/2075-23

[redacted]

[redacted]

4.4.2. ექსკლუზიური მიწოდების მასშტაბი და ხანგრძლივობა

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა იმ მასშტაბსა და ხანგრძლივობას, რომელიც გათვალისწინებულია ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებისათვის. რაც უფრო მაღალია ექსკლუზივის პირობით განსაზღვრული პროდუქციის/მომსახურების წილი/მასშტაბი და რაც უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება ექსკლუზიური მიწოდება, მით უფრო დიდია კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის არსებობის ალბათობა.

[redacted]

[redacted][227].[redacted].[228]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

---

[227] [redacted]

[228] [redacted]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსკლუზივის პირობა მოქმედებს [redacted], რაც იმას ნიშნავს, რომ [redacted] არცერთ დაინტერესებულ პირს არ ექნება შესაძლებლობა შევიდეს და ოპერირება დაიწყოს/განაგრძოს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე. ამასთან, [redacted] ეკონომიკური საქმიანობისათვის, შესაძლოა მიჩნეულ იქნას იმ ხანგრძლივობის ვადად, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბაზარზე შესვლის/დარჩენის სურვილის მქონე კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. მაგალითად, მომჩივან კომპანიას უკვე ჰყავდა საკუთარი მომხმარებელი, რომელიც კინოთეატრის ბილეთებთან ერთად იძენდა სხვა ტიპის ღონისძიებების/მომსახურების ბილეთებს, შესაბამისად, ბაზრის ორი წლით ჩაკეტვა მას ართმევს არამარტო კინოთეატრის ბილეთების ონლაინ შეძენით დაინტერესებულ მომხმარებელს, არამედ მომხმარებელთა ბაზას, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს იმგვარ პლატფორმას, სადაც ყველა სერვისის შეძენა ერთ სივრცეშია შესაძლებელი და არ დასჭირდება სხვადასხვა მომსახურების შესაძენად სხვადასხვა ვებგვერდის/აპლიკაციის გამოყენება, ზედმეტი დროისა და სხვა რესურსის დახარჯვა,[229] რაც საბოლოოდ, ქმნიდა მაღალ რისკს, რომ მომჩივანს „ექსკლუზივის პირობის“ მოქმედების შედეგად დაეკარგა ბაზარზე საკუთარი ადგილი.

4.4.3. მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება

კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით „ექსკლუზიური მიწოდების“ სახელშეკრულებო პირობის შეფასების პროცესში რელევანტურ პარამეტრად ასევე უნდა იქნეს მიჩნეული მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება.

როგორც წესი, ძლიერი საბაზრო პოზიციების მქონე მიმწოდებლები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ცალკეული შემძენის წინაშე იკისრონ ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება.[230] როდესაც მიმწოდებელი ძლიერი საბაზრო ძალაუფლების მქონეა, როგორც წესი, მის ინტერესებში არ შედის მისი პროდუქციისა თუ მომსახურების გასაღების არეალის დავიწროვება და შეზღუდვა მხოლოდ ერთი შემძენის წინაშე აღებული ვალდებულებით. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდების ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ეკონომიკური აგენტი „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულების თავის თავზე აღებით ვერტიკალურ შეთანხმებას ამყარებს ერთ კონკრეტულ შემძენთან, ასეთ დროს ბაზრის შეზღუდვის ეფექტები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მიწოდების ბაზარზე მიმწოდებლის კუთვნილი საბაზრო წილების პროპორციულად მცირდება შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების შეძენის წყაროებზე

[229] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება, საქმე N3ბ/2075-23, გვ.11
[230] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 198.

ქვედა დონეზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისა თუ პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების წვდომა.[231]

ამ კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ როლი და მისი ადგილი ბაზრის სტრუქტურაში. სრულყოფილი სურათი დასანახად, უნდა განვიხილოთ მოპასუხის რამდენიმე ეტაპიანი და მრავალმხრივი მოქმედება ბაზარზე: **ერთი მხრივ,** იგი არის ერთადერთი სუბიექტი და ფაქტობრივი მონოპოლისტი კინოპროდუქციის შესაბამისი უფლებების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის, გავრცელებისა და ჩვენების ბაზარზე, **მეორე მხრივ,** [redacted], ხოლო **მესამე მხრივ,** მას გააჩნია კინოთეატრის ბილეთების გაყიდვების პროცესის მართვის ანუ ბილეთების დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლებაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს სწორედ კინოს ბილეთების საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის მიზანს ანუ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციას თავად ან მესამე პირის/პირების მეშვეობით.

კერძოდ, კინოთეატრის ბილეთების საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის პროცესი, რომელშიც შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ერთპიროვნული უფლებით სარგებლობს სამ საფეხურად შეიძლება წარმოვიდგინთ:

<u>სქემა N5</u>

I საფეხური - უცხოური კინოპროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების/ გავრცელების/გაქირავების საქმიანობა

⇩

II საფეხური - კინოთეატრებში კინოსეანსების დაგეგმვისა და ორგანიზების საქმიანობა

⇩

III საფეხური - კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის საქმიანობა

შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ ექმნება კინოთეატრებში უცხოური კინოპროდუქციის სეანსების მოწყობისა და ორგანიზების საშუალება, რაც წვდომას აძლევს საბოლოო მომსახურების სახით განახორციელოს კინოსეანსების ბილეთების დისტრიბუცია

[231] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.125

და რეალიზაცია თავად ან მესამე პირების/არხების მეშვეობით, მესამე პირებმა კი სწორედ შპს „სადისტრიბუციო კომპანიისგან“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მიიღონ ბილეთების რეალიზაციის უფლება, ანუ მხოლოდ მას ექსკლუზიურად გააჩნია უფლება - ერთგვარი „გასაღები“ მისცეს მესამე პირებს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის საქმიანობის დასაწყებად/გასაგრძელებლად.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, რომელიც ერთადერთი/დომინანტი სუბიექტია კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციიის ბაზარზე ექსკლუზიურად გადასცემს აღნიშნულ უფლებას ერთ შემძენს, რაც ბაზრის შეზღუდვის ეფექტს მაქსიმუმამდე ზრდის. თავის მხრივ, შპს „თინეთი“ კი, „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ დადებით, მისი კონკურენტებისთვის ბაზრის შეზღუდვის გზით შესაბამის ბაზარზე მოიპოვებს ხელოვნურ კონკურენტულ უპირატესობას და იუმჯობესებს საბაზრო პოზიციებს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, სახეზეა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეები კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ წარმოადგენს დომინანტური პოზიციის მქონე ეკონომიკურ აგენტს, ხოლო დომინანტური მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიხედვით, ეკონომიკური დამოკიდებულებაა.[232]

ეკონომიკურ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, როდესაც მომჩივან შპს „ელ. ბილეთებს“ და სხვა ეკონომიკურ აგენტებს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესასვლელად ესაჭიროებოდათ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასთან“ შესაბამისი გარიგების დადება და ამ გზით ბილეთების მიღება. მოცემულ შემთხვევაში ცხადია, რომ ყოველგვარი საბაზრო წილებისა თუ სხვა გარემოებების განსაზღვრის გარეშეც **შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ წარმოადგენს შპს „ელ.ბილეთების“ და სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი ეკონომიკური აგენტისათვის (მაგ: შპს „ივენთერი“ და სხვა) უალტერნატივო კონტრაჰენტს და შესაბამისად „აუცილებელ სავაჭრო პარტნიორს“(„unavoidable trading partner”).**[233]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოცემულ შემთხვევაში, მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლების ხარისხი ასევე ძალიან მცირდება ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ოპერირებს როგორც კინოთეატრების ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე, ასევე, უშუალოდ კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე, რაც დასტურდება ხსენებული ხელშეკრულებაში ექსკლუზივის საგამონაკლისო წესით, სადისტრიბუციო კომპანიისათვის

[232] ECLI:EU:C:1986:421, Case 226/84, „British Leyland,“ § 9

[233] ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 41/2; ECLI:EU:C:2000:132, Joined Cases C-395/96 P and C-396/96, P, „Compagnie Maritime Belge“, §132

უფლების შენარჩუნებით განახორციელოს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაცია მის საკუთრებაში არსებული პლატფორმების/აპლიკაციების მეშეობით.[234]

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ შემოსავლები რაიმე ფორმით შემცირდება ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების გაწევით, მას აქვს შესაძლებლობა, თვითონ განახორციელოს ქვედა დონის ბაზარზე ოპერირება და ამით თავადვე დააბალანსოს გაწეული/გასაწევი სადისტრიბუციო მომსახურების მოცულობის შესაძლო შემცირებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგები. აქედან გამომდინარე, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ეკონომიკურად საერთოდ არ არის დამოკიდებული ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ქცევაზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს შემძენის დამაბალანსებელი ძალაუფლება, რომელიც რაიმე ფორმით გავლენას მოახდენდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ ქცევაზე ან შეასუსტებდა კინოთეატრის ბილეთების სადისტირბუციო მომსახურების ბაზარზე მის საბაზრო ძალაუფლებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ საბაზრო ძალაუფლების დამაბალანსებელი საპირწონე საბაზრო ძალაუფლება, რომელიც რაიმე სახით შეზღუდავდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ შესაძლებლობას, იმოქმედოს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის/მომსახურების მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.

4.4.4. პროდუქტის/მომსახურების ბუნება

ვაჭრობის დონე და პროდუქტის/მომსახურების ბუნება მნიშვნელოვანია კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის დასადგენად.

როგორც წესი, კონკურენციის შეზღუდვის რისკი შედარებით ნაკლებია, როდესაც პროდუქტი ერთგვაროვანია და პირიქით, მიწოდების შესაძლო წყაროს დაკარგვა ჰომოგენური/ერთგვაროვანი პროდუქციის/მომსახურების შემთხვევაში არ არის იმდენად მნიშვნელოვანი შემძენებისათვის, რამდენადაც ჰეტეროგენული/არაერთგვაროვანი პროდუქტის/მომსახურების შემთხვევაში, რომელიც განსხვავებული ხარისხითა და თვისებებით გამოირჩევა.[235]

კინოპროდუქცია, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების დაცვის საგანს, როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი უფლების დაცულობის კუთხით, საჯარო

[234] [redacted]

[235] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 198.

გადაცემის, საჯარო ჩვენების, გავრცელებისა და სხვა ქონებრივი უფლებებით სარგებლობისათვის კინომომწოდებლებსა და გამავრცელებლებს ეკისრებათ ვალდებულება წარმოადგინონ საავტორო უფლების მქონე პირებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მათ ანიჭებთ უფლებას გააშუქონ ანდა გაავრცელონ კონკრეტული ფილმი.

შესაბამისად, თითოეული კინო, როგორც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი სპეციფიკური ნაწარმოები, ინტელექტუალური საკუთრების უნიკალური ობიექტი და ჰეტეროგენული პროდუქტი, ჩაუნაცვლებელია სხვა პროდუქტით, ხოლო, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ჰეტეროგენული პროდუქციის ერთადერთი მიმწოდებელი არსებობს კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, მიწოდების ერთადერთი წყაროს დაკარგვა შემძენისათვის მთლიანად ბაზარზე წვდომის დაკარგვას უდრის, რაც კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის დადასტურებაცაა.

ვერტიკალურ ურთიერთობებში მიწოდებაზე უარს შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, ისეთ დროს, როდესაც სახეზეა ისეთი ეკონომიკური აგენტი, რომელიც ზედა დონის ბაზარზე ფლობს დომინირებულ მდგომარეობასა და ისეთ პროდუქტს, რომელიც აუცილებელია სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის ქვედა დონის ბაზარზე შესასვლელად ან/და ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.[236]

თავის მხრივ, აუცილებელი პროდუქტი განიმარტება, როგორც ინფრასტრუქტურა ან სხვა საშუალება, რომელზე წვდომის გარეშეც ეკონომიკურ აგენტებს არ შეუძლიათ მომსახურების/საქონლის მიწოდება მომხმარებლისათვის[237], რაც, როგორც წესი, მოიცავს დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ კონტროლირებად ობიექტს, რესურსს[238], ინტელექტუალურ საკუთრებას[239], ლიცენზიას[240] და ა.შ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, მსგავსი პროდუქტი შესაძლოა იყოს ინფრასტრუქტურა, საქონელი ან მომსახურება, რომელზე წვდომისა და დაშვების გარეშეც ეკონომიკურ აგენტს არ შეუძლია საკუთარ მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი ან გაუწიოს მომსახურება.[241] ამასთან, კონკრეტული პროდუქტი შეიძლება „აუცილებლად“ იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ან უკიდურესად რთულია მისი დუბლირება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სახის სამართლებრივი და ეკონომიკური სირთულეებით. [242] ეკონომიკური აგენტი შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის ბაზარზე შესვლისათვის აუცილებელი საშუალების მფლობელ სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მფლობელობაში არსებული საქონელი, მომსახურება ან

[236] Jones/Sufrin, EU Competition Law, 5-th ed. გვ.510
[237] Commission Decision № 94/19/EC, “Sea Containers” § 66
[238] Jones/Sufrin, EU Competition Law, 5-th ed. გვ. 537
[239] ECLI:EU:C:2004:257, Case C-418/01, „IMS Health“, §§ 28-30
[240] იქვე
[241] ECLI:EU:T:1998:198, Joined cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, „ENS/ EPS“, § 209
[242] ECLI:EU:C:1998:569, Case 7/97, „Bronner“ §§ 43-46; ECLI:EU:C:2004:257, Case C-418/01 „IMS Health“, §§ 28-30

ინფრასტრუქტურა, მისი განსაკუთრებული მახასიათებლების გამო, არ არის ჩანაცვლებადი სხვა სახის ინფრასტრუქტურით, საქონლით ან მომსახურებით.[243]

შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ექსკლუზიური მიწოდების“ ობიექტი - კინოთეატრის ბილეთები წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების უნიკალური ობიექტისა და ჰეტეროგენული პროდუქტის - კინოემატოგრაფიული ნაწარმოების საჯარო გავრცელების საშუალებას, რაც კინოთეატრის ბილეთებს თავისთავად აქცევს ჰეტეროგენულ პროდუქტად.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ საქართველოს ტერტორიაზე ექსკლუზიურად ფლობს საავტორო უფლებებს კინოგაქირავების მიმართულებით და შეძენილი აქვს განსაკუთრებული უფლება ლიცენზიის/ქვეიცენზიის საფუძველზე, როგორც ძირითადი საერთშორისო კინოსტუდიებისაგან, ისე მათი ოფიციალური დისტრიბუტორებისაგან. კინოთეატრის ბილეთი წარმოადგენს ისეთ უნიკალურ პროდუქტს, რომლის დუბლირება შეუძლებელია და რომელიც წარმოადგენს მონოპოლისტი კომპანიის მიერ კონტროლირებად რესურსს, ვინაიდან, როგორც თავად შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ აღნიშნავს, საერთაშორისო მომწოდებლები ირჩევენ ერთ პარტნიორს ერთი ქვეყნის მასშტაბით, მით უმეტეს, თუ პატარა ტერიტორიის ქვეყანას ეხება საქმე.[244]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „ექსკლუზიური მიწოდების“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი - კინოთეატრის ბილეთები წარმოადგენს ჰეტეროგენულ პროდუქტს, რომელიც ჩაუნაცვლებელია სხვა პროდუქტით, რაც მის განსაკუთრებულ სტატუსზე, ჩაუნაცვლებელ ხასიათზე მეტყველებს, და რომელიც მას აქცევს შესაბამის ბაზარზე შესვლის „აუცილებელ რესურსად“.

4.4.5. მიწოდების/მიმწოდებლის დონეზე შესვლის ბარიერების არსებობა

მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ დაფუძნდა 2016 წელს და როგორც თავად უთითებს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე კინოპროდუქციის შემოტანა და მისი რეალიზაცია ონლაინ პლატფორმებისა და კინოთეატრებში ჩვენების გზით.[245]

---

[243] ECLI:EU:T:1998:198, Joined cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, „ENS/ EPS“, § 209

[244] „დღეს დადგენილი კომერციის სტანდარტები კინოინდუსტრიაში შეუძლებელს ხდის საქართველოს ზომის ქვეყანაში ერთზე მეტი კინოდისიტრბუციის კომპანიის არსებობას. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კინოს გადამღები კომპანიები, როგორც წესი, არ ახორციელებენ მის გაყიდვას ცალკეულ კინოთეატრებზე, არამედ დებენ ხელშეკრულებებს მთელს ბაზარზე დისტრიბუციის შესახებ,“ შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი

[245] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისი წერილი N01/1694

ამასთან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, [redacted][246] [redacted][247]

[redacted][248] [redacted]

[redacted]

[246] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი
[247] შპს „თინეთის“ 2023 წლის 5 მაისის წერილი N01/1518
[248] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 22 მაისის N01/1696 წერილი

კონკურენცია წარმოადგენს დინამიურ პროცესს და შესაბამისად, ბაზრის გაფართოების შესაძლებლობებისა და ბაზარზე შესვლის სიმარტივის ანალიზი, ასევე, წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს დომინანტი ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შეფასების პროცესში. მაგალითად, დომინანტი ეკონომიკური აგენტის თავისუფალი მოქმედების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ბაზარზე შესვლისა და ბაზრის გაფართოების შესაძლებლობა არ უკავშირდება ან უკავშირდება მინიმალურ დაბრკოლებებს, რაც პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს უადვილებს კონკრეტულ ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას. ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერებს, შესაძლოა, ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა. იგი შეიძლება ატარებდეს სამართლებრივ ხასიათს ან გამოიხატებოდეს დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთი სახის უპირატესობებში, როგორიცაა აუცილებელ ნედლეულზე ან ბუნებრივ რესურსებზე პრივილეგირებული წვდომა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიები, დისტრიბუციისა და გაყიდვების განვითარებული ქსელის ფლობა და ა.შ.

ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზისას სააგენტო აფასებს, იმ ბაზარზე პოტენციური ეკონომიკური აგენტების შესვლის სიმარტივის ხარისხს, სადაც ეკონომიკური აგენტი ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე პოტენციური ეკონომიკური აგენტების შესვლის სიმარტივის ხარისხი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე კინოფილმების საჯარო ჩვენების/გავრცელებისა და კინოგაქირავების ექკლუზიურ უფლებას. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ხსენებული ექსკლუზიური უფლება სხვა ეკონომიკურ აგენტებს ართმევს აღნიშნულ ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, უდავოდ, სახეზეა შესაბამის ბაზარზე შესვლის ისეთი ბარიერი, რომელიც არათუ ართულებს, არამედ შეუძლებელს ხდის სხვა ეკონომიკური აგენტების შესვლას ამ ბაზარზე. შესაბამისად, სახეზეა ბაზარზე შესვლის ისეთი ბარიერები, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და შესაბამისი საერთაშორისო კომპანიებისაგან მიღებული სპეციალური ლიცენზიებიდან, რისი არსებობის მიზანშეწონილობის შეფასება სცილდება მიმდინარე მოკვლევის ფარგლებს. მსგავსი ბარიერების არსებობა კი, შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ ხელში არსებული მასშტაბური საბაზრო ძალაუფლების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ეკონომიკური აგენტების მიერ ამ ბაზარზე შესვლის შეუძლებლობა „სადისტრიბუციო კომპანიას“ ანიჭებს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის თავისუფალი განხორციელების გარანტიას, რაც ბუნებრივია მას აძლევს შესაძლებლობას, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე პროდუქციის/მომსახურების მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია. აღნიშნული ფაქტი კი, უდავოს ხდის შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ დომინანტურ მდგომარეობისა და საბაზრო ძალაუფლების ურყეობასა და მდგრადობას საერთაშორისო კინოინდუსტრიებთან და ოფიციალურ დისიტრიბუტორებთან თანამშრომლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.4.6. ხელშეკრულების „ექსკლუზიურობის მიწოდების“ დათქმის მოქმედების ფაქტობრივი შედეგი

ზემოთგანხილული ფაქტორისა და გარემოების გათვალისწინებით, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს განიხილოს სადავო ხელშეკრულების „ექსკლუზიურობის დათქმის“ მოქმედების ფაქტობრივი შედეგები, რათა თვალნათელი იყოს ის ვითარება, რომელიც ბაზარზე აღნიშნული პირობის პრაქტიკაში ამოქმედებისა და აღსრულების შემდეგ ჩამოყალიბდა.

[redacted][249].[redacted]

[redacted]

[redacted]

როგორც უკვე მრავალგზის ითქვა, კინოთეატრის ბილეთების რეალიზატორი/გამყიდველი მესამე პირის შერჩევისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უფლება ეკუთვნის შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ საკუთარი შეხედულებისამებრ.[250]

კინოთეატრის ბილეთების მესამე პირებისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით, შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი

---

[249] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისი წერილი N01/1695 და შესაბამისი დანართები

[250] [redacted]

დოკუმენტაციიდან[251] დგინდება, რომ დაფუძნების დღიდან კომპანია თანამშრომლობდა სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტთან/პლატფორმასთან, მათ შორის:

- [redacted]
- [redacted]
- [redacted]
- [redacted]
- [redacted]
- [redacted]
- [redacted]

[redacted][252] [redacted]

[redacted]

[251] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 22 მაისის წერილი წერილი 01/1694

[252] [redacted]

[redacted]

[redacted][253]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[253] შპს „ელ.ბილეთების“ 2023 წლის პირველი მარტის №01/733 საჩივრის დანართი

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted].[254] საპასუხო წერილში[255] [redacted]

[254] სააგენტოს 2023 წლის 26 აპრილის წერილი N02/1108
[255] შპს „ივენთერის“ 2023 წლის 10 მაისის წერილი N01/1546

[redacted]

სააგენტო აღნიშნავს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ბაზარზე თავისუფალი დაშვების გარანტიაა, რომელიც კონკურენციის ხარისხის ზრდით მომხმარებელთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ისახავს მიზნად,[256] ხოლო, ბაზარზე დაწესებული ნებისმიერი ბარიერი აფერხებს კონკურენციის ბუნებრივ დინამიურ პროცესს, იწვევს პოტენციური თუ მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვას და ამ გზით იწვევს ბაზარზე ინოვაციური საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების, მომხმარებლისათვის არჩევანის სპექტრის შემცირებას, ფასთა შორის კონკურენციის შესუსტებას და ა.შ. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში ზიანს აყენებს მომხმარებელთა ინტერესებს.

ასევე, უდავოა, რომ კინოთეატრის ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურება, რომელსაც ეწევა მოპასუხე ეკონომიკური აგენტი, [redacted] ნებისმიერ დაინტერესებული სუბიექტისათვის წარმოადგენს კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესვლის აუცილებელ წინაპირობას. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურების გაწევაზე უარი, მომჩივანი ეკონომიკური აგენტისათვის ქმნიდა ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესვლის გადაულახავ ბარიერს. ამდენად, აღნიშნული უარის შედეგად გამოირიცხებოდა კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის (ქვედა დონის ბაზარი) ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტის შესვლა, ხოლო უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტები განიდევნენ ბაზრიდა, რის საფუძველზეც არსებითად იზღუდებოდა კონკურენცია ბაზარზე.

შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული „ექსკლუზიურ დათქმის“ შემცველი ხელშეკრულება სრულად მოქმედებს 2023 წლის იანვრიდან, შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, კონკურენციის შეზღუდვა ბაზარზე დაიწყო სწორედ ამ პერიოდიდან, ფაქტია:

- შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხარისხის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს ამ ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა.[257]

[256] Marty Frederic, „Politiques européennes de concurrence et économie sociale de marché“ Document de travail OFCE, n° 2010-30, novembre (2010), გვ. 31

[257] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში, (შეფასების ობიექტი: შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 აპრილის №45 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება) ივნისი, 2019 წელი. გვ. 9

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“[258] მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ანალიზი წარმოადგენს ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ პარამეტრს. პოტენციური ეკონომიკური აგენტებისათვის დაწესებული ნებისმიერი ისეთი ბარიერი, რომელიც აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს გამორიცხავს შესაბამისი ბაზრიდან, წარმოადგენს ამ **ბაზარზე კონკურენციის ხარისხის ზრდის შემაფერხებელ გარემოებას.** ბაზრიდან შპს „თინეთის“ კონკურენტი კომპანიების განდევნას [redacted], შედეგად აქვს ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე მომსახურების ხარისხის, ინოვაციური სერვისისა და სხვა ალტერნატიულ შეთავაზებების შეკვეცა (შეზღუდვა). ამასთანავე, აღნიშნული გადაულახავი ბარიერი ბაზარს უკეტავს ნებისმიერ დაინტერესებულ პონტეციურ ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდეს დასაბუთებლი განზრახვა შევიდეს კინოთეატრის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე;

- მომჩივანმა დაკარგა რა წვდომა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ვერ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განიცდის ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით. [redacted][259] [redacted]

[258] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“, ხელმისაწვდომია: https://gnca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/f378cc39831d4686878cb52e7b84e4ad.pdf

[259] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება, საქმე N3ბ/2075-23, გვ.12

[redacted][260] [redacted] “.[261]

- **მომხმარებელი კარგავს** ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას - **არჩევანის პლურალიზმს (მიმწოდებელი ვებგვერდის/პლატფორმის სახით),** ბილეთები შეიძინონ მათთვის სასურველ, ხელსაყრელ თუ მოსახერხებელ ვებგვერდზე/პლატფორმაზე, რაც აზიანებს ბაზარს და ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ

[260] იქვე, გვ.11
[261] შპს „ელ.ბილეთების“ 2023 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/3188

> გარემოს. გარდა ამისა, სწორედ არჩევანის პლურალიზმი და კონკურენტული წნეხი უბიძგებს ეკონომიკურ აგენტებს გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეამცირონ ფასი, ხოლო **კონკურენტული წნეხის არარსებობის პირობებში**, ექსკლუზივის პირობის საბაზრო კომფორტის პირობებში მყოფ ეკონომიკურ **აგენტს არ აქვს მოტივაცია იზრუნოს მომხმარებლის კეთილდღეობაზე**, გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი ან სხვაგვარი შეღავათი შეუქმნას მომხმარებელს. იმ პირობებში, კი როდესაც ექსკლუზივის ხელშეკრულების ძალით, [redacted] გამოირიცხა ბაზარზე ახალი სუბიექტების შესვლა და კონკურენციის ხარისხი სტატიკურ მდგომარეობაშია შენარჩუნებული, სახეზეა ბაზრის განვითარების შეფერხება და კონკურენციის დინამიური პროცესისათვის ზიანის მიყენება. ამასთან დაკავშირებით, სააგენტო სრულად იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებას უკვე ხსენებულ ბრძანებაში, სადაც ხაზგასმულია, რომ სადავო „ექსკლუზიურობის დათქმა“ „საჯარო ინტერესის, კერძოდ, მომხმარებელთა ინტერესების დაზიანებას იწვევს, იმ თვალსაზრისით, რომ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე (თავად შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ გარდა) მხოლოდ ერთი რეალიზატორის დარჩენის პირობებში შემცირდება კონკურენცია, რის გამოც მომხმარებელმა შესაძლოა, ვერ მიიღოს მომგებიანი შეთავაზებები სხვა სუბიექტების მხრიდან.“[262]

სააგენტო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯერ კიდევ მოკვლევის საწყის ეტაპზე დაინახა აშკარა მტკიცებულება, რომ „ექსკლუზიურობის დათქმა“ მნიშვნელოვნად ზღუდავდა კანონით გათვალისწინებულ კონკურენციას, შეაჩერა რა შესაბამისი „ექსკლუზიური პირობა“ და მასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობები მოკვლევის პროცესის დასრულებამდე და სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, ეს კიდევ ერთი მყარი მტკიცებულებაა იმისა, რომ სახეზეა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვა შესაბამის ბაზარზე.

ვერტიკალური კოორდინაციის მიზანი კონკურენტი ეკონომიკური აგენტის შესაბამისი ბაზრიდან განდევნასა და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტისათვის შესაბამის ბაზარზე შესასვლელად/დასარჩენად პრაქტიკულად გადაულახავი ბარიერების დაწესებაში მდგომარეობს. მხარეების მიერ „ექსკლუზიური მიწოდების” ვალდებულების შემცველი კოორდინაციის დამყარებით შპს „თინეთის“ ძირითადი მოტივაცია მისი კონკურენტებისათვის შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მომსახურებაზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობის გამორიცხვაში მდგომარეობდა. მისი კონკურენტებისთვის ბაზრის შეზღუდვის გზით შპს „თინეთმა“ შესაბამის ბაზარზე მოიპოვა კონკურენტული უპირატესობა და ხელოვნურად გაიუმჯობესა საბაზრო პოზიციები (იხ. დიაგრამა N5). აქედან გამომდინარე,

[262] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება, საქმე N3ბ/2075-23, გვ.13

ამ შემთხვევაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანი შეიქმნა თავად ბაზრის ჩაკეტვითა და კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნით.

ბაზრის მოცემულობის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, განსაკუთრებით იმ სურათის გამოსაკვეთად, თუ როგორი წლობრივი თანაფარდობა იყო ბაზარზე „ექსკლუზივის პირობის“ ამოქმედებამდე და მის შემდგომ, კერძოდ, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და პარტნიორი ონლაინ პლატფორმების მეშვეობით კინოთეატრების ბილეთების ონლაინ და უშუალოდ სალაროებში გაყიდვის შეფარდების და ხვედრითი წილების მოცულობის დასადგენად, მოპასუხე კომპანიისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2019 და 2023 წლის პირველი 5 თვის (1 იანვარიდან, 31-მაისის ჩათვლით)[263] რეალიზებული კინოთეატრების ბილეთების მოცულობის შესახებ (ჩაშლილი სახით). კერძოდ, ონლაინ პორტალების და უშუალოდ კინოთეატრების სალაროების მეშვეობით, როგორც თანხობრივად, ასევე რაოდენობრივად ცალ-ცალკე, თვეების მიხედვით.[264]

[redacted][265] [redacted]

[263] სააგენტოს მიერ მონაცემთა შედარების მიზნით, 2019 წელი შერჩეულ იქნა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის იანვრიდან მოქმედი (უფრო ვრცლად იხ. https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/interactive-timeline) გლობალური კოვიდპანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, რომლის პერიოდშიც ქვეყანაში მოქმედება განსაკუთრებული რეჟიმი, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტი №181 დადგენილებით აიკრძალა ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, ხოლო, შეზღუდვები ფაქტობრივად სრულად მოიხსნა 2022 წლის 28 მარტიდან, მათ შორის, გაუქმდა სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო, თუ სხვა სახის ღონისძიებებზე. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში და იმ პერიოდში, როცა კინოთეატრი ვერ ფუნქციონირებდა კოვიდპანდემიის რეგულაციების გამო (2020, 2021, 2022 წლის ნაწილი) სააგენტოსათვის 2023 წლის შედარების პერიოდად ვერ გამოდგებოდა. ამასთან, სააგენტომ მოკვლევის მიმდინარეობისას, შესადარებლად აიღო 2023 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემი, ვინაიდან „ექსკლუზირუობის დათქმა“ სწორედ 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდა და ის შეადარა 2019 წლის მონაცემს, ვინაიდან ამ წელს კინოთეატრები სრული დატვირთვით ფუნქციონირებდნენ.

[264] კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 26 ივნისის წერილი N02/1677

[265] შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ 2023 წლის 4 აგვიტოს წერილი N01/2605

[redacted].[266]

დიაგრამა N1

2019 წლის ბილეთების რეალიზაციის წილობრივი მონაცემები თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით:

დიაგრამა N2

2019 წლის ბილეთების რეალიზაციის წილობრივი მონაცემები რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით:

[266] დიაგრამებში ასახულია ხვედრითი წილები, როგორც თანხობრივი (იხ. დიაგრამა N1, N3, N5, N7,N9 და N10), ასევე რაოდენობრივი (იხ.დიაგრამა N2, N4, N6, N8, N9 და N10) მაჩვენებლების მიხედვით

დიაგრამა N3

2019 წლის ბილეთების რეალიზაციის დინამიკა თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით:

დიაგრამა N4

2019 წლის ბილეთების რეალიზაციის დინამიკა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით:

[redacted]

დიაგრამა N5

2023 წლის ბილეთების რეალიზაციის წილობრივი მონაცემები თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით

დიაგრამა N6

2023 წლის ბილეთების რეალიზაციის წილობრივი მონაცემები რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით

დიაგრამა N7

2023 წლის ბილეთების რეალიზაციის დინამიკა თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით

დიაგრამა N8

2023 წლის ბილეთების რეალიზაციის დინამიკა რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით

[redacted]

[redacted]

[redacted]

<u>დიაგრამა N9</u>

Tkt.ge-ს, biletebi.ge-ს და სალაროების მეშვეობით რეალიზებული ხვედრითი წილები 2019 და 2023 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით თანხობრივად

<u>დიაგრამა N10</u>

Tkt.ge-ს, biletebi.ge-ს და სალაროების მეშვეობით რეალიზებული ხვედრითი წილები 2019 და 2023 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით თანხობრივად

ვერტიკალურ შეთანხმებათა კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე ახდენს. ამ შემთხვევაში იგულისხმება მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე შესვლით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები. ასეთ სუბიექტებს დასახელებულ შესაბამის ბაზარზე შესასვლელად და ამ ბაზარზე თანასწორ პირობებში სრულფასოვანი ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად ესაჭიროებათ მიწოდების წყაროებზე თავისუფალი დაშვება.

შეთანხმების ფარგლებში, შპს „სადისიტრბუციო კომპანიამ“ ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის წინაშე ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების აღებით, გამორიცხა შესაძლებლობა სხვა შემძენებთან დაემყარებინა ანალოგიური კომერციული ურთიერთობა. შესაბამისად, ვერტიკალური კოორდინაცის ეფექტით ბაზრის ქვედა დონეზე ექსკლუზივამდე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისათვის და ასევე, პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის ბაზარზე შესვლის ფაქტობრივად გადაულახავი ბარიერები შექმნა. აღნიშნული კი, კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტებისა და კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ კოორდინაციათა არსებობის მნიშვნელოვან საფუძვლებს აყალიბებს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე ოპერირებდა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ მის მიერვე მართვადი არხების - **kinoafisha.ge**, **cavea.ge**, ონლაინ აპლიკაცია - **Cavea cinemas** და კინოთეატრის სალაროების მეშვეობით. ამასთან, ის დაშვებას აძლევდა სხვა ეკონომიკურ აგენტებს ბაზარზე და წყვეტდა თუ ვინ შეძლებდა ოპერირებას (ამ პერიოდში ბილეთების ონლაინ რეალიზაციას ეწევოდა მის მიერვე შერჩეული პლატფორმა - **tkt.ge (შპს „თინეთი“) - ექსკლუზიურად).**

შედეგად, ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე, 2023 წლის 13 იანვრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში ბაზარზე ოპერირებდა თავად „ძირითადი რესურსის“ - კინოთეატრის ბილეთების დისტრიბუტორი - შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და მის მიერ შერჩეული ექსკლუზიური აგენტი - შპს „თინეთი“, რაც განსაკუთრებით ზრდიდა კონცენტრაციის დონეს შესაბამის ბაზარზე და მნიშვნელოვნად ამცირებდა კონკურენტულ წნეხს, რითიც განზრახული იყო ჩაეკეტათ შესაბამისი ბაზარი რამდენიმე წლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულება [redacted] <u>სახეზეა მომჩივანი ეკონომიკური აგენტისათვის მნიშვნელოვანი ზიანი,</u> რადგანნკონკურენცია ბაზარზე შეზღუდული იყო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (დღევანდელი მდგომარეობით შპს „თინეთს“) შორის დადებული ექსკლუზიური შეთანხმება იწვევდა, როგორც შესაბამის ბაზარზე არსებული ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის, ასევე კონკურენტი ეკონომიკური აგენტისა და მომხმარებლისთვის ზიანის მიყენებას.

4.5. სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ შპს „ელ. ბილეთების“ მიერ ყველა მოთხოვნის, მათ შორის, საავანსო თანხის მოთხოვნის ნაწილში ფინანსური პირობის შესრულების მიუხედავად, სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარით, შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“ (ს/ნ: 402037611), შპს „თინეთმა“ (ს/ნ: 402116474), სს „თიბისი ბანკმა“ (ს/ნ: 204854595) და TBC Bank Group PLC-მა (ს/ნ: 10029943) კოორდინირებული ქმედებით შექმნეს ხელოვნური ბარიერი, რითიც არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენეს მომჩივანი და შეზღუდეს კონკურენცია ბაზარზე.

მომჩივანის აპელირებით, აღნიშნული ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება განაპირობა შპს „ონლაინ თიქეთსსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის კავშირმა, ვინაიდან შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ აქვს მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ურთიერთობები სს „თიბისი ბანკთან“ და სწორედ ამ რესურსის (საბანკო, სასპონსორო, სარეკლამო და სხვა) დაკარგვის საფრთხის გამო, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ იძულებული გახდა ბილეთების ონლაინ ექსკლუზიური რეალიზაციის უფლება მიეცა ბანკთან დაკავშირებული კომპანიისათვის - შპს „ონლაინ თიქეთსისათვის“ (დღევანდელი შპს „თინეთი“).

შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში მოპასუხე აგენტებს შპს „თინეთისა“ და შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ გარდა წარმოადგენდნენ სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC. ამასთან, როგორც დადგინდა, მოკვლევის მიზნებისათვის შპს „თინეთი“, სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC არ იქნენ მიჩნეულნი ერთიან ეკონომიკურ აგენტად და შესაბამისად, ერთ სუბიექტად, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ეკონომიკური აგენტების ქმედებები შეფასებულ იქნა განცალკევებულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ხოლო შპს „თინეთის“ ქმედება უკვე შეფასებულია გადაწყვეტილების შესაბამის ნაწილში.

სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-სგან გამოითხოვა და მიიღო, როგორც წერილობითი, აგრეთვე ზეპირი ახსნა-განმარტებები საჩივარში მათ მიმართ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

სს „თიბისი ბანკის“ განმარტებით, ის გარემოება, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ შესაძლოა, სარგებლობდეს გარკვეული საბანკო პროდუქტებით, ვერ ჩაითვლება, იმის მტკიცებულებად, რომ ბანკი რამე ზეწოლას ახორციელებს კონტრაჰენტზე. ამასთან, არცერთ

ხელშეკრულებაში არ ფიქსირდება არანაირი ჩანაწერი, რომელიც არ უკავშირდება სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებს და გარკვეულ ეჭვს გამოიწვევდა. ბანკს საკუთარი კორპორატიული კულტურა აქვს კლიენტებთან ურთიერთობის და ის ვერ იქნება დამოკიდებული ეკოსისტემაში შემავალი სხვა კომპანიის ინტერესებზე. ბანკი არ არის არანაირი ფორმით ჩართული და არ მონაწილეობს კინოთეატრის ბილეთების ონლაინ თუ ოფლაინ გაყიდვების სფეროში. ამასთან, სს „თიბისი ბანკის“ ზეწოლაზე საუბრისას და ბანკის გავლენის შესაფასებლად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია „სადისტრიბუციო კომპანია“ განიცდიდეს რამე სახის ზეწოლას, როდესაც თავად ბანკს არ აქვს რამე სახის ბერკეტი და არ სთავაზობს უნიკალურ ან ექსკლუზიურ პირობებს ბაზარზე, რისი დაკარგვაც შესაძლოა, კრიტიკული იყოს „სადისტრიბუციო კომპანიისაგან“ და რისი მიღებაც მას არ შეუძლია ქვეყანაში მოქმედი სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან. ბანკის მიერ წარმოებული პროდუქტი არ არის ექსკლუზიური და ჩაუნაცვლებელი ხასიათის და რომლის მიღებაც საბანკო სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის ფონზე მარტივადაა შესაძლებელი, გარდა ამისა, ბანკს ხელთ არ აქვს რამე სახის ბერკეტი, რომ არაპირდაპირ მაინც დააწესოს მოთხოვნები კონტრაჰენტებისადმი, ამ შემთხვევაში, შპს „სადისტრიბუციო კომპანიისათვის“.

ამასთანავე, მხარე მიუთითებს, რომ საბანკო სფერო მკაცრად რეგულირებადია, რომელსაც ზედამხედველობს საქართველოს ეროვნული ბანკი საკმაოდ მაღალი ინტენსივობით და მათი საქმიანობა ზედმიწევნით რეგულირდება კანონით, მათ შორის, მომხმარებელზე შესაძლო გარკვეული ზეგავლენის მოხდენის აღკვეთის თვალსაზრისით. გარდა ამისა, კონტროლდება „გაშლილი მკლავის“ პრინციპის დაცულობა და მომხმარებლის თანაბარუფლებიანობა. შესაბამისად, რეგულირებადი ჩარჩო გამორიცხავს რა აღნიშნული ქმედების განხორციელებას და „მონათესავე საწარმოსთვის“, ამ შემთხვევაში, შპს „თინეთისთვის“ გარკვეული უპირატესობის მინიჭებას, არც შპს „თინეთი“ არ სარგებლობს არანაირი უპირატესობითა და პრივილეგიით ბანკთან მიმართებით. რეგულირებადი ჩარჩო იმდენად მკაცრია, გამორიცხავს რამე სახით ჩართულობას კონკურენციის საწინააღმდეგო გარიგებებში.[267]

რაც შეეხება, TBC Bank Group PLC-ის, მხარემ განმარტება გააკეთა, როგორც წერილობითი კორესპონდენციის სახით, აგრეთვე ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ფორმატში, სადაც მხარემ აღნიშნა, რომ კომპანია წარმოადგენს ინგლისურ ჰოლდინგურ კომპანიას, რომელსაც გააჩნია, ძირითადად, ჰოლდინგური საოპერაციო ელემენტი, ვაჭრობს აქციებით ლონდონის ბირჟაზე, უზრუნველყოფს სხვადასხვა ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას. ჰოლდინგის შიდა სტანდარტებიდან, წესდებიდან და კორპორატიული ეკოსისტემის პოლიტიკიდან გამომდინარე, ჰოლდინგში შემავალი სს „თიბისი ბანკი“

[267] სს „თიბისი ბანკის“ 2023 წლის 8 მაისის წერილი N01/1526; სს „თიბისი ბანკთან“ 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N4 (რეგ. N03/771) და დანართი აუდიო ჩანაწერი (08:30 – 11:50)

სარგებლობს გადაწყვეტილებების მიღებისა და კომერციული სამოქმედო სტრატეგიის დამოუკიდებლობით, გარდა რისკმენეჯმენტისა. კერძოდ, ჰოლდინგს ჰყავს მენეჯმენტ ბორდი, რომელიც პოლიტიკის განმსაზღვრელია და რომელიც უშუალოდ მხოლოდ ძალიან მაღალი სტანდარტის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაშია ჩართული და არა ყოველდღიურ რუტინულ საქმეებში, მაგ: იხილავს ტრანზაქციებს, რომელიც შეეხება ბანკის აქტივების [redacted]%-ს და მეტს, [redacted] შესაბამისად, ბილეთების დისტრიბუციასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები მენეჯმენტ ბორდთან დაკავშირებით ვერ მოხვდებოდა იმ კრიტერიუმებში, რაც საფუძვლად ედება ბორდის მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებას. ამდენად, ეს საკითხი ბორდის ყურამდეც ვერანაირად ვერ მიაღწევდა.[268] შესაბამისად, TBC Bank Group PLC არათუ არ იყო ჩართული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში, საქმის კურსშიც არ იყო შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ წარმოებულ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით შპს „თინეთთან“.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

აღსანიშნავია, რომ არც საჩივართან ერთად და არც მოკვლევის პროცესში მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია ხელშესახები მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რამე ფორმით სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-ის მონაწილეობას ან/და ჩართულობას სადავოდ გამხდარ სახელშეკრულებო მოლაპრაკებების პროცესში ან/და მათ ზეგავლენაზე შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიმართ შპს „თინეთისათვის“ „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ გაფორმებაზე. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს „თინეთი“, სს „თიბისი ბანკი“ და TBC Bank Group PLC არიან ერთი ეკოსისტემის წევრები (თუმცა, დოკუმენტის მიხედვით გააჩნიათ ბიზნესგანვითარების დამოუკიდებელი სტრატეგია, დამოუკიდებელი რესურსები და სარგებლობენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიმღები მენეჯმენტით) ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ შპს „თინეთმა“ გამოიყენა საბანკო ზეგავლენა სადავო ხელშეკრულების მისაღებად.

ამასთან, სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოებისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე მოკვლეული, გამოთხოვილი და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაქტობრივი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების/მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობის გამო გონვრული ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დასტურდება სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-ის

[268] TBC Bank Group PLC-ის 2023 წლის 8 მაისის წერილი N01/1527; სს „თიბისი ბანკთან“ 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N5 (რეგ. N03/772) და დანართი აუდიო ჩანაწერი (06:06 – 08:35)

მონაწილეობა/ჩართულობა კონკურენციის საწინააღმდეგო „ექსკლუზიური დათქმის“ პრინციპის შემცველი ხელშეკრულების დადებასა თუ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებში.

ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააგენტოში მიმდინარე საქმის მოკვლევის პარალელურად საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით - სს „თიბისი ბანკისა“ და TBC Bank Group PLC-ის მიმართ, შესაბამისი საქმის მასალები კომპეტენციის ფარგლებში გადაეგზავნა უშუალოდ საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს - საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის აღნიშნულ საკითხებს.[269]

4.6. შუალედური დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში, 2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში, ერთი მხრივ, **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და მეორე მხრივ, შპს „ელ.ბილეთებს“** (ს/ნ: 205268869) **შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე, კინოთეატრის** ბილეთების „ექსკლუზიური მიწოდების“ თაობაზე მხარეთა **ნების თანხვედრა წარმოადგენს შეთანხმებას**, რომელიც, საბოლოო ჯამში, **მიზნად ისახავდა ბაზრის შეზღუდვას.**

ამასთან, იმავე პერიოდში, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი კონკურენტი და პოტენციური ეკონომიკური აგენტების განდევნასა და არდაშვებას, ბაზრის ჩაკეტვის თაობაზე **ნებათა თანხვედრა წარმოადგენს შეთანხმებას,** რომელსაც **მიზნად ჰქონდა ბაზრის შეზღუდვა და** მიიჩნევა, როგორც **კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება.** ამასთან, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის [redacted] დადებული **ხელშეკრულების მე-6 მუხლით („ექსკლუზივი“) გათვალისწინებული „ექსკლუზიური მიწოდების დათქმა“ წარმოადგენს ვერტიკალური შეთანხმების ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც გააჩნდა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის როგორც მიზანი, ასევე ეფექტი.** კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი გაანალიზებულ და შეფასებულ იქნა სხვადასხვა პარამეტრების მეშვეობით, კერძოდ: ექსკლუზიური მიწოდების მასშტაბი და ხანგრძლივობა, მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება, პროდუქტის/მომსახურების ბუნება, მიწოდების/მიმწოდებლის დონეზე შესვლის ბარიერების არსებობა, ასევე გაანალიზებულ იქნა სადავო ხელშეკრულების „ექსკლუზიური მიწოდების“ შინაარსი, საგანი და „ექსკლუზიური მიწოდების“ დათქმის მოქმედების ფაქტობრივი შედეგი. ***თუმცაღა, თავისთავად ის გარემოებაც, რომ ეს ვალდებულება არსებობს ხელშეკრულებაში***

[269] საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 27 მარტის წერილი N01/901

ორივე მხარის ნებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ბაზარზე სწორედ ეს შეთანხმება წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს მათი მოქმედების კურსის ასარჩევად, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ კონკურენციის შეზღუდვა წარმოჩინდეს.

ნაწილი 5. კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმება

5.1. ზოგადი მიმოხილვა

ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ის კოორდინაცია, რომელიც კვალიფიცირდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში არ მოექცეს ხსენებული ნორმით დადგენილი აკრძალვის ქვეშ და ამასთანავე, მასზე არ გავრცელდეს ამავე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ბათილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები.

კანონის მე-8 და მე-9 მუხლები ითვალისწინებს საგამონაკლისო სისტემას, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმების გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხება.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემის მიზანია ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებათა გარკვეული კატეგორია დაცულ იყოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გავრცელებისაგან. თავად საგამონაკლისო სისტემა განსაზღვრავს ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ იმ შეთანხმებათა ხასიათსა და წინაპირობებს, რომლებიც შესაბამის ბაზარზე ნაკლებ საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ან/და მისგან გამოწვეულ ზიანს მნიშვნელოვნად აღემატება ის სიკეთეები, რომელიც ამ შეთანხმებათა შედეგად იქნება დამდგარი.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების ორ ალტერნატიულ კატეგორიას იცნობს. ერთი მათგანი დაფუძნებულია შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილებზე და გათვალისწინებულია კანონის მე-8 მუხლით. ამ შემთხვევაში, საუბარია კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებებზე, ხოლო მეორე უკავშირდება იმ დადებით ეკონომიკურ სარგებელსა და პროგრესს, რომელიც, შესაძლოა, შედეგად ჰქონდეს ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ საგამონაკლისო კატეგორიებს შორის (მე-8 და მე-9 მუხლი) კანონი რაიმე პრიორიტეტს არ აწესებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საგამონაკლისო კატეგორია უნდა შემოწმდეს თავდაპირველად. ამასთანავე, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ტესტის წინაპირობების დაკმაყოფილებაც კი

საკმარისია იმისათვის, რათა კონკრეტული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კონკურენციის შემზღუდველი ნორმის მოქმედების ფარგლებიდან გამოირიცხოს. ვინაიდან კანონის მე-8 მუხლით გათვალისწიებული საგამონაკლისო სისტემა უფრო ზოგადი კატეგორიისაა და მოიცავს არა კონკრეტულ შეთანხმებათა ჯგუფებს (როგორც ეს კანონის მე-9 მუხლის შემთხვევაშია), არამედ მიემართება შეთანხმებათა ნებისმიერ ჯგუფს, თუ იგი აკმაყოფილებს დადგენილ წინაპირობებს, შესაბამისად, სააგენტო, პირველ რიგში განიხილავს, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოკვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული კონკურენციის საწინააღმდეგო შემთანხმებებები მე-8 მუხლით დადგენილი კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმების კრიტერიუმებს.

5.2. მხარეთა საბაზრო წილი

როგორც აღინიშნა, ექსკლუზიური მიწოდება, როგორც ვერტიკალურ კოორდინაციაზე დაფუძნებული შეთანხმება, რომლის კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი და ეფექტი მოცემული მოკვლევის ფარგლებში არის შესაბამისი ბაზრის შეზღუდვა, გათვალისწინებულია კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა შეთანხმება არ ითვლება იმ ხარისხის კონკურენციის შეზღუდვის მატარებლად, რომ მათზე გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული აკრძალვა. კანონი გამონაკლის შემთხვევას უკავშირებს კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებებს, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეთანხმება შეიცავს, როგორც ვერტიკალური, აგრეთვე ჰორიზონტალური შეთანხმების ელემენტებს. აღნიშნული ყოველი ტიპის შეთანხმებისათვის კანონი აწესებს წინაპირობას შესაბამის ბაზარზე წილობრივი მონაცემების სახით.

შედეგად, კონკურენციის უმნიშვნელოდ შეზღუდვა არ ექვემდებარება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ აკრძალვებს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში დადგინდეს მხარეებს შორის შეთანხმების არსებობა, ასევე შესაძლოა, ის არ ჩაითვალოს კონკურენციის საწინააღმდეგოდ და არ იქნას გამოყენებული შესაბამისი სანქცია.

კანონი კონკრეტულად ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა შეთანხმება კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველად მიიჩნევა. კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებად (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) მიიჩნევა და კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებულ შეთანხმებაზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური შეთანხმების მხარეთა ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება;

ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება;

გ) შეთანხმება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური შეთანხმების, ისე ვერტიკალური შეთანხმების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ შეთანხმებად ან ვერტიკალურ შეთანხმებად კლასიფიკაცია და შესაბამის ბაზარზე შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება.

სააგენტო განმარტავს, რომ პრაქტიკაში, შეთანხმებათა გარკვეული კატეგორიებიდან ერთ-ერთში მოხვედრისას, შეთანხმება ავტომატურად ითვლება კონკურენციის საწინააღმდეგოდ.

ასეთ შეთანმებებად, კანონი მიიჩნევს, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეთანხმებებს, ანუ, როდესაც სახეზეა შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება) ან ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება. შესაბამისად, თუ კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში დადგინდება აღნიშნული შეთანხმებებიდან ერთ-ერთის არსებობა, მასზე არ გავრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი. სხვა შემთხვევებში, კონკურენციის საწინააღმდეგოობა დგინდება ეკონომიკური ანალიზით, შეთანხმების მიერ გამოწვეული/სავარაუდოდ გამოსაწვევი შედეგის მიხედვით.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, სავარაუდო დარღვევა (როგორც შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის, ასევე შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის დადგენილი შეთანხმება) შეეხება კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას (წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა) და ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაზე მე-8 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ვრცელდება შესაბამისი გამონაკლისი, მოკვლევის ფარგლებში ფაქტობრივი მოცემულობის საფუძველზე მოხდა აღნიშნული წინაპირობების მისადაგება გამოვლენილ შეთანხმებასთან მიმართებით.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სააგენტომ დაადგინა ვერტიკალური კოორდინაცია, სააგენტო ხელმძღვანელობს კანონის მე-8 მუხის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ წინაპირობებით, რომლის მიხედვითაც, იმისათვის, რომ შეთანხმებას შეეხოს გამონაკლისი საჭიროა, რომ შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატებოდეს.

ამ შემთხვევაში, შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთი“, ხოლო მეორე მხრივ, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „ელ.ბილეთები

ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში, ერთი მხარე არის შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, ხოლო ამ უკანასკნელის წილობრივ მონაცემებთან დაკავშირებით ანალიზი უკვე გაკეთდა გადაწყვეტილების IV თავში და დადგინდა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის კინოთეატრის ბილეთების სადისტრიბუციო ბაზარზე ოპერირებადი ერთადერთი სუბიექტი, იგი ფლობს 100 პროცენტიან წილს და წარმოადგენს ამ ბაზრის დომინანტ ეკონომიკურ აგენტს.

ასვე ცხადია, რომ ორივე შეთანხმების ერთ-ერთი მხარის შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ წილობრივი მონაცემები ბევრად აღემატება კანონით დადგენილ 15 პროცენტიან ზღვარს, შესაბამისად, აზრს მოკლებულია შეთანხმების მონაწილე სხვა დანარჩენი ეკონომიკური აგენტების წილობრივი მონაცემების ანალიზი.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან კანონი ადგენს წინაპირობას, რომ შეთანხმების მონაწილე, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, შეთანხმების ერთ-ერთი მხარის - შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ საბაზრო წილი ბევრად აღემატება აღნიშნულ საპროცენტო ზღვარს, ამ შემთხვევაში კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი ვერ გავრცელდება.

5.3. შუალედური დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გამოვლენილი კონკურენციის შემზღუდველი ვერცერთი შეთანხმება ვერ აკმაყოფილებს კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ წინაპირობებს (კერძოდ, შესაბამის ბაზარზე შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილთან მიმართებით), რათა მიჩნეულიყო კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებად და მასზე გავრცელებულიყო კანონით დადგენილი გამონაკლისი.

ნაწილი 6. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისი

კანონის მე-7 მუხლის კონტექსტში დადგენილი გამონაკლისი არ შემოიფარგლება მხოლოდ მე-8 მუხლის შინაარსით, არამედ მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მე-9 მუხლის შემადგენლობაც. კერძოდ, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამონაკლისებს შეიძლება მიეკუთვნოს შეთანხმებები, რომლებიც:

- ხელს უწყობენ წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს
- უზრუნველყოფენ მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან
- ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

კანონის მიხედვით, აღნიშნული გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკონომიკურ აგენტებზეა.[270]

განსაკუთრებული პირობები კი, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს გამონაკლისები და რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების კონკრეტულ სახესთან, დგინდება განსაზღვრული ვადით საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით, რომელშიც მითითებულია აღნიშნული ვადა და ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დგინდება ეს გამონაკლისები.[271]

ხაზგასასმელია, რომ გამონაკლისების კუთხით, ევროკავშირში არსებული საგამონაკლისო ნორმისა (TFEU 101-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი) და შესაბამისი რეგულაციის[272] პარალელურად, საქართველოში გამონაკლისები დარეგულირებულია სპეციალური კანონქვემდებარე აქტით - საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის N526 დადგენილებით „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“.[273]

იმ წინაპირობების გარდა, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა და რასაც კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ასახელებს, N526 დადგენილების მე-4 მუხლი დამატებით უთითებს კიდევ ერთ წინაპირობაზე, რომლის მიხედვით, სხვა წინაპირობებთან ერთად შეთანხმება აგრეთვე უნდა ექცეოდეს გამონაკლისებისადმი მიკუთვნებულ შეთანხმებათა ჯგუფებში, აღნიშნული ჯგუფები კი ამავე დადგენილების მე-5 მუხლშია დასახელებული.

N526 დადგენილების მე-5 მუხლი გამონაკლისებისადმი მიკუთვნებულ შეთანხმებათა ჯგუფებს ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში გულისხმობს:

---

[270] კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, იხ. გზამკვლევი დოკუმენტი ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, მაისი, 2017, გვ. 13, ხელმისაწვდომია: https://admin.competition.ge/uploads/5696e40e32594747837273e4ea7232f6.pdf

[271] კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი

[272] Commission Regulation (EU) 2022/720 of 10 May 2022 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices (Text with EEA relevance)

[273] გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, 2018, ხელმისაწვდომია: https://admin.competition.ge/uploads/1c5b8828bc6948689535c33d6428d5e0.PDF

ა) შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის;
ბ) შეთანხმებას ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის.

ხოლო, ჰორიზონტალური ან/და ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევაში, დადგენილება ვრცელდება:

ა) ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებაზე;
ბ) სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებაზე;
გ) საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებაზე.

შესაბამისად, გარდა 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც დისტრიბუტორებს შორის ჩამოყალიბებულ ვერტიკალურ შეთანხმებას მოიცავს და ზოგადი ხასიათისაა, მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა საგამონაკლისო შემთხვევები სპეციალური ჯგუფური გამონაკლისებია, რომელიც კონკრეტული ხელშეკრულების სახეებითაა დაზუსტებული და უფრო ვიწრო სფეროს მოიცავს.

გამონაკლისებთან დაკავშირებით, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ 1. დადგენილების მიხედვით ზემოაღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილება კუმულატიურად უნდა მოხდეს და 2. წინაპირობების შემოწმების რიგითობა ან/და პრიორიტეტულობა დადგენილი არ არის.

როგორც გამოიკვეთა, დადგენილებით განსაზღვრული საგამონაკლისო სისტემა მოიცავს ვერტიკალურ ურთიერთობათა ფართო სპექტრს, რომლის ფარგლებშიც ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობებიც უნდა მოვიაზროთ.

თეორიული თვალსაზრისით, შესაძლებელია, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ჩამოყალიბდეს დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის საგამონაკლისო შეთანხმებების საფუძველზე.

შპს „თინეთი“ მოკვლევის ფარგლებში ექსკლუზიურ და სელექციურ/შერჩევით დისტრიბუციაზე აპელირებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დისტრიბუციის, როგორც კონკურენციასთან შესაბამისი ფორმის მტკიცების ტვირთი ეკისრება შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ და არა - შპს „თინეთს“, ხოლო შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ მოკვლევის ფარგლებში არ მიუთითებია ხსენებულ საგამონაკლისო ნორმებზე და არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცება.[274]

[274] აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „თინეთი“ აპელირებს 2023 წლის 15 მაისის N01/1518 წერილშიც

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა განმარტებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №526 დადგენილებით (მუხლი 2.1. „დ“), ხოლო მისი მახასიათებლებია:

- საქონლის ან მომსახურების მხოლოდ შერჩეული დისტრიბუტორებისთვის მიყიდვის ვალდებულება;
- წინასწარ დადგენილი, გონივრული და ობიექტური კრიტერიუმებით დისტრიბუტორების შერჩევა;
- დისტრიბუტორების ვალდებულება, არ გადაყიდონ საქონელი ან მომსახურება იმ პირებზე, რომლებიც არ არიან მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული შერჩევითი დისტრიბუციის სისტემის წევრები.

მოპასუხის მიერ მითითებულ Metro v Commission (1977)) საქმეზე („მეტრო“)[275] სასამართლომ, ასევე დაადგინა შემდეგი კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს **შერჩევითი დისტრიბუციის სისტემა** იმ მიზნით, რომ „წმინდა ხარისხობრივი“ ხასიათის მქონედ ჩაითვალოს და არ იქნეს მიჩნეული ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლის მოქმედების სფეროდან. კერძოდ, (1) დისტრიბუტორი შერჩეულ უნდა იქნას ხარისხობრივი ბუნების მქონე ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც ყველა პოტენციური დისტრიბუტორისთვის ერთნაირად არის დადგენილი და არ არის გამოყენებული დისკრიმინაციული გზით; (2) პროდუქტის მახასიათებლები მოითხოვს დისტრიბუციის ამგვარ სისტემას მისი ხარისხის შენარჩუნებისთვის და შესაბამისი გამოყენების უზრუნველყოფისთვის; (3) დადგენილი კრიტერიუმები არ სცდება საჭირო ფარგლებს.

რაც შეეხება ექსკლუზიურ დისტრიბუციას[276], ევროკავშირის რეგულაცია[277] „ექსკლუზიური დისტრიბუციის სისტემას“ განმარტავს, როგორც დისტრიბუციის სისტემას, სადაც მიმწოდებელი გამოჰყოფს ტერიტორიას ან მომხმარებელთა ჯგუფს მხოლოდ საკუთრივ მისთვის ან თავისი არა უმეტეს ხუთი მყიდველისთვის და ყველა სხვა თავის მყიდველს უკრძალავს ექსკლუზიურ ტერიტორიაზე ან მომხმარებელთა ექსკლუზიური ჯგუფის მიმართ აქტიური გაყიდვების განხორციელებას.

ექსკლუზიური დისტრიბუციის სისტემის გამოყენება ხდება მაშინ, როცა მიმწოდებელს სურს დისტრიბუტორის სარგებელი გაზარდოს, რათა დისტრიბუტორმა ხელი

---

[275] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61976CJ0026 მეტროს საქმეში გამოყენებული მსჯელობა მითითებულია ასევე შემდეგ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში: Coty Germany v Parfümerie Akzente (2017); Pierre Fabre Dermo-Cosmétique, C-439/09

[276] ამ ორის სახის დისტრიბუციის სისტემას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ექსკლუზიური დისტრიბუტორი დაცულია მისი ექსკლუზიური ტერიტორიის გარედან აქტიური გაყიდვებისგან, ხოლო შერჩევითი დისტრიბუციის შემთხვევაში, დისტრიბუტორი დაცულია არაუფლებამოსილი დისტრიბუტორების მიერ აქტიური და პასიური გაყიდვებისგან.

[277] Commission Regulation (EU) 2022/720 of 10 May 2022 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices (Text with EEA relevance), მუხლი 1(h)

შეუწყოს იმ ტერიტორიაზე მიმწოდებლის ბრენდის განვითარებას, სადაც ეს ბრენდი არ არის ცნობადი, ან კონკრეტულ ტერიტორიაზე ან მომხმარებელთა ახალ ჯგუფზე გაყიდოს ახალი პროდუქტი. ექსკლუზიური დისტრიბუციის დროს ის შეიძლება გამონაკლისებში მოექცეს იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აჭარბებს 30%-ს, შეთანხმება არ მოიცავს მძიმე ფორმის შეზღუდვებს და დისტრიბუტორების რაოდენობა არ აღემატება ხუთს.[278]

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, საქართველოს მთავრობის №526 დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საგამონაკლისო წესი არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით აკრძალულ შეთანხმებაზე, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე. დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო ტიპის ხელშეკრულების კატეგორიების მიხედვით, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მოცულობა მერყეობს - 20-30% ფარგლებში, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ იმ ბაზრის ნაწილი, რომელიც იზღუდება, აღნიშნულ საპროცენტო ნიშნულზე მეტია, გამორიცხულია დადგენილების საგამონაკლისო წესის მოქმედება.

ამასთან, მიმწოდებლის მიერ დაკავებული შესაბამისი ბაზრის წილის განსაზღვრა ხორციელდება მხოლოდ იმ პროდუქციულ საზღვრებში, რომლებიც შედგება შეთანხმების მეორე მხარისათვის მიწოდებული პროდუქციისგან.

წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად, დადგენილია (IV თავი), რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ არის კინოთეატრის ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე ოპერირებადი და მიმწოდებელი ერთადერთი სუბიექტი, შესაბამისად, იგი ფლობს ამ ბაზრის 100 პროცენტიან წილს და წარმოადგენს დომინანტ ეკონომიკურ აგენტს (მინიმუმ ბოლო სამი წლის განმავლობაში). შესაბამისად, გამოვლენილი შეთანხმებებები - როგორც შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის, ასევე შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის, ზღუდავს კონკურენციას შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს დადგენილების მოქმედებას მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც არარელევანტურს ხდის სხვა დანარჩენ წინაპირობებზე მსჯელობასა და მათ შეფასებას, როგორც შერჩევითი, ასევე ექსკლუზიური დისტრიბუციის ფარგლებში

ცხადის ისიც, რომ შესაბამისი ბაზრის უფრო ფართოდ განსაზღვრის პირობებშიც კი (თუ შესაბამისი ბაზრის საზღვრებში გაერთიანდებოდა კინოთეატრის ბილეთების ოფლაინ/ფიზიკური რელიზაცია) შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ სახით საქმე გვექნებოდა დომინანტ (მეტიც, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე) ეკონომიკურ აგენტთან კინოთეატრის ბილეთების მიწოდების კუთხით და კონკურენციის შემზღუდველი

[278] Communication from the Commission COMMISSION NOTICE Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, para. 120

შეთანხმების აკრძალვიდან საგამონაკლისო წესის შეფარდების პროცესში აღნიშნული ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებდა.

ნაწილი 7. დასკვნა

1. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, ერთი მხრივ, **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და მეორე მხრივ, შპს „ელ.ბილეთებს“** (ს/ნ: 205268869) **შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე, კინოთეატრის** ბილეთების „ექსკლუზიური მიწოდების“ თაობაზე, **ნებათა თანხვედრა წარმოადგენს შეთანხმებას**, რომელსაც, საბოლოო ჯამში, **მიზნად ჰქონდა ბაზრის შეზღუდვა** და წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას;
2. **ამავე პერიოდში, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის** ბაზარზე მოქმედი და პოტენციურ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების განდევნისა და არდაშვების, ბაზრის ჩაკეტვის თაობაზე **ნებათა თანხვედრა წარმოადგენს შეთანხმებას,** რომელსაც **მიზნად ჰქონდა ბაზრის შეზღუდვა და** წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას;
3. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ:402116474)) შორის** [redacted] დადებული ხელშეკრულება შეიცავს „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობას;
4. „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობაზე შეთანხმება განხორციელდა ხელშეკრულების ორივე მხარის ნებითა და გაცხადებული თანხმობით;
5. „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობაზე შეთანხმება წარმოადგენს **ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციას** შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის, რომელიც, ასევე **შეიცავს ჰორიზონტალური კოორდინაციის ნიშნებსაც** და რის საფუძველზეც, შესაბამის ბაზარზე მოქმედ და პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ეზღუდებოდათ კინოთეატრის ბილეთების ონლაინ საცალო რეალიზაციის ბაზარზე შესვლა/დარჩენა, აღნიშნული წარმოადგენს შეთანხმებას, **რომლის მიზანი და აგრთვე, ეფექტიც იყო შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა.**
6. მოკვლევის ფარგლებში **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის გამოვლენილ შეთანხმებაზე არ დადგინდა კანონის მე-8 მუხლით** გათვალისწინებული კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი.
7. მოკვლევის ფარგლებში **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გამოვლენილ შეთანხმებაზე არ დადგინდა კანონის მე-8 მუხლით**

გათვალისწინებული კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი.

8. მოკვლევის ფარგლებში **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის გამოვლენილ შეთანხმებაზე არ დადგინდა კანონის მე-9 მუხლითა** და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის **N526 დადგენილებით** გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების საგამონაკლისო კატეგორიისადმი მიკუთვნების წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი.
9. მოკვლევის ფარგლებში **შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გამოვლენილ შეთანხმებაზე არ დადგინდა კანონის მე-9 მუხლითა** და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის **N526 დადგენილებით** გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების საგამონაკლისო კატეგორიისადმი მიკუთვნების წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი.
10. მოკვლევის შედეგად, **სს „თიბისი ბანკი“** (ს/ნ: 204854595) მონაწილეობა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში **არ დადგინდა.**
11. მოკვლევის შედეგად, **„TBC Bank Group PLC“** -ის (ს/ნ: 10029943) მონაწილეობა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში **არ დადგინდა.**

თავი VI. სანქცია

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ხარისხის ზრდას, რათა მოხდეს ისეთი ბაზრების არსებობის გარანტირება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მომხმარებლის ინტერესებთან, უზრუნველყოფს ეკონომიკაში რესურსების ეფექტიან გადანაწილებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული წარმოების გაუმჯობესებას. ამასთანავე, კონკურენციის კანონმდებლობა მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის, როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და რესურსების ეფექტურად განაწილების ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კანონი ითვალისწინებს კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გარკვეულ მექანიზმებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღსრულების კონკრეტული ღონისძიებების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფაქტების პრევენცია და თავიდან აცილება, რათა დაცულ იქნეს საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ჯარიმა. სანქციის აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს აღსრულების ამ ღონისძიების მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით. კერძოდ, ჯარიმის დაკისრებას გააჩნია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრის ფუნქცია, ვინაიდან დაკისრებული სანქცია, რომელიც გამოითვლება დარღვევის სიმძიმის, ხარისხის, ხანგრძლივობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ერთგვარი კომპენსაციაა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებლის კეთილდღეობისათვის მიყენებული ზიანის საპირწონედ. გარდა ამისა, ჯარიმა განიხილება, როგორც კონკურენციის პოტენციური შემზღუდველი ქმედებების შემაკავებელი ბერკეტი, ვინაიდან იგი ეკონომიკურ აგენტებში ქმნის დასჯის რეალური საფრთხის განცდას. ამდენად, კონკრეტული დარღვევისათვის ეკონომიკური აგენტისთვის დაკისრებულ ჯარიმას უნდა ჰქონდეს საკმარისად შემაკავებელი ეფექტი, არა მხოლოდ კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიმართ („specific deterrence“), არამედ სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართაც, არ ჩაერთონ ან არ გააგრძელონ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები („general deterrence“)[279]. შესაბამისად, ჯარიმის ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციებისა და მიზნების შესაბამისად უნდა დადგინდეს.

წინამდებარე საქმის მოკვლევის ფარგლებში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დადგინდა ეკონომიკური აგენტების: **შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ (ს/ნ: 402037611)** (რომელიც ერთიან ეკონომიკურ აგენტად/სუბიექტად იქნა მიჩნეული შპს „კავეა საბურთალოსთან“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეასთან“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლთან“ (ს/კ 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემასთან“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანთან“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმთან“ (ს/კ: 404391564) ერთად), **შპს „თინეთისა“ (ს/ნ: 402116474)** და **შპს „ელ.ბილეთების“ (ს/ნ: 205268869)** მხრიდან კანონის მე-7 მუხლის დარღვევა (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება ან შეთანხმებული ქმედება). აღნიშნული კანონდარღვევისთვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სანქციის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას. კერძოდ, კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, „კანონის მე-6 ან მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს“. ამდენად, კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს სამართალდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას. ამასთან, ჯარიმის მინიმალურ ოდენობას კანონი არ განსაზღვრავს. კონკრეტულ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტის ფარგლებში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

[279] Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003 (2006/C 210/02), § 4, ხელმისაწვდომია https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901(01)

აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის ოდენობის განსაზღვრისას, სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. სააგენტო მხედველობაში იღებს საქმესთან დაკავშირებით არსებულ ფაქტებს, აფასებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს და სანქციის მიზნების გათვალისწინებით ადგენს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას. ამასთან, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპებით“ (შემდგომში - „სახელმძღვანელო პრინციპები“)[280].

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან გამომდინარე, სანქციის შეფარდების პროცესი ხორციელდება ორ ეტაპად.[281] პირველ ეტაპზე ხდება ჯარიმის ზოგადი საზღვრების დადგენა, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის გამოთვლას, ხოლო შემდეგ ეტაპზე ხდება ჯარიმის პროპორციული ოდენობის განსაზღვრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულია სამართალდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც შეადგენს ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტს, ხოლო მინიმალური ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამრღვევ სუბიექტებს წარმოადგენენ:

1) **შპს „სადისტრიბუციო კომპანია“** (რომელიც ერთიან ეკონომიკურ აგენტად/სუბიექტად იქნა მიჩნეული შპს „კავეა საბურთალოსთან“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეასთან“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლთან“ (ს/კ: 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემასთან“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანთან“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმთან“ (ს/კ: 404391564) ერთად);
2) **შპს „თინეთი“ ;**
3) **შპს „ელ.ბილეთები“.**

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, კანონის შესაბამისად, სამართალდამრღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ზოგადი ზედა ზღვარი შეადგენს ე.ე.ს. „სადისტრიბუციო კომპანიის“ (შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“, შპს „კავეა საბურთალოს“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეის“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლის“ (ს/კ: 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემას“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანის“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმის“ (ს/კ: 404391564), როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის), შპს „თინეთისა“ და შპს „ელ.ბილეთების“ **წინა ფინანსური წლის წლიური**

[280] სრული ტექსტი ხელმისაწვდომია: https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf
[281] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავი

ბრუნვის 5 პროცენტს. ამასთან, წლიური ბრუნვის გამოთვლის პროცესში, აღნიშნული კომპანიების, როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის წლიური ბრუნვა განიხილება ერთიანი სახით, დაჯამებულად.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მხარემ შემაჯამებელ სხდომაზე დასვა საკითხი ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ბრუნვის შესახებ სააგენტოსათვის დამატებითი დამაზუსტებელი ინფორმაციის მოწოდების შუამდგომლობის შესახებ.

მოპასუხე ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის მიერ სააგენტოსათვის მოწოდებულ იქნა ინფორმაცია[282] სუბიექტში შემავალ კომპანიებს შორის განხორციელებული ურთიერთოპერაციებისა და გადარიცხვების შესახებ (ექსელის ცხრილების სახით), შესაბამისად, ჯარიმის ზუსტი ოდენობის გამოთვლის მიზნით, მხარე ითხოვდა ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლების კონსოლიდაციისას სააგენტოს განეხორციელებინა შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინაცია. გარდა ამისა, მხარის მოთხოვნით აღნიშნულ საკითხზე მოპასუხე ერთიანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელთან გაიმართა შეხვედრა სააგენტოს ოფისში 2023 წლის 26 დეკემბერს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელს ეთხოვა შეხვედრაზე სიტყვიერად დაფიქსირებული პოზიცია წერილობითი სახით წარმოედგინა შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. წერილობითი პოზიცია დანართებითურთ მოწოდებულ იქნა 2023 წლის 27 დეკემბერს[283], თუმცაღა სააგენტოს მიერ მხარის პოზიცია ვერ იქნა გაზიარებული, რადგანაც კანონი ამ კუთხით ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის მიმართ განსაკუთრებულ/განსხვავებულ მიდგომას არ ითვალისწინებს, მხარის მიერ მითითებული ურთიერთჩათვლები და მათი გამორიცხვა/ელიმინაცია კონკურენციის მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის. ვინაიდან არც მოქმედ კანონმდებლობაში, არც სააგენტოს დამკვიდრებულ პრაქტიკაში (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის სანქციის ნაწილში, გათვალისწინებულ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვების ჯამი) არ არსებობს შესაბამისი საგამონაკლისო წესის მოქმედება ერთიან ეკონომიკურ აგენტთან დაკავშირებით.[284]

შესაბამისად, სააგენტო შესაბამისი ჯარიმის დადგენის პროცესში, ეყრდნობა სსიპ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს ეკონომიკური აგენტების შესაბამის

---

[282] შპს „სადისიტრბუციო კომპანიის“ 2023 წლის25 დეკემბრის წერილი N01/4472

[283] შპს „სადისიტრბუციო კომპანიის“ 2023 წლის 27 დეკემბრის წერილი N01/4515 შესაბამისი დანართებით

[284] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპი“-ს (ს/ნ: 412702446) საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 ივნისის N 04/66 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე“ ("დელტა დეველოპმენტ გრუპის" საქმე)

შემოსავლებთან დაკავშირებით და შესაბამისი ბაზაში დაფიქსირებულ ერთიან ეკონომიკურ აგენტში შემავალი კომპანიების წლიური ბრუნვების შესახებ მონაცემებს.

[redacted]

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, „წინა ფინანსურ წელში“ იგულისხმება სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინა ფინანსური წელი[285], რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგენილ იქნას ეკონომიკური აგენტის აქტუალური ფინანსური შესაძლებლობები, რაც უნდა იყოს ჯარიმის საკმარისად პრევენციული ოდენობის განსაზღვრის საფუძველი. შესაბამისად, ვინაიდან მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება 2023 წელს, ჯარიმის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების 2022 წლის წლიური ბრუნვიდან.

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, წლიური ბრუნვა არის კომპანიის შემოსულობა, ამონაგები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვაგვარი წესით აღრიცხული შემოსავლები/შემოსულობები. მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა ინფორმაცია სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მეშვეობით წლიური ბრუნვების შესახებ. შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით,[286] ეკონომიკური აგენტების 2022 წლის ბრუნვამ (დღგ-ს დეკლარაციების მიხედვით) შეადგინა შემდეგი:

1) **ერთიანი ეკონომიკური აგენტი/სუბიექტი** „სადისტრიბუციო კომპანია“ – (შპს „სადისტრიბუციო კომპანია“, შპს „კავეა საბურთალო“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეა“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/კ 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემა“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანი“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/კ: 404391564) [redacted]

[285] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი

[286] სსიპ შემოსავლების სამსახურის “გადასახადების ადმინისტრირების სისტემა - “ORACLE“-ს მეშვეობით (დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები, სააგენტოს კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების სამმართველოს უფროსის 2023 წლის 10 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი N03/801

2) შპს „თინეთი“ - [redacted]

3) შპს „ელ.ბილეთები“ - [redacted]

მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის სწორედ ზემოთ აღნიშნული თანხის ფარგლებში უნდა მოხდეს მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრა.

ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მხედველობაში იღებს კონკრეტული საქმის რელევანტურ გარემოებებს, აფასებს ქმედების დამამძიმებელ ან/და შემამსუბუქებელ გარემოებებს და აღნიშნულის შედეგად ახდენს ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრას.[287]

ამასთან, სააგენტო სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სანქციის შეფარდების პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და მკაცრად განსაზღვრული რეგულაციები, რომლებიც შემთხვევათა განზოგადებისკენ არის მიმართული. ამასთან, **დაუშვებელია ცალკეული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებებისთვის ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლის მინიჭება ჯარიმის ოდენობასთან მიმართებით.**[288]

სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისა და ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოცულობა. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია, სანქციას გააჩნდეს საკმარისი სადამსჯელო/პრევენციული ეფექტი (ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შემდეგ, საერთო ჯამში, სარგებლის მომტანი არ უნდა იყოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა). გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მოკვლევა მიმდინარეობს კონკრეტული სუბიექტის/სუბიექტების მიმართ, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთობლიობაში შეფასდეს კანონდარღვევის სიმძიმე, ხანგრძლივობა და დარღვევით გამოწვეული ზიანი, ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები.

ჯარიმის კონკრეტული ოდენობის გამოთვლის მიზნებისათვის, კანონდარღვევის სიმძიმე ფასდება იმ მოცულობის ფარგლებში, რა მოცულობითაც მოხდა თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა.

მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე 2016 წლიდან მოყოლებული წლების განმავლობაში ოპერირებდა

[287] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1 პუნქტი
[288] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.2 პუნქტი

არაერთი ეკონომიკური აგენტი. [redacted] შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ (ს/ნ: 402037611) და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავდა „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობას, რომლის საფუძველზეც, შესაბამის ბაზარზე მოქმედ და პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ეზღუდებოდათ კინოთეატრის ბილეთების ონლაინ საცალო რეალიზაციის ბაზარზე შესვლა/დარჩენა. შესაბამისად, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის არსებული შეთანხმების, როგორც მიზანი, ასევე ეფექტიც იყო შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. 2023 წლის იანვრის თვიდან, ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების დადების შემდგომ, შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“ სახელშეკრულებო ურთიერთობები შეწყვიტა შპს „ელ.ბილეთებთან“ და შპს „ივენთერთან“, ამასთან, ბაზარი ჩაიკეტა ყველა დაინტერესებული ეკონომიკური აგენტისათვის. შესაბამისად, შეთანხმების ეფექტი ბაზარზე გამოვლინდა 2023 წლის იანვრიდან, ხელშეკრულების გაფორმებიდან ძალზე მოკლე პერიოდში და კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე მოქმედმა ორმა ეკონომიკურმა აგენტმა (შპს „ელ.ბილეთები“ და შპს „ივენთერი“) სრულად დაკარგეს წვდომა ბილეთებზე, ასევე ახალი, პოტენციურად დაინტერესებული ეკონომიკურ აგენტებისათვის ჩაიკეტა ბაზარი.

ქმედების სიმძიმის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია ქმედების ბუნება, როგორც არაერთხელ აღინიშნა, შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“, ასევე შპს „სადისიტრბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გამოვლენილი შეთანხმება შეიცავდა მიზნით დეტერმინირებულ ქმედებას, რაც per se („თავისთავად”) წარმოადგენს კანონის საწინააღმდეგო ქმედებას და მისი სიმძიმის შეფასებისას არ არის საჭირო დამატებით შეთანხმებით გამოწვეული შედეგების გამოკვლევა. ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ მიუხედავად, იმისა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის დადებულ შეთანხმებას, მათ შორის „ექსკლუზივის პირობას“, მოცემული მოკვლევის ფარგლებში განიხილავს და აფასებს როგორც ვერტიკალურ კოორდინაციას, აღნიშნული კოორდინაცია შეიცავს ჰორიზონტალური კოორდინაციის ნიშნებსაც (ვინაიდან ეს ორი სუბიექტი შესაბამის ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებიც არიან), ხოლო ჰორიზონტალური კოორდინაცია უფრო მძიმე შეთანხმების ფორმაა, ვიდრე ვერტიკალური კოორდინაცია.

სააგენტო ასევე, ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შინაარსობრივ და გეოგრაფიულ მასშტაბებს, კერძოდ, შესაბამისი ბაზრის მთლიანი მოცულობის თუ მისი ნაწილის მომცველია დადგენილი კანონდარღვევა. მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება, ზემოაღნიშნულ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში შეეხებოდა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზრის მთლიან ნაწილს, ანუ საქართველოში მოქმედ ყველა კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციას. შესაბამისად, კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტების ქმედება განხორციელებულად ჩაითვალა მთლიან ტერიტორიაზე.

რაც შეეხება კანონდარღვევის ხანგრძლივობას, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ხანგრძლივობის განსაზღვრა გულისხმობს კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების პერიოდის იდენტიფიცირებას. მოკვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარი 2021-2023 წლებში და გამოიკვეთა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (შპს „თინეთს“) შორის [redacted] გაფორმებული ხელშეკრულებით („ექსკლუზიური მიწოდების“ პირობით) ბილეთების ბაზარზე შეიზღუდა კონკურენცია, კერძოდ, მოხდა შპს „თინეთის“ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნა 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში, რვა თვის განმავლობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტომ საქმის მოკვლევის ფარგლებში გამოიყენა შუალედური ღონისძიება, რომელიც მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა და შეჩერდა [redacted] ხელშეკრულების „ექსკლუზიური პირობისა“ და მასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების მოქმედება სააგენტოს მიერ მოკვლევის დასრულებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნულის შედეგად, 2023 წლის 15 სექტემბერს შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება კინოთეატრის ბილეთების მიწოდებაზე. შესაბამისად, კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზრის გახსნა განაპირობა ექსკლუზიური მიწოდების შესახებ დებულების (ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის) მოქმედების შეჩერებამ. თუმცაღა, ხაზგასასმელია, რომ 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის სექტემბრამდე ბაზარი შპს „თინეთის“ გარდა ყველა ეკონომიკური აგენტისთვის ჩაკეტილი იყო. აქედან გამომდინარე, მოპასუხეების - შპს „თინეთისა“ და შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ განხორციელებული კანონდარღვევის ხანგრძლივობა წარმოადგენდა 8 თვეს.

მნიშნველოვანი გარემოებაა, გამოიწვია თუ არა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევამ რაიმე ზიანი. სააგენტო არ წარმოადგენს კონკრეტული სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ზუსტი ოდენობის დადგენაზე უფლებამოსილ ორგანოს. კანონდარღვევით გამოწვეული ზიანის დადგენა არ ხორციელდება ზუსტი ციფრით, არამედ უნდა შეფასდეს რა სახის ზიანი გამოიწვია კონკურენციის დარღვევამ შესაბამის ბაზარზე, რა ფარგლებში და რა მასშტაბით, როგორ აისახა ეს ბაზრის სხვა მონაწილეებსა და ბაზრის სტრუქტურაზე. აღსანიშნავია, რომ შპს „სადისიტრბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის დადებული „ექსკლუზიური მიწოდების“ ხელშეკრულების შედეგად, სახეზეა მომჩივანისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, კერძოდ, მომჩივანმა დაკარგა რა წვდომა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი თვეების განმავლობაში ვერ ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, განიცადა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. გარდა შემოსავლისა, კომპანიამ ამ ხნის განმავლობაში დაკარგა, აგრეთვე, სამომხმარებლო ბაზა, რომელიც წლების განმავლობაში მომსახურებას იძენდა სწორედ biletebi.ge-ს საიტზე, მოხდა მომხმარებლების მიგრაცია კონკურენტი კომპანიის - tkt.ge-ს პლატფორმაზე. აქედან გამომდინარე, კონკურენტისთვის მიყენებული პირდაპირი ზიანის არსებობა მოცემულ შემთხვევაში უდავოა.

აღსანიშნავია, რომ კანონდარღვევის შედეგად მომხმარებელმა დაკარგა ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობა - არჩევანის პლურალიზმი, ბილეთები შეეძინა მისთვის სასურველ, ხელსაყრელ თუ მოსახერხებელ ვებგვერდზე/პლატფორმაზე. რაც აზიანებს ბაზარს, კონკურენტული წნეხის ბენეფიტებს ართმევს მომხმარებელს და, საბოლოო ჯამში, ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შედეგად, იმ პირობებში, როდესაც ექსკლუზივის ხელშეკრულების ძალით, ორი წლის განმავლობაში გამოირიცხებოდა ბაზარზე ახალი სუბიექტების შესვლა და კონკურენციის ხარისხი სტატიკურ მდგომარეობაშია შენარჩუნებული, სახეზეა ბაზრის განვითარების შეფერხება და კონკურენციის დინამიური პროცესისათვის ზიანის მიყენება.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას არსებობს თუ არა ქმედების შემამსუბუქებელი ან/და დამამძიმებელი გარემოებები.

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, მოკვლევის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება განხილულ იქნას **შემამსუბუქებელ გარემოებად.** აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა შპს „ელ.ბილეთების“ საჩივარი. მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევის ფარგლებში დადგინდა შპს „ელ.ბილეთების“ მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შესახებ ნების გამოვლენა, მან საკუთარი ინიციატივით - საჩივრით მომართა სააგენტოს და წარმოუდგინა საქმის მოკვლევის დასაწყებად საჭირო ინფორმაცია, ხოლო მოკვლევის ფარგლებში დროულად და სრულყოფილად აწვდიდა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას/მტკიცებულებებს სააგენტოს, რაც ერთგვარ „თანამშრომლობად“ შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, საკუთარი ინიციატივით, სააგენტოს მოთხოვნის გარეშე, წარმოუდგინა სააგენტოს სატელეფონო ზარების ამონაწერი, რომელიც გამოყენებულ იქნა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადგენის პროცესში. საქმის მოკვლევის პროცესში მომჩივანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია/მტკიცებულებები მის მიერ მჭიდრო თანამშრომლობად უნდა იქნეს მიჩნეული.

გარდა ამისა, მომჩივანის მხრიდან „ექსკლუზიური პირობით“ ხელშეკრულების დადებაზე თანმხვედრი ნების გამოხატვა განპირობებული იყო დიდწილად იმ ფაქტით, რომ თუ იგი არ იქნებოდა ხელშეკრულების მხარე, მას მოუწევდა ბაზრიდან გასვლა, ვინაიდან როგორც ზემოთ აღნიშნა, მისთვის ცნობილი იყო, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების ეტაპზე „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ დადებაზე მზაობას გამოხატავდა კონკურენტი შპს „ონლაინ თიქეთსიც“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) და ამიტომ გარკვეული წნეხის პირობებში უწევდა მოქმედება.

სააგენტო მხედველობაში იღებს, იმ გარემოებას, რომ მოკვლევის ფარგლებში სააგენტოსთან აქტიურად თანამშრომლობდნენ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთიც“, კერძოდ, მოკვლევის განმავლობაში, სააგენტოს პერიოდულად აწვდიდნენ მათ

ხელთ არსებულ ინფორმაციას/მტკიცებულებებს, ესწრებოდნენ შეხვედრებს და არ აფერხებდნენ საქმის მოკვლევის პროცესს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თითოეული მხარე სააგენტოს ურთიერთობისას გამოხატავდა მზაობას სააგენტოსთვის მიეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია (იქნებოდა ეს წერილობით თუ ზეპირი ფორმით - კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩატარებულ შეხვედრებზე) და არ ზღუდავდა ამ ინფორმაციის მოცულობას სააგენტოს მოთხოვნის ფარგლებით.

ასევე, ყურადსაღებია, რომ სააგენტოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდგომ, კერძოდ 2023 წლის 3 აგვისტოს მიღებული ბრძანების შემდეგ, შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“ კინოთეატრის ბილეთებზე წვდომა აღუდგინა შპს „ელ.ბილეთებს“ და მასთან გააფორმა ხელშეკრულება ბილეთების მიწოდების შესახებ, რის საფუძველზეც მომჩივანმა შეძლო ბაზარზე დაბრუნება. აქ საგულისხმოა, ის გარემოება, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ აღნიშნულის ვალდებულება სასამართლოს მიერ არ ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, „ექსკლუზივის პირობის“ მოქმედება გათვალისწინებული იყო ორი წლის განმავლობაში, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შპს „სადისიტრბუციო კომპანიამ“ განახორციელა მის მიერვე ბაზრიდან განდევნილი შპს „ელ.ბილეთების“ დაბრუნება კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე. შესაბამისად, იმის შემდგომ, რაც ბაზარი რვა თვით ჩაკეტილი იყო, ექსკლუზიური მიწოდების დებულების მოქმედების შეჩერების შემდგომ მან ბაზარზე დაუშვა/დააბრუნა ახალი სუბიექტი, რითიც, ერთი მხრივ, შეწყვიტა კანონდარღვევა, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო კონკურენციის გაჩენას ბაზარზე.

რაც შეეხება შპს „თინეთს“, მოკვლევის ფარგლებში, მხარეებისგან მიღებული ინფორმაციისა და მათთან გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ ექსკლუზიური პირობით ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო დიდწილად იმ ფაქტით, რომ თუ შპს „თინეთი“ არ იქნებოდა მსგავსი ხელშეკრულების მხარე, მას მოუწევდა ბაზრიდან გასვლა, ვინაიდან როგორც ზემოთ აღნიშნა, სახელშეკრულებო მოლაპარაკებების ეტაპზე ექსკლუზიური ხელშეკრულების დადებაზე მზაობას გამოხატავდა შპს “ელ.ბილეთებიც“. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად ვერ დადგინდა ვისგან გაჟღერდა პირველად „ექსკლუზივის“ პირობა, ფაქტია, რომ შპს „სადისიტრიბუციო კომპანიასთან“ ხელშეკრულება თუ დაიდებოდა, დაიდებოდა მხოლოდ „ექსკლუზივის პირობით“, რის შედეგადაც შპს „თინეთი“ შესაძლოა, სწორედ ბაზრიდან გასვლის თავიდან არიდების მიზნით მოქმედებდა „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ დადების პროცესში.

შემამსუბუქებელი გარემოებების გარდა, სააგენტოს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებსაც.

შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (კინოპროდუქციის) ერთადერთ დისტრიბუტორს. იგი ფლობს არა მხოლოდ ფილმებზე განსაკუთრებულ უფლებებს, არამედ

ასევე, ახორციელებს საქართველოში მოქმედი კინოთეატრების საქმიანობის ორგანიზებასა და მართვას, რის გამოც იგი ერთიან ეკონომიკურ აგენტად იქნა მიჩნეული კინოთეატრებთან ერთად. შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ 8 თვის განმავლობაში შეზღუდული ჰქონდა კინოთეატრების ბილეთებზე წვდომა ონლაინ ბილეთების რეალიზატორი კონკურენტი კომპანიებისთვის, მაშინ როცა იგი ფლობდა ამ ბაზარზე ძირითად რესურსს. გარდა ამისა, მოპასუხე შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ მოლაპარაკების პროცესს, ე.წ. „ტენდერს“, წარმართავდა ყოველგვარი წინასწარ დადგენილი და გაცხადებული პირობების გარეშე. კრიტერიუმები, რომელზეც იგი საქმის მოკვლევის ფარგლებში საუბრობდა არ ესადაგებოდა საჯარო ტენდერის პირობებს, არ იყო საყოველთაოდ ცნობილი და ხელმისაწვდომი საჯარო პუბლიკისათვის ანდა დაინტერესებული/პოტენციურად დაინტერესებული პირებისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ მოხდებოდა მოლაპარაკების პროცესის სამართლიანი პირობებით ჩატარება. გარდა ამისა, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ თავს არიდებს მოლაპარაკების გარკვეული ეპიზოდების განმარტებას და ვერ ასახელებს კონკრეტული დეტალებს, კერძოდ, ვერ ასახელებს პირველად ვინ გააჟღერა „ექსკლუზიური პირობით“ ხელშეკრულებით დადება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ბუნდოვანია შპს „თინეთის“ განმარტებაც და მის მიერაც ვერ ხდება აღნიშნული ეპიზოდის გახსენება.

შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ ვერ ასახელებს მასსა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის 2022 წლის 30 დეკემბერს განხორციელებულ ზარის შინაარსაც, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს. აღნიშნულ სატელეფონო ზართან დაკავშირებით შპს „ელ.ბილეთებმაც“ არამადაჯერებელი და ბუნდოვანი განცხადება გააკეთა [redacted]

შპს „ელ.ბილეთებთან“ მიმართებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოლაპარაკების პროცესში იგი მზაობას გამოხატავდა ექსკლუზიური პირობის სანაცვლოდ გადაეხადა [redacted] და შემდგომ უკვე თანახმა იყო [redacted] გადახდაზე. შესაბამისად, მან ნება კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებაზე გამოხატა სულ ცოტა ორ შემთხვევაში (რომელიც გამოიკვეთა მოკვლევის ფარგლებში).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ექსკლუზიური მიწოდების“ სადავო პირობის შემცველი [redacted] ხელშეკრულების პირველადი სამუშაო ვერსია (დრაფტი) შპს „სადისტრიბუციო კომპანიას“ გაეგზავნა სწორედ შპს „თინეთის“ მიერ, რასაც ორივე მხარე ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მოკვლევის დროს არ გამოიკვეთა უშუალოდ „ექსკლუზიური პირობის“ ინიციატორი მხარე, აღნიშნული ქმედება შპს „თინეთის“ მიმართ

დამამძიმებელ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან წერილობითი გამოხატულება/ფორმა კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებას შპს „თინეთმა“ მიანიჭა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ შეუქმნას ეკონომიკური აგენტის არსებობას. აქედან გამომდინარე, მისი ოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებთან. ამასთან, დაკისრებული ჯარიმა არ უნდა გახდეს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი. გამომდინარე იქედან, რომ შპს „ელ.ბილეთებს“ 8 თვის განმავლობაში არ ჰქონდა წვდომა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, 2023 წლის სექტემბერში ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ კომპანიას მოუწია/მოუწევს გარკვეული ფინანსური რესურსის ჩადება ბაზარზე აღდგენისა და მომხმარებლის დაბრუნების მიზნით მარკეტინგული, სარეკლამო თუ სხვა ღონისძიებების სახით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში.

ყოველი აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მხედველობაში იღებს მხარეთა ფინანსურ შესაძლებლობებს, ზემოთ მითითებული გარემოებებს და მიიჩნევს, რომ ჯარიმის განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

1. **ერთიანი ეკონომიკური აგენტი „სადისტრიბუციო კომპანია“** - შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „კავეა საბურთალო“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეა“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/კ 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემა“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანი“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/კ: 404391564) – 2022 წლის **ბრუნვის [redacted]% - 1 120 562 (ერთი მილიონ ასოცი ათას ხუთას სამოცდაორი) ლარი;**
2. შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474) - 2022 წლის **ბრუნვის [redacted]% - 544 328 (ხუთას ორმოცდაოთხი ათას სამას ოცდარვა) ლარი;**
3. შპს „ელ.ბილეთები“ (ს/ნ: 205268869) - 2022 წლის **ბრუნვის [redacted]% - 5 368 (ხუთი ათას სამას სამოცდარვა) ლარი.**

ამასთან, კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ აუცილებელია შპს „სადისტრიბუციო კომპანაისა“ და შპს „თინეთს“ შორის [redacted] დადებული „ექსკლუზიური მიწოდების“ ხელშეკრულების მოდიფიცირება და „კონკურენციის შესახებ“ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით) წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად.

თავი VII. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის “ა“, „ზ“, „ზ[2]“ და „თ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანების 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. **დადასტურდეს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის „სადისტრიბუციო კომპანიის“** (შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ (ს/ნ: 402037611), შპს „კავეა საბურთალო“ (ს/კ: 404566082), შპს „კავეა გალერეა“ (ს/კ: 404511925), შპს „კავეა თბილისი მოლი“ (ს/კ 404405489), შპს „რუსთაველი ჰოლდინგ სინემა“ (ს/კ: 404466001), შპს „ამირანი“ (ს/კ: 204424587) და შპს „აპოლო ბათუმი“ (ს/კ: 404391564)), **შპს „თინეთის“** (ს/ნ: 402116474), **შპს „ელ.ბილეთების“** (ს/ნ: 205268869) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს **კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა.**
2. ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს „სადისტრიბუციო კომპანიას“ დაეკისროს ჯარიმა **1 120 562 (ერთი მილიონ ასოცი ათას ხუთას სამოცდაორი) ლარის ოდენობით;**
3. შპს „თინეთს“ (ს/ნ: 402116474) დაეკისროს ჯარიმა **544 328 (ხუთას ორმოცდაოთხი ათას სამას ოცდარვა) ლარის ოდენობით;**
4. შპს „ელ.ბილეთებს“ (ს/ნ: 205268869) დაეკისროს ჯარიმა **5 368 (ხუთი ათას სამას სამოცდარვა) ლარის ოდენობით;**
5. **მოპასუხეებს შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“** (ს/ნ: 402037611) **და შპს „თინეთს“** (ს/ნ: 402116474) **დაევალოთ** კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყონ შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და **შპს „ონლაინ თიქეთსს“ (ს/ნ: 405096915, სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“ (ს/ნ: 402116474)) შორის 2022 წლის 31 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-6 მუხლისა („ექსკლუზივი“) და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების ამოღება და ხელშეკრულების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მოცემული გადაწყვეტილების შესაბამისად;**
6. მოკვლევის შედეგად **შპს „სადისტრიბუციო კომპანიის“** (ს/ნ: 402037611) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს **კანონის მე-6 მუხლის დარღვევა არ დადასტურდეს**;
7. მოკვლევის შედეგად, **სს „თიბისი ბანკის“** (ს/ნ: 204854595) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს **კანონის მე-7 მუხლის დარღვევა არ დადასტურდეს;**

8. მოკვლევის შედეგად, **„TBC Bank Group PLC“** -ის (ს/ნ: 10029943) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს **კანონის მე-7 მუხლის დარღვევა არ დადასტურდეს;**
9. კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორებს/ორგანიზატორებს და ამ ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით.
10. წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეთხოვოს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მისთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმით (წერილობით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით ან სხვაგვარი შეტყობინების გზით);
11. აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე ცნობის სახით, მიეწოდოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

რეკომენდაცია

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნებისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველყოფაში სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებზე, განსაკუთრებით ზოგიერთ ისეთ პირობაზე, რომელიც შეიცავს კონკურენციის საწინააღმდეგო რისკებს და გააჩნია რეალური ან პოტენციური შესაძლებლობა შეზღუდოს ჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე. სააგენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. თავისთავად ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების დადება აპრიორი არ წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას, თუმცა, ამგვარმა შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზრის

კონკურენტიანობაზე. შესაბამისად, სააგენტო ყოველი „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი ხელშეკრულების განხილვისას აფასებს თუ რამდენად ქმნის საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა ან/და ბაზარზე მოქმედი/პოტენციური ეკონომიკური აგენტების საბაზრო ინტერესების იმგვარი დაზარალების საფრთხეს, რასაც მიზნად აქვს ან გამოიწვევს ბაზრის შეზღუდვას ან ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირებას, ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას, მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასა და სხვა.

ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფასა და ამ სფეროში ოპერირებადი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, აგრეთვე, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისა და კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, სააგენტო უფლებამოსილია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ეკონომიკურ აგენტს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები“, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის “ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსთან ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია წარადგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების, შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო ბარიერების ან/და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობისა და მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე.

რეკომენდაციის გაცემით გზით სააგენტო უზრუნველყოფს ერთგვარი სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებას ბაზარზე მოქმედი და პოტენციური ეკონომიკური აგენტებისათვის, ბაზარზე კონკრეტული ქმედების განხორციელებამდე განსაზღვრონ და შეაფასონ კონკურენციის შემზღუდავი აქტიური თუ პოტენციური რისკები, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზურნველყოს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილება.

როგორც მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, კონკურენციის საწინააღმდეგოა „ექსკლუზიური შეთანხმებები, რომლის ერთ მხარეს თავად „ძირითადი რესურსის“ - კინოთეატრის ბილეთების მფლობელი/დისტრიბუტორია, ხოლო მეორე მხარეს - მის მიერ შერჩეული ბილეთების რეალიზატორი ექსკლუზიური ეკონომიკური აგენტი, რის შედეგადაც, დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებს ეზღუდებოდათ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესვლა/დარჩენა, რაც წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გარდა კინოთეატრის ბილეთებისა, მოკვლევის პროცესში გამოვლენილი კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების რეალიზატორი ეკონომიკური აგენტები (შპს „თინეთი“ და შპს „ელ.ბილეთები“) მათივე განმარტებით, ახორციელებენ სხვადასხვა კულტურული, შემოქმედებითი თუ სპორტული ღონისძიებების/აქტივობების ბილეთების ონლაინ

რეალიზაციას ექსკლუზიურად, შესაბამის მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.[289] [290]

ამასთან, როგორც მხარეები მიუთითებენ, რიგ შემთხვევებში მიმწოდებლებსა და ონლაინ რელიზატორებს შორის დადებული ხელშეკრულება მართალია, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას მიწოდების ექსკლუზიურ ხასიათზე, თუმცაღა, პრაქტიკაში, ზემოხსენებული ღონისძიებების ორგანიზატორები/მიმწოდებელი ექსკლუზიურად თანამშრომლობს მის მიერ განსაზღვრული ბილეთების ონლაინ რეალიზატორ ეკონომიკურ აგენტთან.[291]

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო პოტენციური შეთანხმებების გამოვლენა-შეფასებების პროცესში, რელევანტური არ არის შეთანხმება - წერილობით, ხელშეკრულების სახით არის დადებული თუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მიღწეული. ასევე არარელევანტურია, ხელშეკრულებაში ცალკე მუხლის/დებულების სახით არის გამოყოფილი „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობა თუ მიუხედავად ხელშეკრულებაში „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულების არარსებობისა, ბაზარზე რეალიზაცია პრაქტიკული ექსკლუზიური კოოორდინაციის საფუძველზე ხორციელდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორებს/ორგანიზატორებსა და ამ ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები:

1. კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორების/ორგანიზატორების მიერ, აღნიშნული ბილეთების ონალინ რეალიზაციის მიზნით პარტნიორი ეკონომიკური აგენტის/აგენტების შერჩევის პროცესი აწარმოოს საჯარო, ღია და ხელმისაწვდომი საკონკურსო პირობების გათვალისწინებით, ხოლო შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღება უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული ეკონომიკური აგენტისათვის;
2. შესაბამისი კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორებმა/ორგანიზატორებმა და შესაბამისი ბილეთების ონლაინ

[289] 2023 წლის 29 სექტემბერს გამართული ახსნა-განმარტებითი სხდომის აუდიო ჩანაწერი, 2:31:18-2:31:53
[289] იქვე, 2:323:4530-2:33:41; 2:37:08-2:37:18; 2:39:10- 2:39:25
[290] აღნიშნულ საკითხზე მიუთითებდა აგრეთვე, შპს „თინეთი“ 2023 წლის 5 მაისის N01/1518 და 2023 წლის15 დეკემბრის N01/4307 წერილებში
[291] იქვე, 2:30:30-2:31:13 და 2:37:50-2:38:18

რეალიზატორებმა სახელშეკრულებო ურთიერთობები აწარმოონ იმგვარად, რომ ის არ აწესებდეს გაუმართლებელ ბარიერს ბაზარზე შესასვლელად, არ იზღუდებოდეს ეკონომიკური აგენტების მონაწილეობა შესაბამის ბაზარზე, ხოლო გარდაუვალი აუცილებლობის/საჭიროებისას „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი გარემოებებით (რაც, შემდგომში, შესაძლოა, გახდეს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს განხილვისა და შეფასების საგანი);

3. საქართველოში მოქმედ თეატრებს, ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრს, სპორტულ ფედერაციებს და ბილეთების მიმწოდებელ სხვა ორგანიზაციებს/დისტრიბუტორებს მიეცეთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია, მიმდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სამომავლო სახელშეკრულებო ურთიერთობები ონლაინ პლატფორმებთან აწარმოონ იმგვარად, რომ შესაბამის ბაზარზე არ შეიზღუდოს კონკურენცია, ამასთან, „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის გამოყენებამდე შეაფასონ და გაითვალისწინონ კონკურენციის საწინაღმდეგო რისკები წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობის შესაბამისად.